

ლიტერატურული გაზეთი

№21 (133) 14 - 27 ნოემბერი 2014

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ეთერ თათარაიძე

„რო არ მენახე, მომკლავდა
უნახველობა თვალთა“.
ხალხური

ვაიმეე, რამდენ წელი,
თვალთ არ მინახავის,
არ დი'ჯერებთ, ხალხნო.

უნახველობა არ ხკლავს,
თვარ მინაში ნანოლარს
უნდ მეხვეოდ, ხავსო.

სიკვდილამდ კი ვნატრულობ
შორითა თვალის მოკვრას,
ნულ გამკიცხავთ, მძრახნო...

ერთ დრო არავის შერშჩებ, —
ჩვენ ბერდემამ იცოდის,
განალღარ ღრეტ მდიდრებ
იბრალისა-დ იცოდვის.

გან ფულ-სიმდიდრეიავ
სამზეოივ, — იტყოდის,
საიქიოს კარიავ
ძნელ სავალივ, — ფიცხობდის.

მადლიან ღარიბებ ი'ქ
მზის სწორნიავ, — იცოდის,
ფულის აქ თავნართმულნივ
ი'ქ ცოდვილნივ, — ჯინჭრობდის.

ერთ დრო არვის შერშჩებავ, —
„მთხილადავ“! — თქმა იცოდის...

IV-V

მაკა ლდოკონენი

ოციდან ოცდაათამდე „ცხენისკუდა“

ფერი და ამინდი ქუჩებს, შენობებსა და ბინადრებს პაზლის დეტალივით თუ ესადაგება, ქალაქის განუყოფელ ატრიბუტებად იქცევა. მაშინ გამვლელი, სტუმარი თუ ადგილობრივი გულითადად აღიარებს, რომ „სწორედ აგურისფერია მისთვის ზედგამოჭრილი და წვიმიანი ამინდი მისაღები“ — როგორც ამას გაიდსიის შემთხვევაში ამბობდნენ.

გაიდსიის ერთგვარი ახირება შემოდგომის უგულუბელყოფა იყო — აგვისტოს ნოემბრის მიწურული ებმოდა. „შლოპანციდან პირდაპირ ჩექმაზე გადავდივართ!“ — იძახდა დალილა. უფრო სწორად, ცხრა სექტემბერს, დილაადრიან, სოციალურ ქსელში, საკუთარ კედელზე წერდა.

ორიგინალური სტატუსი ძალდაუტანებელ მონონებას იმსახურებდა. სიტყვას „ძალდაუტანებელი“ კი ხაზგასმა სჭირდება, ვინაიდან იმ ეპოქის ცხრა სექტემბერი იდგა, მონონების გამოხატვას ადამიანებში გაიდსიური შემოდგომის მსგავსად ხიბლი ძალასთან ერთად რომ დაეკარგა.

დალილას სიტყვები გამამართლებელი საბუთივით ჟღერდა - ანტრესოლიდან ზამთრისთვის გადანახულ ტანსაცმლის ყუთს ჭოჭმანის გარეშე ჩამოგაღებინებდა და ქეშმირის მოსასხამის ძებნაში, შალის პულოვერებთან შეხებისას სხეულში უსათუოდ გაგივლიდა დენი — იმ ორი ასეული ვოლტის ტოლფასი, დამკრძალავ პროცესიას შერჩებულს ნაბიჯს რომ აგაჩქარებინებს და გონებაში გირტყამს: „ჯერ არა, ჯერ ადრეა“.

თუმცა დამკრძალავი პროცესიისგან განსხვავებით, შემოდგომის დასაწყისში პროგნოზირებულ თოთხმეტ გრადუს ცელსიუსს ვერავითარი აჩქარების ძალა გაგარიდებდა. მით უმეტეს, როდესაც წვიმის გულითადი მასპინძელი გაიდსია ისე მშვენდებოდა, თანამოქალაქეები მოლალატედ ჩაგთვლიდნენ ქოლგას მომლიმარი სახით თუ არ გაშლიდი და სველ ქუჩებს აკურატულად ჩაცმული, ენთუზიაზმით სავსე არ გაუყვებოდი.

რაც შეეხება პოეტ დალილას, ამ ნოველის პერსონაჟი როდია. დალილა ორიგინალური სტატუსით გაიდსიის კლიმატს, ყლალი თმით კი მის განწყობას პაზლის მიმანიშნებელი დეტალივით მოერგო. დალილა საკუთარი ლექსებითურთ ორიენტირია — წითელი შუქი, რომელიც წესების დარღვევის ხასიათზე გაყენებს და იქ გადაჰყავხარ, სადაც მორჩილად უნდა იდგე. სხვა გზა არ გრჩება, თუ წვიმიანი ქალაქი გაიძულე მზით გარუჯული სხეული ქეშმირის ქსოვილში მაშინ დამალო, როდესაც სიშიშველ სურს.

ფერებს თუ აღარ ემორჩილები, წესები ირღვევა და ესეც გაიდსიის ერთგვარი ახირება გახლდათ.

VI-VIII



— კარვის ახლოს, მეორე — მოშორებით, ფერდობზე. მე გორის აქეთ გადმოვედი ჩემს სათიბში, ბალახი შევავალიერე, ბუჩქზე აბგა დავკიდე, ცელი გავლესე და თიბვას შევუდექი. შუადღისას ერთმა თანამეკარვემ, ბესომ, მომაკითხა, ხომ კარგად მივიდის საქმე, როგორი ბალახია შენთან, ცელი როგორ გიჭრისო? ცოტა ხანს დავსხედით ჩრდილში, ვისაუბრეთ. მერე წამოდგა, წავალ, მივხედავ საქმეს, საღამოს დროზე გადმოდი კარავში, დაძინებამდე ცოტა წავიქეფოთ და ვილაპარაკოთ, დამიბარა...

ვთიბე კარგად, ცოტა მოცვი და მოცხარიც შევავაროვე იქვე, კლდეებისკენ წყაროზე ჩავედი, რომელიც ცოტა მოწანწკარებდა, — ტყუილად კი არ ვეძახით ჩიტის წყალს. მერე მეორე მასპინძელი, შაქრო, ჩამოფაჩუნდა ჩემი სათიბის ფერდობზე, მანაც მომიკითხა, როგორ თიბავ, ხომ არაფერი გჭირდებაო, ცელი შემომწმამ, გამოკვერე ხოლმე, არ დაგეზაროს, ხომ გაგიგონია, ცელის გამოკვერვა მთიბავს არ მოაცდენსო... ის იყო უკვე? — ბესოზე მკითხა ბოლოს. კი, იყო-მეთქი. ჰო, მეტს რას აკეთებს? დადის აგრე ტყუილად იქით-აქეთო, ჩაიქრქილა — ნაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს, გამოაჯავრებდნენ, უერთმანეთოდ კი ვერ ძლებდნენ.

საღამოს გადავედი კარავთან. გზად სხვა თანასოფლებელიც შემხვდნენ — თავიანთი კარავებისკენ მიდიოდნენ. ჩემს მასპინძლებს კარვის წინ ცეცხლი დაენთოთ და ორივენი იქვე ტრიალებდნენ. მივედი, რას საქმიანობთ-მეთქი, ვიკითხე. ვახშმისთვის ვემზადებით, დროზე მოხვდით, მითხრა ბესომ, ეგ მჭადის გათბობას ცდილობს, შაქრომ მიმიოთხა, ბავშვობაში პურის გემო არ უნახავს და ახლაც უცხო რამე ჰგონია, სხვასაც ვერაფერს ეგუება, მჭადია მარტო მაგის საყვარელი საქმელიო, ჩაიცინა. ყვავმა ყვავს დასჩხავალო, მოხედა შაქრომ ლიმილითვე, შენ ხომ სულ თეთრ პურზე მყავხარ გაზრდილიო!.. მეცინება ამათ პაექრობაზე. ომის პერიოდში, შრომასა და წვალუბაში მართლაც მჭადზე არიან ორივენი გაზრდილი, ზოგჯერ კი ისიც ენატრებოდათ, ალბათ...

გარეთ ბინდებოდა და კარავში გავშალეთ სუფრა, რომელსაც ჭრაქი გვინათებდა. პატარა ღუმელიც გვენთო შიგნით, რადგან ღამლამოხობი ციოდა მთაში. მე ნელა ვასხამდი შავ ღვინოს მომცრო ჭიქებში და რიგ-რიგობით ვამბობდი სადღეგრძელოებს. თამადაც არც ერთმა იკისრა და არც მეორემ — ყველამ ჩვენი სათქმელი ვეთვათო. ძირითადად ისინი ამბობდნენ, ხანდახან მეც გამოვრუგედი რამეს... მომხიბვლელი იყო უკაცრიელი მთის ვარსკვლავიან ღამეში ძველი ამბების მოსმენა, რომლებსაც ჩემი მასპინძლები დროდადრო იხსენებდნენ და რომლებიც უმეტესად იმ მთასთან იყო დაკავშირებული. მრავალი რამ მოვისმინე მათგან იმ დღეებში, მხიარულიც, საგულისხმოც და ქარსგასაყოლებელიც. მთაზე მხოლოდ ზაფხულში გვინევდა ყოფნა, მე კი იქაური ყველა დრო მაინტერესებდა — გაზაფხულზე თოვლი რომ აჭრელდებოდა სათიბებში, რომელი ყვავილები წამოყოფდნენ პირველად თავს? შემოდგომაზე სათიბებსა და ხევებში ბუჩქნარები და ტყეები რომ წითლად აბრდლებოდნენ და, ვინ უყურებდა მაშინ იმ სილამაზეს? ყველაზე მეტს იქაურ ზამთარზე ვფიქრობდი. წარმოვიდგინდი იმ კარავში ყოფნას — იქაური ზამთრის იდუმალებას, უხვთოვლიანობას და სიძნელეებთან ბრძოლას... ყველაფერ ამაზე ჩემს მასპინძლებს ვეკითხებოდი, რომლებიც სხვადასხვა პასუხს მძლევდნენ. ისიც ვკითხე, ეს კარავი როგორ უძლებდა უზარმაზარ თოვლს. მითხრეს, ჩვენ რომ აქედან წავალთ, კარვის ორივე კარს ღიას ვტოვებთ, რომ ქარმა ნამქერით გამოტენოს, თორემ ზემოდან დადებული თოვლის სიმძიმეს სხვანაირად ვერ გაუძლებსო. ჰო, კარავი ანუ დროებითი ბინა ასეთი იყო: რამდენიმე ბოძზე გადაჭედით ლარტყებზე ზემოდან თუნუქის ფურცლები იყო გადაფარებული, რომელზეც თივა ეფინა სქლად, გვერდებიც თუნუქით იყო შემოჭედილი. სიგრძით ბინა ხუთ, ხოლო სიგანით სამ მეტრამდე იქნებოდა, სიმაღლე იმდენი ჰქონდა, რომ კაცი გამართულად იყო თავისუფლად...

ზოგჯერ ვახშმის შემდეგ გარეთ ვიჯექი კოცონთან, ვფიქრობდი ან ვწერდი რამეს, ხანდახან მუგუზვალს ავიღებდი და მთის თავზე გადმომდგარ ვარსკვლავებს დავუქნევდი, რომ მათაც შევენიშნე, ამ დროს თუ მოხუცები დამინახავდნენ, მომამახებდნენ, მაგათ ჩვენგანაც მოკითხვა გადაეცია...

ერთ კვირამდე დავყავი იმ წელს მთაში.



ბოლო დღეს, დაღამებამდე სამიოდე საათით ადრე გადავედი კარავთან და ვთქვი, მოვრჩი თიბვას-მეთქი. იქ მარტო შაქრო იყო. მიდიხარ სოფელში? — თითქოს გულდანყვეტილმა მკითხა. მე დავუდასტურე. ბესოც აპირებდა დღეს წამოსვლას ერთი დღით, გადასძახე, ერთად იმგზავრებო. ვისაუბრეთ ცოტა ხანს, მერე ამაჩქარა, ნულარ დაგვიანებ, არ დაგალამდესო. სანამ ბესოს დავეძახებდი, მთის წვერები მოვიარე, თითქოს მათაც დავემშვიდობე. ამასობაში დაამაგვიანდა მისი ბუჩქნარიანი სათიბისკენ გადასვლა. როცა გადავედი და შევენიშნე, გამომეპასუხა. ჩამავალი მზე ადგა ფერდობებს და ჭრიჭინობლების ხმა ისმოდა მხოლოდ. კიდევ ვეძახე კარგა ხანს. არ ჩანდა ბესო, წასულიყო უკვე. მხოლოდ უკაცრიელი სათიბები და ხევები ჩამრჩა სხოვნაში იმ წუთებიდან და მთებში ექოებად გამოერებული ჩემი უპასუხოდ დარჩენილი ძახილი. შაქროსთან აღარ მივბრუნებულვარ, გზას დავადექი, რომ წასულს დავწვდი, მაგრამ ვეღარ დავენიე...

მანამდე, სანამ მთაში მათთან ბოლო ზაფხულს გავატარებდი, მათთვისვე გადაღებული სურათები ჩავიტანე სოფელში. ბესო ჩვენთან იყო შემოვლილი, მივეცი, შინ წაიღე-მეთქი. იყოს შენთანო, მითხრა და გვიან დააყოლა, მერე წავიღებო. არადა შინ მიდიოდა. რა თქმა უნდა, არც მე რეწაულა. მივხვდი, დატოვა, ჩვენც რომ გვექონოდა, თუნდაც მომავალში იმ სურათითაც რომ მოგვეგონებინა...

როცა ბესო წავიდა ამ ქვეყნიდან... ორმოც დღეში, შაქროც მიჰყვა... მის დასავლავებაზე ჩასულს მითხრეს, როგორ მძაფრად განუცდია მეგობრის გარდაცვალება, მართლაც როგორ უყვარდათ ერთმანეთი, რამდენი დამე გაუტარებიათ უკაცრიელ მთაში, გულითად საუბრებსა და ურთიერთდახმარებაში! ჰოდა, ალბათ, ამიტომ ვეღარც გაძლო დიდხანს მის შემდეგ...

როცა მათ ვისხენებ, ის ჩემი ძახილი მაგონდება ხოლმე მთაში, ერთ-ერთს რომ ვეძახდი სოფელში წამოსვლის წინ... ჩემი დაგვიანების გამო რომ ვეღარ ვნახე და მე რე მეორესაც რომ ვერ დავემშვიდობე რიგინადად... იმ ერთად გატარებული ზაფხულის ღამეების, მზრუნველობისა და ყურადღებისთვის მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, რადგან სოფელში ჩამოსული მალე ქალაქში წამოვედი და მერე აღარ მინახავს ისინი... ჩემი მშობლები კი ეტყოდნენ მადლობას, მაგრამ... ჰო, ჩემი ძახილი მაგონდება ხოლმე და ვფიქრობ ზოგჯერ ისე ვავიანებთ ადამიანებთან მისვლას, რომ მე რე ვეღარ ვანდუნთ ჩვენს ხმას, ტყუილად იკარგება იგი უდიდესო, უაღმირანო, მშობლიურ, მაგრამ ბოლომდე მაინც შეუცნობელ სიგრძეებში... და დადის ჩვენი ძახილი ექოებად მთებს შორის, გადაუვლის მინდვრებს, ხევებსა და ტყეებს, შეიძლება ღრუბლებსაც მიწვდეს, ვარსკვლავებს შორისაც გაიჭრას, ცივ პლანეტებსაც მიასკდეს... მაგრამ ამაოდ... აღარავინ გვაძლევს პასუხს, რადგან ვისაც ვეძახით, აღარ არიან ამ ქვეყანაზე...

მეტი ჩიღვინაჟი

გაიდარა

ოცდაერთი იყო გუმინ, მგონი — ივნისისა? და ბიძაჩემის ფაშატმა ცხენმა მუხელი ჩაკეცა ალაზანში!

მე კვიცი გამახსენდა, რომელსაც დანოში ასვლის დღიდან გაიდარა დავარქვი.

ლამის ნელამდე დავგარტყა ცხენებზე ტალღამ, დავგვინა! მაგრამ ვერ გავგვინა...ან არა, შეიძლო!

გაიდარა — ერთგვარი იმედია... რაც აქ ვარ, ხშირად წვიმს და შევეუთქვი...

თუმცა არის კიდევ ერთი რამ, რაც ამ საოცარი კვიციის სახელს დროში უკავშირდება — ერთი დიდი ქართული ფილმიდან დაძახებული თუშეთის უღელტეხილზე, „ნუ გეშინია, გაიდარა!“

არც დაფიქრებულა, ისე შემოჰყვა დედას აყვებულ ალაზანში. მხოლოდ თავი უჩანდა და დროდადრო ტალღებიც შეაშინა.

და ჩვენც ხმამაღლა ვაგულიანებდით! მამა-ბიძებივით ვეძახდით: ნუ გეშინია, გაიდარა!

მეორე ნაპირზე წინ გარბოდა და თითქოს მოუსვენრობით თავსაც გვაჭარბებდა.

ჩვენ გველიმებოდა, რომ ასეთი ყოჩალი იყო.

და, როდესაც ავეტოს სამეცხვარეო ბინაზე მესამეები დავცალეთ პატარა საარაყე ყანებიდან, მზეც გამოვიდა და, გაიდარა!

მინდია არაგული

მე — სტატისტიკოსი

დღეს სამსახურიდან წამოვედი... დაუგეგმავად... დილით ჩვეულებრივად გავიღვიძე, ჩვეულებრივ 5-6-ჯერ გამოვიცვალე ტანსაცმელი, საბოლოოდ ამოვირჩიე ნითელი სარაფანი, დავიღვი ყავა და მანქანაში ჩავჯექი, ზებრაზე დავუთმე გზა გოგონას, რომელსაც მოკლე შორტი ეცვა და ძალს ასეირნებდა დილის ცხრის ნახევარზე. სამსახურში ჩვეულებრივ დროზე მივედი, დავჯექი ჩემს მაგიდასთან, ჩავრთე კომპიუტერი და ცხრილები გავხსენე...

მე სტატისტიკოსი ვარ. დღემდე ვფიქრობდი, რომ ეს მნიშვნელოვანია... დღემდე ვფიქრობდი, რომ ეს მხოლოდ მშრალი რიცხვები არაა, მაგრამ დღეს, როცა გოგონას მოკლე შორტი გზა დავუთმე, ვიფიქრე, რომ ეს არ შეიძლება იყოს სტატისტიკა, გოგონა არ შეიძლება იყოს რაღაც პროცენტი, რომელსაც ძალი ჰყავს, ან ამ პროცენტის კიდევ რაღაც პროცენტი, რომელიც ძალს დილით ასეირნებს... შეიძლება, ეს სისულელეა, მაგრამ არ მინდა, ადამიანები პროცენტებად იქცნენ... დილით, შუადღისას, საღამოს, ზოგჯერ ღამით და ზოგჯერ გათენებამდეც ციფრებსა და მონაცემებს ვუყურებ და არ შემიძლია, ისინი ადამიანებად წარმოვიდგინო. ვერც იმ 1267 კაცს ვხედავ, რომლებიც პრესას ეცნობიან, ვერც იმ 794 ადამიანს, რომლებიც — არა... მე მათი პასუხები ვიცი, პასუხები რამდენიმე კითხვაზე, პასუხებს შემდეგ გადავამოწმებ მონაცემებად, რიცხვებად, პროცენტებად... ჩემი სამსახური ადამიანის რიცხვებად გადაქცევაა, მათი შეგრძნებების კი — პროცენტებად... თუმცა ამას თავისი მიზეზი აქვს, ჰო, იმას, რომ მე ეს საქმე ავირჩიე. შეიძლება გავეცინოს, მაგრამ ასეა... მაშინ პატარა ვიყავი, 17 წლის, შეყვარებული მყავდა და დავშორდი, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ბოლოს ბიჭი მოვიდა და ასე მითხრა: 49%-ით მიყვარხარ, მაგრამ 51%-ით არაო... სრული აბსურდია, ეს სასაცილოა, ბავშვური ხუმრობა, დაუფიქრებელი ნათქვამი, ან სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრე და თავი ასე დაიძვინე, ან — რა ვიცი, მაგრამ დღეს ამას მე ვაკეთებ: გრძობები, აბსტრაქციები — ყველაფერი ჩემთვის, აი, ეს ნიშანია — %.

სამაგიეროს ვუხდი მათ, ვინც რიცხვად ან პროცენტად გადამაქცია... სრული სისულელეა და ეს ამაზრზენია...

ამის გამო წამოვედი სამსახურიდან? არა, მე უბრალოდ დავილაღე, ასე ბანალურად და ერთი სიტყვით... ეს ზუსტად დღეს უნდა გამეკეთებინა... დღეს, ანუ მაშინ, როცა მომინდა. ყველაფერი ხომ საერთოდ მაშინ ხდება, როცა გვინდა, ან არ გვინდა, მაგრამ ამაზე იმდენს ვფიქრობთ, იმდენს... მოვლენებს ჩვენ ვაძლევთ ისეთ დინებას, როგორც არის, ჩვენ რომ არა, არც მოვლენები იქნებოდა, არც ციფრები და არც პროცენტები... ჩვენ რომ არა, არც მომავალი იქნებოდა, არც წარსული, არც აწმყო... თუმცა, ჩვენ რომ არა, ალბათ, ერთი დიდი სიმშვიდე იქნებოდა, სიმშვიდე, ოღონდ არასად, არაფერობაში... აღარც აბსტრაქციები იქნებოდა, რადგან ეს აბსტრაქციები არ არსებობს არსების გარეშე... უნდა არსებობდეს ის, რომ მასში გადმოიტანო გრძობები... ჩვენ ერთმანეთს ვხდით ადამიანებად, რადგან ჩვენ მათში ჩვენი გრძობები და ემოციები გადაგვაქვს... ასე მარტივად, რომ არა მე, არც შენ იქნებოდი... და მომავალში, როცა მე აღარ ვიქნები, არც შენ იქნები ასეთი... მომავალი, საინტერესო ფენომენია ეს მომავალი, ჩვენ ყველანი ვიყავით „მომავალი“: მომავალი შვილი, მომავალი მოსწავლე, მომავალი სტუდენტი, მომავალი ცოლი და რა ვიცი, კიდევ ათასი მომავალი... საკუთარი თავისთვის კი ჩვენ ყოველთვის აწმყო ვართ, ახლა და ამ წუთას... და შემდეგ ჩვენ წარსული ვიქნებით... ამიტომ არ არსებობს ასეთი თანმიმდევრობა: წარსული, აწმყო და მომავალი, არამედ ყველაფერი ერთად, დღეს ვილაცისთვის შეიძლება მომავალიც იყო და სხვისთვის — წარსულიც, თუმცა დღეს შენ შენი თავისთვის იქნები აწმყო...

ხვალ დილით მე ისევ ავდგები ადრე, თუმცა აღარ ჩავეჯდები მანქანაში, აღარ ვიფიქრებ, რომ მაგვიანდება, მოვუსმენ Tord Gustavsen — Where Breathing Starts და ვისეირნებ ქუჩაში ველოსიპედით, შემხვდება გოგონა ძალითან ერთად და ჩვენ ერთად გადავალთ ქუჩაზე, სადაც ვილაც დავითმობს გზას... მუსიკა იქნება მშვიდი, ცა — ოდნავ გახუბებული, ქარი — არც ისე ძლიერი, ნიავის მსგავსი, სულ ოდნავ რომ გეხვება მორცხვად...

ხვალამდე დავლევ ყავას... შავ ყავაშიც ისე ჩანს ჩემი ანარეკლი, როგორც დანმენდილ გუბურაში... თუმცა ადამიანი ვერასდროს ხედავს საკუთარ თავს, ეს ყველაზე დიდი ტრაგედიაა, მას შეუძლია დანახოს ყველა და ყველაფერი, მაგრამ არა საკუთარი თავი... ანარეკლი — ეს სხვაა. სარკეში მდგომი ერთი და იგივე ადამიანი ყოველ დილით სხვანაირია... სარკე ჩვენი ყოველ დილით სხვანაირად გვხვდავს, ისე, როგორც მხატვრები გვხატავენ სხვადასხვანაირად... ენას ვუყოფ ჩემს ანარეკლს, ისიც იმეორებს... დანმენდილ გუბურაში რომ ჩამეხვება, ასე გამოკვეთილად ვერ დავინახავდი ანარეკლის სახის ნაკვეთებს, არადა, სიბნელეში ძნელია სახეების გარჩევა... თუმცა გრაფი მონტე კრისტო კარგად ხედავდა სიბნელეში, მახსოვს, მეცინებოდა... ბავშვობაში სულ მინდობდა მასავით დამენახა და ვფიქრობდი, ამისთვის სიბნელეში უნდა ვიყო დიდხანს-მეთქი, მე მჯეროდა, რომ ყველაფერს დავინახავდი გრაფის მსგავსად, თუკი დიდხანს ვიქნებოდი სიბნელეში... დღეს ვდგავარ ჭიქით ხელში, ვუყურებ მოპირდაპირე კედელს და არაფერი მაქვს, რომ მჯეროდეს... როცა მეკითხებიან საყვარელ მწერალზე, საყვარელ მომღერალზე, საყვარელ გმირზე, მე არ ვიცი, რა უნდა ვუპასუხო, რადგან მე არ მყავს გმირი... გმირი ეს ისაა, ვინც ერთმა წუთმა აქცია მარმარილოს ქანდაკებად, კერპად, ღვთაებად... ჩვენ ყველანი ვართ გმირები, რადგან ჩვენ ადამიანები ვართ... თუმცა სამყარო ისეთი დიდია, ადვილად ყლაპავს და შთანთქავს ჩვენს გმირობებს... მაგრამ არსებობს ისეთი წუთები, როცა სამყარო უძლურია შენ წინაშე, როცა შენ შეგიძლია თქვა, რომ დრო კი არ შეაჩერე, არამედ თავად გახდი დრო, საათი, მისი მექანიზმი... აი, ამ გმირობას დედამინა ვერ მოერევა... თუმცა მე, ალბათ, ვერასდროს გავხდები საათის მექანიზმი, რადგან მე საათის ისარი ვარ, მექანიზმი რომ ატრიბულებს წრეზე ისე, როგორც მას სურს და ერთხელაც თუ მოინდობა, ჩემს სვლას შეაჩერებს...

არ ვიცი, დღეს ამდენ რატომ ვიფიქრე, რატომ დავწერე განცხადება სამსახურიდან წამოსვლაზე, არ ვიცი, რატომ დავლიე ამდენი ყავა, არ ვიცი, რატომ ვუსმენ ჯაზს... თუმცა არ შეიძლება მიზეზი ექებო



ყველაფერში, ზოგჯერ ხომ რაღაცები სრულიად უმიზეზოდ ხდება? მაგრამ ზოგჯერ მიზეზის ძიება უფრო მარტივია, ვიდრე იმის დაჯერება, რომ ეს უმიზეზოდ მოხდა...

ამასობაში გარეთ ნამონვიმა, ეს ისე ჩვეულებრივ, ამ ბოლო დროს ხომ სულ ნემსს, ყოველ საღამოს და მეც ყოველთვის ვუსმენ „One Night In The Rain“ და ვხვდები, რომ მუსიკას არ სჭირდება მიზეზები, პირიქით, მუსიკა სჭირდება ყველაფერს, ყველაზე მეტად მოგონებებს... მოგონებებს მუსიკა ალამაზებს, ალამაზებს ყოველი მისი ბგერა... ჰოდა, მეც ძილის წინ ჩვეულებრივ მოვუსმენ LOUIS ARMSTRONG - „What a wonderful world“, როგორც მაშინ, ბავშვობაში, მამაჩემს რომ დავყავდი მდინარის პირას, ადვილად რომ ჩამძინებოდა...

მეორე დღეა ველოსიპედით მივსეირნობ ქუჩაში, ვუსმენ bugge wesseltoft „yellow is the colour“... გოგონა ასეირნებს ძაღლს, მანქანა გზას გვითმობს, მოპირდაპირე მხარეს გადავდივარ...

არ ვიცი, ხვალ რას გავაკეთებ, შეიძლება, ჩემი ცხრილები მომენატროს, ან აღარ დავლიო ყავა, ან ხვალვე დავბრუნდე სამსახურში და ვთქვა, რომ დეპრესია მქონდა, ჩვეულებრივი დეპრესია გადაღლილობის გამო, მაგრამ ყოველ დღით ველოსიპედით წავალ, მოვუსმენ Higgins Trio - You must believe in spring და ვიფიქრებ ძალიან ბევრს... ვიფიქრებ იმაზე თუნდაც, ცა და ზღვა რომ ერთმანეთს უერთდება, ოღონდ შორს, ჰორიზონტს იქით, სიმშვიდე რომ არის, სიმშვიდე არაფრობაში...

საბია ჭანიშვილი

რა ენა-ღვლებათ!

ბიჭები თაყიდან „აძინ-იქსებს“ სვამდნენ. მერეც სვამდნენ, ბარში, მოგებული ფულით, ერთმანეთის გულის მოსაგებად. წასულების სადღეგრძელოს ბავშვების და ერთმანეთს — ბავშვობის ამბები მოაყილეს. ამბები, ძირითადად, მოიგონეს. მერე - ქართულის მასწავლებელიც და ისიც, როგორ დავობდნენ იმის შესახებ, „უფრო სწორად“ იყო, თუ — „უფრო სწორედ“. უფრო სწორედ, იმით დაიწყეს, „სწორი“ იყო სწორი თუ „სწორე“. სწორეო, შეთანხმდნენ და წინა წინადადება შეასწორეს. მერე იმაზე გადავიდნენ, „დავობდნენ“ იყო თუ — „დაობდნენ“ და სანამ ამაზე დავობდნენ, ლამის დაობდნენ. აქ სიტყვებიც აერიოათ, ენაც და თავ-გზაც. თან სმა „გაართულეს“. შენი გამართული გრამატიკით ბავშვობიდან მანამ და ენა გავამართვივით, — ერთმა. წამების გამართვივებაზე შეთანხმდნენ და მის ერთ მნიშვნელობაზე შეთანხმდნენ განამდნენ. ერთმნიშვნელოვნად აღიარეს, წამებისთვის ტანჯვის დართვა საჭიროო და მოსხენა განაგრძეს. სალხინოდ საჭირო სიტყვის პოვნაც იყო. მერე ლამის იტირეს, როცა მიხვდნენ, რომ ტირის დასმაც მოუხდებოდათ და სმაც განაგრძეს. არადა, მოუხდებოდა სენტემენტები სუფრას. სენტემენტები ეხამუშათ. ესეც, „ეხამუშათ“ აიღეს და დაშალეს. „ეხა“ ეჟარგონათ, „მუშათ“ ემეცდომათ. „ემეცდომათ“ შეცდომად ჩათვალეს და მიხვდნენ, მიუხედავად მკითხველები „შეცდომად ჩათვალს“ შეცდომებში არ ჩაუთვლიდნენ. ერთს დარდი მოურია, ენას ვერ გამართვივითო, მეორეს — ღვინო. ერთი აიღეს და მეორეში ჩაკლეს. მეორე მოეკიდათ. ცოტა ხანში სიგარეტს და ენასაც უკიდებდნენ, რიგრიგობით. ბოლოს, ქართული რა რთული ყოფილაო და, საერთოდ დაივიწყეს, რომ ენის დაკარგვაზე დარდით დაიწყეს და ორივე დაკარგეს, მაგრამ რადგან ჯერ — დარდი, ენაზე არ უდარდიათ. და სვეს. მერე გონებაც დაკარგეს და დასვეს... წერტილი. რა ენა-ღვლებათ!

თამარ ნიკოლეიშვილი

იმ წუთიდან

ბაძცაძე გადანყვიტა — ყველასგან და ყველაფრისგან. გვიან ღამით, როდესაც სხვებს ეძინათ, ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი და კარი გააღო. სახეში შხუილით მოხვდა ქარის ცივი მუშტი. ცოტა ხანს იდგა, მერე შებრუნდა და ისევე ფეხაკრეფით შეიპარა თავის ოთახში, წყნარად გაიხადა, წყნარადვე დანვა პირქვე, უცრემლოდ, პირმოკუმული და როდესაც გაიარა, თუ რა უბადრუკი და ლაჩარი ბრძანდებოდა, აი, იმ წუთიდან დაიწყო გარდაქმნა.

ლია რუსიაშვილი

ბერდია'ც

მითომ ბედნიერ ვიყავ, სუ ბაგესშლილ ღიმილ, გულში მდულარ სასევდო გონარეულ — ღივილ. იახლ სულ დანამძიმარი, შველა მინდავ, — ყივილ, არსითა ჩამიჩუმ, ტკივილს ნართავ ტკივილ. ცას მწვდომ ცეცხლის ავ აღში ჩამწვარ გველის წივილ...

ჯამანესამც წავლის უყისმათით სიცოცხლე.

ყველაფერ ჩემ თვალწინ გაქრ, დიდრონ ტყეებ გი'კაფ-ჩაწმ, ქუხილით მდენ მდინარეთ წმა ჩი'კრიფეს, მინას ჩაწდ.

მყინვარმ თეთრ სამოს გი'ფად, ცხვა მწვერვალთ სადარო გაფდ, გამოშრ მინა, გამიფიტ, მწვანე გაყვითლდ, გამტკნარდ,გაწმ.

სიყვარულმ მინა განირ, ცისკ გეზნაღებ ზეცას აწდ, გამოფიტულ სამზეო რად მინდ, დროი მინას ჩაწდ...

ლექსიც წლებმატებასთან ბერებულა-დ ბრძენებულ, პოეტს თუ გონ გამოსცლი, ლექსიც გამოშტერებულ.

მღერის დროს ამღერებულ, ცეკვას გამოცერებულ, აბურახებულ ფიქრში, ნამგალ-გამოცელებულ.

ჭირში შველად სუ პირველ წინ-წინ გამოჭენებულ, პოეტს თუ გონ გამოსცლი, ლექსიც გამოშტერებულ...

თუ პოეტ სიბრძნისკ წასულ, ლექს ნიაღვ ბრძენებულ.

მოვედითა-დ მივდივართ, ამოთქე სათქმელ, მძრახო, კარგადა' კი მოგვატყუე სამზეო მკვახო. ხანთხან ტკიპილის მომწველო, უფრ ნიორო-დ ხახვო, ჯურა-ჯურა იმედის მომგონეო-დ მჩმახო. აღარც თქვენ ვის სჭირდებით, ჩემ ფარდაგო-დ ფლასო, ჩემ ლექსების ატლასო, აბრეშუმო-დ ყაჭო. „მქანცავ-მტანჯავ-მაკვენსავ“ ბგერათ რიგო, კნაჭო.. „მეაღ ვნახევ სოფელივ“, - საფლავის ქვას მფხაჭო...

აფრიკელ თუთიყუშთან ქართველ ჩიტებ მოიდნეს, ჭიკ-ჭიკითა-დ გნისით დედამინა მოირღვენეს.

ეთერ თათარაიძე

იამათით ჩავხვდ, ერთნ რო ვართ, ერთმანეთ კი მოვიდნეთ...

მსოფლიოო, პატარავ, სუ ერთ ნამცეც სოფელო...

მტკვრის ყურეში ჩანდაგამ განანამარ აბოსაა ბაზილიკა მხედავს.

რამდენ ავდრიან ამბავ, ვერ სავიწყო ერისაა, ერის სულს რო ხკვებავს.

მყარ, თბილ სამლოცველოებს, სულის საოხ კერა'ებს აგვირისტებს, სჭედავს.

სალოცავ-სამაგალითო სახელს ნუ მა'კლებ ქართველს, ღვთიშობელო დედავ...

მოდ, ვიამბოთ მეა-დ შენ პირმთვარიან ფარისაა, იღუმლით ანამსვებარ ნადირთ პატრონ ქალისაა.

მოდ, ვიამბოთ მეა-დ შენ მოღუდუნე მტკვარისაა, ცაზე ცერად მინოლილ პირნამგალა' მთვარისაა.

მოდ, ვიამბოთ მეა-დ შენ პინამხარ ქარისაა, სიტკმოების მომფენელ, სულის სალბო ქნარისაა. მოდ, ვიამბოთ მეა-დ შენ შვილებისაა, ქმარისაა, გამოფიტულ სოფლისაა, განაბრუალ, მთვარლისაა.

მოდ, ვიამბოთ მეა-დ შენ სიმნარისი-დ მტკმარისაი,

მოდ...

ეკლიანი სანუთროა, თან შხამიან ეკლიან, ბევრ ჩამა'ფარა-დ ჩა'ფარ ჯუღურა'ი-დ ეტლიან. ბევრს ოჯახ სუ და'კეტვი, ბევრ თიბვას მოკლ ჯელთ ცლიან ზოგ წყალს ნანაფ წყალს ჩა'ბრუნ, ზოგ გზას ნავალ ჯელცვრიან. ზოგ მწვერვალს ასულ მოსწვივტ, ზოგს სულ ამა'რთე გძეელ-ტყიანს.

ეკლიანი სანუთროა, გესლიანი-დ ეკლიან.

სევდიან წლებ მენწყების, წამწამს ცრემლებ მესხმების, ცისაკ ყურებას მოვრში-დ თვალ მინისაკ მხერების.

ვიც, თანთან' ღონე წავ, თავზე რეტ დამესხმების, კრიჭა შეკრულ შავ მინის სამარე გამეთხრების.

— ეთერო, რა'ებს ახყრ-ჩახყრ, თვალბიმიც დაგეთხრების! —

ჩემ ბერდელის წმა ჩამომწვდ..

ჩემ საყვარელ ბერდელო, ვიც, ყველაფერ ვიც...

ყორეებში- ყვაილებ, ყავრეებზე-ყვაებ, ცას ნაცრეცალ ნისლებში ეზოს ნაფენ ზღავებ. ყორეებზე ხავს-ჯინჭარ, კარჩხილს სხმულ ცხვრის ტყავებ, სამარილე გრძელ გეჯებ, წყლის ღრმად ღებულ ნავებ.

თუშეთ ჩემდ ძილ-ღირღალში საბნად ნახურ მთა-ველ.

ფერებგანაღარიბალ დღეებ თენდების, უღიმღამოდ ნაცურალ დღის შუქ ბნელდების. უშენობით დანამწვრალ დღეებს წელ სწყდების, ოხვრა-ოხვრა-ოხვრის ყრას მწვრალ დღე შტერდების.

ფერებ განახუნარ-ღლილ დღეებ ბევრდების.

ბევრიც შიგში რო ეცე-დ ბევრიც ივაგლახვ, დამცინავ წუთისოფელ დაგლენცს, ახი,ახ!

ფეწზე რა'იც გინდ გეცვას, მარმამ-ლაქი-დ-ფლახვ, ამ სამზეოს ვერ გაღვლი-დ ბოლოში ვერ გახვ.

წესად ნაქცევარ სიკვილის ემალ, ვერსიდ ნახვ.

არვინ არვის ჩახყოლი საფლავ-სამარეშია-დ მეაც არვინ ჩამომყვებ, ვერც მე ჩავხყვებ ვერვის.

ვერც ვერავინ ვერ ქცეულ ვერცხლის თასადა-დ ვერც რო ვერცა ციხედ ვერკვლის.


ყველა' უფლის გაჩენილ უფლისგან ვიწოცებით, მინან მინას ვეფხვნით.

არავინ არ დ'იკვებოს, იამას-იამას ვიქამავ, არაფერ არ გვეთქმის...

ტყუილ არის, სამარეს არავინ ჩამომყვება-დ ვერც მე ჩავხყვებ ვერცვის...

ასჯერ მაქვ აგებული-დ ასჯერ ჩამოშლილ სასევდარის ციხე-კოშკ, ქონგურ ჩამოღვრილ.

მდულარე მაქვ თავს ნაღვარ, შხამ-გესლ, ჩამოფხვნილ,



ჩამდნარ სანთელ-კელაპტარ თმენით ჩამოქნილ.

დანამშვრალ ფეჭის ცერზე უფლისკ თავმობრილ, ასჯერ მაქვ აგებული-დ ასჯერ ჩამოშლილ...

*** ჩემ ლექს ხან თეთრ ბატკანი, აბრეშუმის კრავლიან,

ხან კამკამა' წყაროი ქაფ-ქაფა'ი-დ ჭავლიან.

ჩემ ლექს ხან მტკმარ ჳმის ჩიტიი, ფერად ბუმბულ თავს მხვიარ,

ხან არნივი თვალნაფართ, მტაცებელი-დ ავ ჳმთან.

ჩემ ლექს ხან ნადირთ მწყემსიი, ოქროს გძელ თმაა, დალ-მქვიან,

ხან ბასრ კდით ნალეს მთაი, დად-ლუდე გზაა, თან ქვიან.

ჩემ ლექს ხან ჯვარისკარი, იმედუ'შლეულ, თან მზიან,

ხან ფაფარშლილ თეთრ რაშიი, მუწლდუ'შშვრალა', თავგზიან.

ჩემ ლექს ზოლიან ვეფხვიი, გაზით გამრთმელ ჯაჭვთ ტიალ,

ჩემ ლექს ჭიკჭიკ მერცხალიი, გადმომსერველ მთა-წყლიანთ.

ხან წვიმიან დღე არის, სეტყვა,დელგმ-მეხ თან მცრიალ,

ჩემ ლექს ხან შავ ლამეი, უმთვაროი-დ გამზრინავ.

ხან სითბოღვრილ დღე არის ყველა'თ მთბობელ,მადლიან,

ჩემ ლექს ხან უვალ გზაი ეკალ-ბარდ შლილ,ბადლიან.

ხან გვირილა'ის ველიი' თეთრად ნაპენტ, მადლმღვივარ,

ჩემ ლექს რა'ილ აღარაა უფლისკ კარ მბულ, თან ღია'.

*** იციი,რა'ზე მომიამბ — ყავრით ნალოზ, ნისლფენილ, ანამწვანარ ყანებზე,

პირში ბალახ ჩაჭაფშულ ქედუხრელ მშრომელ ჳარზე, იმის ნასევედ თვალებზე,

მარგილებზე ჩამოცმულ, წვიმა-წყლით განათეთრალ, თავხრილ ცხენის ქალებზე,

ჳმა-ჭკვა სიღრმეს ჩანაკრეფ, სიმარტოით განაბეზრ, ჩულრუმელა' ჭალებზე...

იციი, რა'ზე მომიამბ — ალათოს სამარის თავ თავხრილ ახალ მთვარეზე,


სოფლის გადაფარებით ჳმოების საყარა'ზე, თავია'ზე, მწვანეზე...

იციი, რა'ზე მომიამბ — ჩვენ ჭერხოს შენაჭვრეტალ, მზის სხივ ცერ-ცერ მპარეზე,

ჩემ თუშეთზე მომიამბ, ცხვა არაფერ არ ჳძრავს გულს, დანაფიქრალს მწარეზე...

ჩემ თუშეთზეალ მიამბ- უმტეროს თავ ჩამომჯდარ სრულ მთვარეზე, მტკმარეზე.

*** მოდი-დ ავხვეთ არაგვის დანამზრალარ ჭალა'ს, საბეკურის კარს ნარომს მინდის ვხვევით ნაკვალავს.



რამდენ ჳმა-ჭკვა ნაკრეფნი, ვასაკმეგლოთ, ვემთხვიენეთ ციხე-ციხის კარა'ს, ჩვენ რა ბეჩავ-ბუჩავ ვართ, კალთა'ს მბულნ სატანა'ს.

მოდი-დ ავხვევით არაგვის მოდუდუნე ჭალა'ს, მოდ-მოდ, გვირგვინ დავადგათ ხოგაის ძის ძალას...

*** მარტოობამ შემანუხ, თავისთავსთან რჩევამა-დ თავისთავსთან რჩენამ.

არავის ჩემდ ყურგდებამ, ზეცამდ სულის წვდენამა-დ მინისაკვე ფრენამ.

ქაჯ-ეშმაკ, მაცილების გარმირგველ შემოტრიალმა-დ დასაცილით ღმენამ..

სიმარტოემ ლამ-ლამს მრი, თვალახვეულთ, გულქვად ქნილთ ბურბუსალში რევამ.

კუდებნანასკე ჩლუნგების „გამიშვიე-გამატარეე“, — სანინოსაკ მბლრევამ.

რა' ეზმებ ჩემ სამშობლოს იასრ ზერა-ქვერა ნაბრუნს, მე რავ, მე რავ,მე რავ!..

*** რა' თამაშ-თამაშითა-დ ტყუილებით მიდენილ ვერ სათმობელ სანუთროა...

*** რა' გვერც ხატ საბძანისში — გულში მიზის სამშობლოა...

*** ფეჭისგულზე მექავებ, შორად წავალ, ვიც...

*** მარჯვენა ყურ მიწვის, — ჩემდ ვილაცა ლოცულობს...

*** ღმერთო, მომკითხე-დ დამსაჯ, რა'ისიც ღირს ვიყვ...

*** დუმილ-დუმილ-დუმილში ჩვენ ერთმანეთ დავხკარგეთ...

*** მე შენ ველარ გიცნობა-დ შენდ მეაც გავკვდ უცხოა...

*** სამზეო მიდგ მიძონილ, გამოფიტულ, ნაყრუალ...

*** სი წამიხვედ, ხალიზო ან ჩემ ალალ ღმილო...

*** სუ დარდის ჳანდ რად მხვიავ, ხეს რა' გვერც ჳშირ ხვიარა'...

*** თუ იწვიმებ,იწვიმე-დ ნუ ხფუხფუხებ, ცაო...

*** წყალ რო, ი'სრ არ დადგების ცოცხალ კაცის ფიქრ...

*** ჳელერთიან იღვიძებს ძილდანატრულ თბილის...

*** რა'მ არ დაგვალა-დ დაგქანც, სუ მიმდინარ მტკვარო...

*** ჩამოჭენდილ, ეთერო, ხუჭუჭა' თმებ ჩამოპენტ... ცოტა' ხან შენთან დავრჩებ, ჩემ დარდიან ბაღლობავ...

*** სანვიმარ ღურბელსავით სუ მოქუფრულს ჩემ მტერმ ხედ...

*** მერცხლებ აღარ მოდიან, რა'შია ჩვენ საქმე?...

*** გვირგვინს გულზე გუ'ხეთქეს, — ძველ უბნებს გულ ახყარეს...

*** ძალისძალით სიყვარულ ვერ შენდების, გან არ...

*** „ვიცინი, ცრემლი ჩამომდის, როგორც მდინარე მილითა..“ ხალხური

*** ჳო, მეაც თეთრ კმილს ვაელვ, გულ ცრემლში მაქვ ნახვევარ, შავ ჳანლად სადარდო მაქვ, თავსა-დ ფიქრზე ნასევარ.

*** ვიცინი-დ ცრემლ თქრილით გულზე მაქვის ნაფევარ.

*** „ლამაზ ქულაჯას ჩაგაცომ, ბევრნაოჭიან ტყავთაო..“ ხალხური

*** მეაც თვალბდანუხულ წავედ მთისწვერთ — ჳუთას, ქათიბ — საღია'ცოთა კალთა'ს მიდევს ფუთავ.

*** ჳანლის ჳშირ ანანწში თვალ-გულმ დამიწყ ხუთვანი, დიიდ გალოებიზდ მომინდ ღემის ჭრან-დ კუთვავ.

ხანდხან მზე შეშქამდ სოფელს, დამზრალს სხივთში მფუთავდ, თვალდანუხულ ავეცხრი გულში მზეღვრილ ჳუთას...

*** შენდ თვალ თვალში არ მიყრი, თავდახრით, გულკანკალით, სულქცევით ძლივს გიამბობდ.

*** ზოგ რა' გვერით თამამი, ნატვრაშიაც ბეჩავ ვარ, გულანაჩქარ გიღნობთ.

*** ი'მაზე თუნდ წუთას ფიქრ, ჩემ თავიზდ ვერ განანდობ მყოფნისა-დ სულს მიამობს.

*** „ლამაზ, თეთრ კელაპტარივით ვის ხელში ჩამასდნებო..“ ხალხური

*** მეაც ვიქანცე-დ ჩამოვდნ ჳევსურების ჳელში' ბევრჯელ ამოვიქვითინ მალულმ მყეფარ ჳევში.

*** ბევრილ ბარგი-დ ბანდ ვათრი სამზეო ბასრ- მჭრელში, ხანთხან მზეიც ღულუნებდ ჩემ სევდიან ჭერში.

*** უფრ მღვიძარემ ვიღანლალ, ხან საბანს ვწევ ჭრელში, მეაც ვიღვენეთე-დ ჩამოვდნ ფეცსურების ფელში.

*** ეს დილაიც შემოთენდ, მზე მოხყვ ნამძინარევე მთელი ღამე ნათეთქვარ, ვეფეთ ნამტირალევე.

*** — ეთერო, იტირეავ?- თავ დახარა-დ დანანვით დილა'ობამ მკითხ...

*** „მთვარეო,ღრუბლიანჩია ჳოგსა ვერ მიძოვდია?“ ხალხური

*** მთვარეო, მე რა'ს მპირდებ, იმედ რა'ზე ვიქონივე, ჳოგ არ მყავის საძოვებ, არც ჳვილ ვარ, ვიყოლივე,

*** მთვარეო, ცას დიდხანს დარჩ, თან შენ ნათელ ვიყოლივე, სიბნელე შორად გამყარ, ი'სრეც კარსთან მიწოლილ.

*** მთვარეო,უფრ გამა'ნათ გულს რო იმედ ვიქონივე...

*** თმენასაც აქვ ბოლოი-დ თმენისიც წყდებ ბანარ, ხან ანამწვან ბექ მოსწყდებ, რჩების ნაფხვერ-კანარ.

*** სწორფერიც დროს გახყოლი, გადაკარგულ წანალ...

დასაწყისი პირველ გვერდზე

„ორივეს ერთნაირი ჭობრიბი აქვს“

სლაიმალნი მანქანას ქოქავდა და საქარე მინაზე სანმენდების რიტმულ მოძრაობას თვალს ადევნებდა. დაინყო, — ფიქრობდა და მოდუნებული სხეული სასიამოვნო შვევას ჰგვრიდა. თავი გაიდსიის ღირსეულ მოქალაქედ თუ მიგაჩნია, სწორედ ამგვარი კეთილგანწყობით შეხვედები უგულვებელყოფილ შემოდგომას. სლაიმალს „სტამბოლელი ნაბიჭვარი“* რომანის პირველსავე გვერდზე გალანძლილი წვიმის გამო გაახსენდა: „სტამბოლის წვიმა კი არ ჩამორეცხს, ცოდვებით ავსებს ქალაქს. ჩვენთვის წვიმა სასურველი სტუმარია, ფიზიოლოგიური ხსნარით წვეთ-წვეთ გვასაზრდოებს, ვენებს სისხლით გვივსებს. წვიმს — ნიშნავს, რომ გაიდსია ადგილზეა, მოძრაობს... არ ცხრება!“

არ ცხრება, როგორც ეს სლაიმალის მეგობარ ქალს დილაობით სჩვევია. ამ ჩვევის დამსახურებით სხეული ფორმას, ფსიქიკა ნონასწორობას, ტესტოსტერონი დონეს ინარჩუნებს. ამგვარად დარეგულირებული სტატიკურ-დინამიკური მდგომარეობა ტოლერანტულს გზდის. საბოლოოდ კი კეთილგანწყობილი სლაიმალის გალიზიანების გარეშე აღიქვამს მეგობარ ქალის ბადისებრი კოლორატების გამოწვევს, პლატფორმიან ფეხაცემელთან უგემოვნო შეხამებას; აუღელვებლად გასცქერის ქალაქს, მოხდენილად რომ ატარებს უთავბოლო წვიმას სახურავებსა და ქუჩებს.

სლაიმალს ხუთი წელია ერთი მეგობარი ქალი ჰყავს. თუმცა, ცხრა სექტემბერს, ზმნა „ყოლა“ მეტი სიზუსტით წარსული დროის ფორმაში გააქურდებდა: წვიმა მუქნიშნის ფერებს გადღაბნის, წესებს დაარღვევს, ჟღალთმიანი ტასება დაძრული მანქანის წინ გადაიბრუნებს, სლაიმალის უკანასკნელ მომენტში შეძლებს დამუხრუჭებას, ვინაიდან წვიმასავით გამჭირვალე ქოლგას შეფარებული, ანონილი ქალის თმა გაიდსიის აგურისფერი სახურავების ფონზე თითქმის არ მოჩანს, ოცდამეხუთე კადრივით ელავს და სუბლიმურ გზავნილებს ტოვებს.

მხოლოდ დღის ბოლოს, სახლში დაბრუნებული ხვდება, რომ მთელი დღე თვალწინ ედგა. მთელი დღე კი მონიტორის წინ საპასუხისმგებლო გამოთვლებში, შესვენებაზე ყავის ეფექტის მოლოდინში, ტელეფონის ყურმილთან რძლის სევდიანი ნაამბობის მოსმენაში გაატარა. საზრუნავითა და წვიმით გაჯერებულ დღეს სლაიმალის ქვეცნობიერმა უცნობი ქალის მისაღებად გასაოცარი მზადყოფნა გამოავლინა. ის, რაც საყვარელმა გაიდსიამ სარეკლამო, ოცდამეხუთე კადრის ეფექტით შესთავაზა, სლაიმალმა უყოყმანოდ აირჩია.

„ორივე თავს ელოდება“

სლაიმალნი თვლიდა, რომ ჟღალთმიან, ანონილ ქალს იქ შეხვდებოდა, სადაც ცხრა სექტემბერს დალანდა. საყვარლის სახლიდან გამოქცეულ, ერთი ღამის თავგადასავლით თავშექცეულ ქალს არ ნაავად, სტაბილურობის განცდას ბადებდა. უსათუოდ დილაადრიან დგებოდა, ყოველი წამი განერილი ჰქონდა და დაგვიანება მიუღებელ საქციელად მიაჩნდა. არაფერი აგონებდა ძველ მეგობარ ქალს, ზღაპრული წამომდგარს, მუადლეზე ნახევრადრაცმულს, საღამოხანს ქუჩაში გაღნეულს, სიგარეტის კვამლით გაჟღენთილი საპარიკმახეროებისა და პაბების ერთგულ კლიენტს. რთული იყო მისი კანისა და თმის ღამეული გაიდსიიდან გამორჩევა — ის ღამის ქალაქის სარეკლამო რგოლის ოცდამეხუთე კადრად დარჩა სლაიმალის მოგონებებში.

გამოჩნდა: კაკაოსფერი, კოჭებთან შევინროებული, მაღალქუსლიანი მუხებით, პესკა კოლგოტებით, ყვითელი შიფონის მუხლებამდე გოფირებული, ტრაპეციის ფორმის ქვედაბოლოთი, წელზე ტყავის ქამრით მოჭერილი, ანგორის ძაფით ნაქსოვი ყავისფერი ჟაკეტით, აქეთიქით სავარცხლებით ანეული, ხვეული თმით, პოლიეთილენის ქოლგითა და უზარმაზარი ყვითელი ჩანთით, მთელ საკუთარ ცხოვრებას რომ ჩატეხ და მინც არ დაგამძიმებს. ფეხდაფეხ დამუხრუჭებულ საფრთხეებს არად დაგიდევდათ, მსუბუქად მიქროდა ფერებგადაღბნილ ქალაქს შერწყმული, სახურავებამდე ყელყელაობდა.

სლაიმალმა აგურისფერი თმის ბუდე გულში ჩაიკრა, თვალდახუჭულმა გამოიცნო სუნამო — „მოსკინოს ჰიპი ფიზი“, ცოტაც და თბილი ფეხსაცმლის მუხედავად

გაყინული, პესკაკოლგოტიანი ტერფი თბილი მტევნებით დაუსრისა — „ქალბატონი ბოვარიდან“ გამოყოლილი ვენისამშლელი პასაჟი მორიგო. მოუნდა რაღაც ეთქვა, ბაგეები აამოძრავა, თუმცა ჯერ არ იცოდა ქალს ტასება რომ ერქვა, სათქმელი გადაყლაპა და როგორც სჩვეოდა, დროულად დაამუხრუჭა. თვალი რომ გაახილა, ყვითელი შიფონის მუხლებამდე გოფირებული, ტრანსპარენტის ფორმის ქვედაბოლო ავტობუსის კარში შეფრიალდა.

ათი სექტემბერი გაცნობის და ადვენების დღე არ ყოფილა. სლაიმალის ჰოსპიტალში, რძლის სევდიანი ხმით მოყოლილი ამბობის მთავარ გმირთან, დილასთან მიჩქარდა. დილა სლაიმალის ცხოვრების მთავარი ქალბატონი იყო — გაიდსიის წვიმასავით ყურმილიდან გადმოღვრილი ცრემლების მიზეზი. დილას განსაცდელი სლაიმალს თავისი კლასის დამრიგებელს, მისის-მოცვისბუჩქს აგონებდა, თითქოს საჩვენებელი ჯოხით ხელში თავს დასდგომოდა და გამოსწორებისკენ მოუწოდებდა, უკეთესი საქციელისკენ სლაიმალთან ერთად მთელ მის ოჯახს: ძმას, რძალსა და დილას უფროს დაიკო ელპისაც კი უბიძგებდა.

სლაიმალის მთელი გზა გულში ესაუბრე-

მაკა ლდოკონენი

ოციდან ოცდაათამდე „ცხენისკუდა“



ბოდა დილას, პირობას დებდა, რომ უფრო გულისხმიერი, მოწყალე და დამნდობი გახდებოდა. თავმდაბლობა და სისადავეც არ აწყენდა.

მაგალითისთვის: ამიერიდან ავტობუსით ივლის, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურისკენ გზას გაიმრუდებს. გაცილებით ადრე ადგება და ამ ხერხით უფრო დიდხანსაც იცოცხლებს (ბოლო დროს მათ ოჯახში სიცოცხლეს ფასი დაედო). სლაიმალს დიდი ხანია ავტობუსით არ უმგზავრია, დილა კი ყველაფერი იცის საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესახებ და საყვარელი ბიძისთვის სასარგებლო რჩევებს არ დაიშურებს. თავის მხრივ სლაიმალის წესებს ზედმიწევნით შეასრულებს: ანონილ ქალს ავტობუსის კიბეზე ასვლის დროს ხელს შეაშველებს, გზას დაუთმობს, გათავისუფლებულ ადგილზე მიუთითებს, დაჯდომას შესთავაზებს ხოლმე. აკურატულად ჩაცმულ, ნაცრისფერთვალე სლაიმალს ისიც უსათუოდ შენიშნავს. „ბიძია, შენ დღეს გაიდსიის მოედანზე, დიდ ვიტრინაში გაუხმრეულად იდექი და ვერ დამინახე!“ — სამი წლის დილას მიგნებას ოჯახის წევრები სიცილით შეხვდნენ (ეს ადრე იყო, ჰოსპიტალამდე, მაშინ სიცილი არ უჭირდათ). სლაიმალის წესებს უბრუნებდა: მაშასადამე ყოველდღე ავტობუსით ივლის, ფეხდაფეხ აედევნება, გალანტურად მოიქცევა, მალე ქალიც შენიშნავს, რამდენიმე კვირაში გააუღივებს კიდევ, ერთხელაც, ნაბახუსევ სლაიმალს გამბედაობა მოემატება და მისალმების ნიშნად თავს დაუკრავს, რამდენიმე დღეც და მის გვერდით, ახლადგათავისუფლებულ სკამზე

ჩამოჯდომასაც შეძლებს. ქალი კი სტანდარტულად, ფანჯარაში ცქერას და გაიდსიის ქუჩებში ახალი აღმოჩენების კეთებას როდი დაინწყებს, თვალეში გამოცდელად ჩახედავს, მერე მუხლებზე ჩამოდებულ თითებს შეუთვალეირებს.

სლაიმალის გაჩერებაზე მზერის გაყოლებას აღარ დასჯერდება, ავტობუსიდან ჩამოვა და ხელკავს გამოსდებს.

„გვიარღვივარ სხიდან“

ტასქებას გარუჯული კანის რეცეპტორებმა ტვინის ნახევარსფეროებამდე უმოკლესი ბილიკები გაკვალა და უკანა გზაზე მიკროსკოპულ ბორცვებზე მოეფინა სხეულს. მზად არის უზარმაზარი ჩანთა მოისროლოს, ქოლგაც ზედ მიაყოლოს, მობილური გათიშოს, სამსახური დაივიწყოს. ასე იქცევიან ქალები, „მოსკინო ჰიპი ფიზი“ რომ ასხიათ — ფორმალობას მომავლისთვის გადადებენ და სქოლიოში ჩასატან განმარტებას სათაურში თუ არა, პირველსავე აბზაცში გააუღვრებენ.

- ტასება... თქვენ?
- სლაიმალის... როგორც იქნა!

— თოლიების მშვიდი ხმები...
— ყველაფერს უსწრაფესად ალაგებ საჭირო ადგილას, ტასება, ვგრძნობ, რომ სისხლის ფორმულაც ნორმალს ჩამიდგა.
— წესით, აი, ახლა უნდა მეთქვა, რომ მიყვარხარ, სლაიმალ, წელან ავჩქარდი.

სლაიმალის სატინის ყვითელ თეთრულთან ლოყით შეხებისას, სისუფთავისა და სიგრილის ფონზე მეტი სიმძაფრით იგრძნობა „მოსკინო ჰიპი ფიზის“ არომატი, დახვეწილი ალერსი კი გაუსტავ ფლობერის გმირებს გახსენებს.

— ერიკ სატის რომელ „გნოსიენს“ გულისხმობდი, სლაიმალ?

— პირველს. რა თქმა უნდა, ნომერ პირველს. მოგწონს ასე?

ჟღალთმიანი ქალი გრძელი თითებით ქუთუთოებს ხეება და თვალის დახამხამებაში ზამთარი მოდის.

„ბადა – გადაგდაული“

რას ნიშნავს „გნოსიენი?“ ეტიმოლოგია უცნობია, უფრო სწორად, ავტორის გამოგონილი სიტყვაა. გამოგონილი სიტყვით დასათაურებული ქმნილება კი, როგორც წესი, ავანგარდულია, დროს უსწრებს, რის გამოც ნებისმიერი ქალაქი სათანადოდ ვერ იღებს და ეს გაიდსიის ახირება არ გვეგონოთ.

გაიდსიისგან უგულვებელყოფილი სამი თვე კი ზოგჯერ მთელ ცხოვრებას იტევს. თითებს შორის წვიმასავით გაცრილი დღეები მინაზე ეშვება, ფეხქვეშ მიედინება და მსოფლიო ოკეანეს ერთავს.

ნომბრის მიწურულიდან ტასებას ყოველდღე შეეძლო სიყვარული, შეუმჩნევლად ტოვებდა კრიტიკულ დღეებს, სლაიმალთან ერთად შესრულებული ნებისმიერი კომპოზიცია კადენციით სრულდებოდა, უხვი ნალექი მკერდს უვსებდა, მხოლოდ ფრჩხილები და თმა გამოვიდა მწყობრიდან, მყიფე გაუხდა. ფრჩხილები ძირში დაიჭრა, მერე უფრო მოზრდილი მაკრატლით შეიარაღებულმა გაიდსიის აგურისფერ სახურავებს გახედა, თოვლი ჯერ ალაგ-ალაგ რომ ფარავდა. გაურკვეველი მიმართულებიდან მოსულმა სუბლიმურმა გზავნილმა აიძულა თმისთვის არაფერი ეწონა, გაფრთხილებოდა, აბუსალათინის ზეთი მოძებნა და თმის ძირებში შეიზილა.

სლაიმალის გვიან დაბრუნდა. ცალყბად ილიმოდა. სამუშაო მაგიდას მიუჯდა, ვარდისფერი კონვერტი დაეწონა, გაჭრა, წერილი ამოიღო, კითხვა დაინყო, თვალეზი გამჭირვალე სითხით ავესო, ტასებამ თვალის მორიდება არჩია და თმის ჩამოსაბანად გასწია.

ქალები, „მოსკინო ჰიპი ფიზის“ არომატით თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში იკავებენ, თუ საქმე მეგობარი მამაკაცის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ეხება. ისინი მოთმინებით ელიან საშვს, რომელიც შესაძლოა ვერასდროს მიიღონ. ტასება ფოტოსურათებიდან იცნობდა სლაიმალის ძმის ოჯახს. პირველად რომ ნახა, სლაიმალის ძმა ეცნო კიდევ:

- ეს კაცი მანიკია, სლაიმალ!
- ჩემი ძმა? ის ყველაზე უწყინარი არსება დედამინაზე.

— შეიძლება სხვას მივამგვანე. ავტობუსში, სანამ შენ გამოჩნდებოდი, ეს კაცი ამეკიდა, შენსავით სიყვარულით მიმზერდა, მაგრამ კიდევ რაღაც უნდოდა, რაც ვერ გამოვიცანი. ალბათ ისიც მიხვდა, რომ ჩემგან სასურველს ვერ მიიღებდა და შემეშვა.

— გამორიცხულია, ეგ მალკოვი არ იქნებოდა.

— შენ რომ გამოჩნდი, თავიდან ის მეგონე, იგივე თვალეზით მიყურებდი, თუმცა სხვაგვარად გეცვა, იქცეოდი, მოკლედ, არ ვიცი ეს რა იყო.

„როდის გამაცნობ შენი ძმის ოჯახს, სლაიმალ?...“ ნებისმიერი ქალი ასე გაავრძელებდა დილოგს, მაგრამ „მოსკინო ჰიპი ფიზის“ არომატი ნებისმიერს არ მოსწონს. თუმცა ახლა, შხაპის ქვეშ, აბუსალათინის ზეთით გაპოხილ ტასებას, წყლის ჭავლთან შერეული, საყვარელი სუნამოს სურნელი გულს ურევს, გამალებით ფიქრობს ვარდისფერ კონვერტზე, სლაიმალის ამღვრეულ დუმილზე, მკერდზე ქაფიანი ღრუბლის შეხებაზე სხეულში დენი უვლის და მზად არის იკვილოს.

— სლაიმალ! როგორ შემაშინე, სლაიმალ! აქ რას აკეთებ?

— უნდა გამათბო, ტასება! რამდენი თმაა, რა ხდება? ამდენ თმას წყალს აყოლებ?

- ბოლო დროს უსაშველოდ მცვივა.
- რა უსამართლობაა, რომ იცოდე.
- რა გჭირს, სლაიმალ?

მეტი ვერ დავიხსომე.

— ერთ გოგონაზე ვფიქრობ, დილა ჰქვია. მიტრიალდი, ღრუბელს ზურგზე წაგისვამ.

— უცნაური სახელია დი-ლა.

— დილა რომ გაჩნდა, დილას მამა კავკასიაში მუშაობდა. ერთ-ერთ იქაურ ენაზე დილა განთავსდა ნიშნავს და ცოლს შემოუთვალა, ეს სახელი დაარქვიო. მგონი, წონაში იმატებ, ტასება.

— ალბათ ლამაზად თენდება კავკასიაში. ვიმატებ?

— შეიძლება მომეჩვენა, მე კი ასეთი უფრო მომწონხარ. ყველგან ლამაზად თენდება, ტასება, მხოლოდ დილასთვის ასე აღარ არის. პირსახოცი მომანოდე. თმას რომ გაიმორობ, გამოდე, ჩემი ძმის ოჯახზე გიამბობ. რას შერეობი, „მოსკინოს“ რას ერჩი?

— გულს მირევს, სლაიმალ, უნდა გადავვლო.

საკანალიზაციო სისტემაში მოხვედრილ სუნამოზე ფიქრობს, როგორ ერევა ყვითელი, არომატული სითხე აყროლებულ მილებს, მაინც ვერ იშორებს მის სურნელს, უნიტაზს ისტერიულად რეცხავს, მოზღვანებულ ნაღველსაც შიგ ანთხავს, რეცხავს, ჰაერს გაძალებით ყნოსავს, მერე ჰიგიენურ პაკეტებს ყუთიდან ყრის, ყუთში სუნამოს ცარიელ შუშას ტენის, ურნაში აგდებს. პირსახოციც სწრაფად იშორებს თმას, სააბაზანოს იატაკის ფილები თმის ღერებით იფარება, გამოცდილი თვალით ადგენს, რომელი რამდენიჩინანია, ჰიგრომეტრისთვის რომელი გამოდგება. თითქოს არცერთი. იქნებ მხოლოდ უვარგისი თმისგან თავისუფლებდა და არც ისე ცუდად არის საქმე. ამას ხვალ გაარკვევენ, თმის მორიგი პარტიის ჩასაბარებლად რომ გასწავს გაიდისის გარეუბანში, თმის ჰიგრომეტრების მწარმოებელ ქარხანაში.

ჰიგრომეტრები გაიდისის სავიზიტო ბარათია, სწორედ აქ, დედამისის ზურგზე ყველაზე ჭარბნაღველიან ქალაქში მზადდება ჰაერის ტენიანობის საზომი საუკეთესო ხელსაწყოები. ნესტის მატებასთან შესაბამისად მეტალის ჩარჩოზე გაჭიმული, გამომშრალი თმის ღერის სიგრძე იცვლება, ისარს ამოძრავებს და ჰიგრომეტრის ციფერბრატზე საჭირო ნიშნულთან აფიქსირებს. ხელსაწყოების გასამართად კი მხოლოდ ჭაღალი, რვიდან ათ ინჩამდე სიგრძის თმაა გამოსადეგი, დიხ, ჭაღალი თმის ღერი ყველაზე მგრძობიარეა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დავიდარაბა უნდა ტრიალებდეს იქ, საიდანაც სათავეს იღებს?

ტასება მეთავე წელია თმის საუკეთესო მიმწოდებელი ითვლება, სწორედ აქედან მიღებული, დამატებითი შემოსავლით ახერხებს სკოლის ბიბლიოთეკარისთვის ხელმისაწვდომ ფასზე გაცილებით მეტი გადამხდობის ტანსაცმელში, ძვირფასი სუნამოებითა და აქსესუარებით გაანებივროს საკუთარი თავი. თუმცა, ახლა, როდესაც თვალსა და ხელს შუა თმის უძვირფასეს ღერებს კარგავს, რატომღაც არ დარდობს, ნებისმიერ სუნამოს ოზონით გაჯერებულ ჰაერს ამჯობინებს, რაც შეეხება ტანსაცმელს, სლაიმალის სააბაზანოს ხალათში ყველაზე კომფორტულად გრძნობს თავს, „მგონი, მართლა ვსუქდები“, საჩვენებელი თითით ხახას ეხება და სანამ კუჭის წვეს არ ამოიღებს, ისტერიულად რეცხავს უნიტაზს. მერე ტუალეტის მაგიდაზე გაბნეულ ჰიგიენურ პაკეტებს უბრუნდება, ერთად აქუჩებს, მაგრამ ხელიდან უვარდება: „ღმერთო ჩემო, რამდენი ხანია არ დასჭირვებია? რამდენი? კალენდარი სად არის? ამ დაქცეულ ქალაქში თვეებს ხომ ვერ ენდობი? სლაიმალ! შენ კიდევ იტყვი, რომ ექიმი ხარ, ვერაფერს მიხვდი! სლაიმალ!“

— ტასება, როგორც ვატყობ, მანდ ჩაგეძინა. მე გავრბივარ! მალკოვს სასწრაფოდ უნდა შევხვე!

— სლაიმალ, დიაცადე! მართლა მოვიმატე, სლაიმალ, და ამის მიზეზი ვიცი!

— დავბრუნდები და აგწონი, ძვირფასო, მერე ვისაუბროთ, არ იდარდო, თავს გაუფრთხილდი!

— რას? თმას? თმას გავუფრთხილდე? მომაკვდინებელი ხმით კივის, ფანჯრებისკენ გარბის და პირსახოცწაკრული თავით მინას ყვრდნობა. სიგრძელ აცხრობს, ჰაერში კანტიკულად მოფარვად ფიფქებს მზერას აყოლებს და ცდილობს ბავშვისთვის ახალი, სრულიად უცხო სახელი გამოიგონოს. მაგრამ ღირს კი? გაიდისა როგორ შეხვდება, როგორ მიიღებს? რატომ განიცდის სლაიმალის დილაზე? ნეტავ რა სჭირს დილას? იქნებ მის უცხო სხეულივით სახელში იმალება უბედურების მიზეზი?

ჩვეულებრივ სახელს დაარქმევს, ყვე-

ლაზე ჩვეულებრივს, არც გაჩენის დღეს დაგეგმავს, ექიმებს არც გაუტყვივარებაზე დათანხმდება და არც საკეისრო კვეთაზე. წყლებს დაღვრის, ტკივილი რომ მოუვლის, ერეკ სიტის მოტივზე აკოვლდება, მენჯებს გახსნის და ამქვეყნად ყველაზე დიდ სიამოვნებას მიიღებს, როდესაც პატარა, ჟღალი ბუსუსებით დაფარული თავი მისი საშოდან გამოაღწევს.

„ერთის ბაღი კალიან ახლოსა, მეორისა კი კალიან შორს“

ამ სექტემბერს, ელპის და დილას დედა საყვარელ კაფეში იჯდა. აქ შემოსვლა მისთვის ერთგვარ რიტუალად ქცეულიყო, გაიდისის რამდენიმე უბანში ეგულვოდა ფილიალები და გულგრილად ვერცერთს ვერ ჩაუვლიდა. დამატებითი სურნელი, მისი პირის გემოს მორგებული კერძები, სისუთოთავე – საკმარისი არგუმენტები იყო კეთილგანწყობისთვის. იქაური ყავის პირველივე ყლუპი ენთუზიაზმით ავსებდა, იჯერებდა, რომ ცხოვრებას უკეთ გაუმკლავდებოდა და გაცრეცილი იმედის ნაკუთხის ახალ-ახალი ფერის ძაფით კემს-ვას იწყებდა.

დილაადრიან უფროსი ქალიშვილი წარმატებული უფროსკლასელების დაჯილდოების ღონისძიებაზე დატოვა. საყვარელი კაფეც იქვე, ქუჩის გადაღმა აღმოჩნდა. ყავა წინ დაიდგა, არომატი ხარბად შეისუნთქა და თვალები დახუჭა. პატარა დილაზე ფიქრი კატეგორიულად არ უნდოდა, როგორც გამწყარალი დიასახალი ის ცელქ კატას, ისე დევნიდა უმცროს ქალიშვილს წარმოსახვიდან. ხანგრძლივი ძალისხმევის შემდეგ თვალწინ ელპი დაუდგა, აკურატული, გემოვნებიანი, მონეს-რიგებელი, სლაიმალივით პრაგმატული და ამავე ღრის მგრძობიარე. დიდი გოგონაა, სულაც არ სჭირდება გაცილება და მიკითხვა, მაგრამ, როდესაც მალკოვი ქალაქში არ არის, მეუღლეს სთხოვს, გოგონების მიმართ გაორმაგებული ყურადღება გამოიჩინოს და ისიც თანახმაა, მით უმეტეს, მას მერე, რაც ელპი დაქალიშვილდა და მამაკაცები მზერას აყოლებენ ქუჩაში.

კაფეს მოპირდაპირე მხარეს, ქუჩაზე ჩოქოლია, აჟიტირებული მშობლები ხმამაღლა საუბრობენ, ერთმანეთში ირევიან. „წელი წარმოსადგენია, ასეთი უნესრიგო და უდიცესი პირობა ადამიანების შვილები როგორ არიან საუკეთესო მოსწავლეები“, გაიფიქრა უცებამდე და შხამიანი ტრიქოციკლი სწრაფად დამალა, ყავის პირველი ყლუპი მოსვა. „რა გაწყობა, ესოდენ ჯანმრთელ მალკოვს და უცებას ხომ გაუწინადათ სუსტი და უმწეო დილა. ისევე დილა!“ კიდევ ერთი ყლუპი, ძალისხმევა და ნუხელ ნანახი, მაკოტო სინკაის*** ახალი ანიმე ახსენდება, უყურებდა და ელპის განსხვავებულობაზე ფიქრობდა, იმე-თაი მთვარე, რომ ელპი უსათუოდ იპოვიდა თავისწარს, ნიგებებისა და გამოთვლების მოყვარულს. ელპის არ გაუჭირდებოდა ცხოვრება. ელპი, ელპი, ელპი!

ელპის წარმატებები იმდენად ჩვეული გახდა, სათანადო ყურადღება მოაკლეს თითქოს. თუნდაც ახლა, მართალია, იმ მშობლების გვერდით დგომა ეთაკილება, მაგრამ როგორი სიხარულისა და სიამყის განცდა ეუფლებოდა, ალბათ ცამდის იფრენდა დილას განსაცდელი ბუკარის ნიშანივით ნახევარი ტონით დაბლა რომ არ აუღერებდეს მის ემოციებს. კიდევ ერთი ყლუპი და ცრემლები ახრჩობს, გულში მადლობას უხდის და ეფერება ელპის, მალკოვის რომ დაბრუნდება, დეტალურად მოუყვება, როგორ გაულამაზა ათი სექტემბრის უმძიმესი საათები უფროსმა ქალიშვილმა. მოუნდა, რამე ეყიდა ელპისთვის ან სულაც სადმე დაეპატიჟა, მერე რა, რომ დღეს ამის დრო არ არის? ელპისთვის განკუთვნილი განცდები რატომ უნდა ჩაახშოს?!

როგორც კი რამდენიმე დაჯილდოებული მოსწავლე გამოვიდა, უცებ აჩქარდა. ყავის ჭიქა გამოცალა და მიუხედავად ოპტიმისტური განწყობისა, ახალი ფერის ვერცერთი ძაფე ვერ მოიძია – იმედის უკანასკნელი ნაკუნის საბოლოოდ შემოერღვა. გაიდისის აგურისფერ შენობებზე თითქოს მხოლოდ მისთვის გამოხედილი სუბლიმური გზავნილი ამოიკითხა, რომელიც აუწყებდა, რომ დილას არაფერი გადაარჩენდა. თავისდა გასაკვირად, მზადყოფნაში აღმოჩნდა და ქალაქის გამოტყობილი ვერდიქტი გასაოცარი სიმკვრივით მიიღო. მთავარი იყო, მოზღვაებული კოფეინის ფონზე გაკეთებული ალიარება არავისთვის გაემხილა, იმედებში აპყლოდა და ნარჩენ ოთხს: ქმარს, მამულს, უფროს და პატარა ქალიშვილს.

უცებამ ქუჩა გადაჭრა და მშობლებში გაერია, მალე ელპიც გამოჩნდა, ალექსე-ბულმა გამოარღვია მშობლების კორდონი.

— დედა, აქ ხარ? დედა, კიდევ კარგი იქ, შლაგაუშთან არ დამხვდი. იცი, იქ რა ხდება? არ მესმის რატომ შემომხვდია ამდენი უცნობი, პირდაპირ დამემგერნენ, მანვებოდნენ, დისტანციის დაცვა მათთვის სრულიად უცხო ცნებაა! მითხარი, მხოლოდ ჩვეთან ხდება ასე? შენ გინახავს აფრიკაში, აცრების რიგში როგორ დგას ხალხი? გინახავს! რა თქმა უნდა, გინახავს და მოხიბლულხარ. ჩვენ რა გვჭირს? „გილოცავ, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიამაყე, ჩემო სიხარული!“ ამას სახლში ვერ ეტყვიან შვილებს? რა საჭიროა ემოციების აფიშირება? ვერ ვიტან სხვის დასანახად წარმოთქმულ ფამილარულ ტექსტებს. საღამოს სოციალურ ქსელში თავიანთ დიპლომებს გამოფენენ, ლაიქების შეგროვებას დაინწყებენ, მომიწონენ, მოგინონენ. ნეტავ სინამდვილეში რა მოგწონს? ვხვდებით კიდევ, როგორ გავაუფასურეთ ეს „მონობა“ და მეტი დამაჯერებლობა რომ შევმართო ნათქვამს ახალი უაზრო გამოთქმებით ვამტკიცებთ: „ოღონდ მართლა!..“

— ელ-პი-დე!
— ბატონო!
— ყველა შენ გიყურებს.
— ძალიან კარგი, იქნებ რამე გაიგონ!

იქნებ აღარ დამალაქონ, შეიგონ რომ არ არის აუცილებელი ყველაფერზე ცერის მალა აწვეა!

— გინდა ტარტზე დაგვატიყო? ტარტი ნაღების კრემით და მოცვის კენკრით არ გინდა?

— რა სისულელეა, რა დროს ტარტია! მერე დილა? საერთოდაც არ მესმის, აქ რატომ ხარ, დედა? მე მარტო ვერ წამოვიდოდი? ან სლაიმალი ვერ მომაკითხავდა?


— ელპი, მე... შენი სიხარულის გაზიარება მსურდა. იცი... ასეთ მძიმე წუთებში მოცემული შანსით დაუფიქრებლად ვისარგებლე, იქნებ გაიგო და მაპატიო.

— დედაა! ნამდვილი მონსტრი ვარ, შენ უნდა მაპატიო, ჭკუიდან გადამიყვანეს იქ! მოიცადე... სლაიმალი მირეკავს, მოიცადე. ხო, სლაიმალ, კარგი, კარგი... დედა, სლაიმალი უკვე ჰოსპიტალშია, მაგრამ მოგაკითხავთ, თუ გინდათო.

— არ აწვალო, რა სისულელეა, უკვე ტაქსის ვაჩერებ.

— არა, სლაიმალ, ტაქსიში ვსხდებით, მალე მოვალთ... უჩვენოდ არ შეხვიდე დილასთან. მოიცა, დედა, არ გააჩერო, დედა, ტარტი მერე იყოს და აი, იქ, „კოჭინორის“ მაღაზიაში შევიდეთ, მე გიყიდი საჩუქრად აკვარელის ფანქრებს. ახალ ფერებს აგირჩევ.

— კარგი, თანახმა ვარ.
— დედა, რატომ არ ხატავ აკვარელით, ფანქრებს რატომ ამჯობინებ?
— ნაკლები დრო და ადგილი სჭირდება ფანქრებს, ელპო.
— დედა, შენ ყველაზე კომპაქტური ადამიანი ხარ, ვისაც ვიცნობ. სლაიმალი მეუბნება, რომ მამა შენს გარეშე მთელ ქალაქში ნაწილ-ნაწილ მოიფანტებოდაო.
— მთელს სამყაროში.
— ხოოო... მამა ბოლო დროს უშენოდ მოგზაურობს. იცი, ასე მითხრა, არ მეგონა, როდესაც პარიზს ვენახავდი, დედაშენი არ მეყოლებოდა გვერდითო.
— როდის გითხრა?
— დილით მომწერა.
— მე არ შემხმინებია დღეს.
— შენ მიწერე რამე?
— არა.
— ჰო და, ნუ გწყინს. ისიც შენსავით განიცდის. აი, ამ ორ მწვანე ფანქარს გყიდულობ, და ესეც იყოს, თითქოს მწვანეა და თითქოს არა.
— თეთრიც მინდა.
— თეთრსაც ვამატებ. აგურისფერი აღარ იყიდო, ნაილო ტვინი აგურისფერმა!
— კარგი, გავედით, ტაქსი მოდის, ვაჩერებ, ელპო!
— დედა, იცი, მინდოდა დღეს მე, შენ, სლაიმალს და მამასაც, აქ რომ ყოფილიყო, ყველას თმა გადაგვეპარსა, მერე ყვავილები და გვეგახატა თავზე და ისე დავხვედროდი დილას.
— როგორ მოიფიქრე?
— ეს მე არ მოვიფიქრე, არსებობს ასეთი სოციალური ვიდეორგოლი, ქალს ქიმიოთერაპიის კურსის შემდეგ, სოლიდარობის ნიშნად თავგადაპარსული დაქალები ხვდებიან და ... ოოო, დედა, რა გატირებებს?
— რა საოცარია, რატომ ადრე არ თქვი ეს უნდა გავგვეკეთებინა.
— ვაპირებდი, მაგრამ დილა გამოსა-




ვები საღამოსთვის ვარცხნილობა ამირჩია და მთხოვა, როცა სალონში წახვალ, მეც თან წამიყვანე. უარს ხომ ვერ ვეტყვოდი, ხომ ვერ მოვატყუებდი! თმა რომ გადამეპარსა, დილას არჩეული ვარცხნილობის სამყოფი გაზაფხულამდე ნამდვილად არ ამომივიდოდა. მოკლედ, რაც არის არის, ასე მოხდა! ისევ სლაიმალი რეკავს... მოვედით ბიძიაა!

— აქ გააჩერეთ, ნუ მოაბრუნებთ, ჩვენით გადავალთ, მადლობა. წამოდი ელპი, ცოტა ფეხით გავიაროთ.

უცება თითქოს გზას ძალით იგრძელებს, რამდენიმე ნაბიჯით მეტს გაივლის ჰოსპიტალამდე და მერე მივა. მერე სულ იქ იქნება. დედა-შვილი კაპიუმონებში მალავს თმას, ამას სინქროულად აკეთებენ, შეთანხმებით გარეშე და გაკვირვებულები უყურებენ ერთმანეთს ცრემლიან თვალებში, ორივეს ეუხერხულება გრძელი ცხენისკუდეები — ერთს ჭაღალი, მეორეს ნაბლისფერი.

— გოგონებ, სად ხართ?
— სლაიმალ!
— სლაიმალ, როგორ ხარ?
— აბა, თქვენი ამბები მითხარი? რაზე ჭორაობთ? ნემა შეწყდა და ეს კაპიუმონები რატომ წამოგიხურავეთ?
— დამაჯილდოვეს, სლაიმალ, დედას ფანქრები ვუყიდე, შენ რა გიყიდი, მითხარი? ნუთუ ამქვეყნად არაფერი გინდა? ყველაფერი გაქვს?
— არა, არც ასეა საქმე. მაგალითაად... ჭოგრიტზე უარს არ ვიტყვოდი.
— ჭოგრიტი?
— სლაიმალ, რას დაეძებ? აღიარე!
— მართლაც, რას დაეძებს სლაიმალი?
— ჭოგრიტს თუ მიყიდით, მივაგნებ და მერე უსათუოდ გაჩვენებთ, გოგონებო.
— სლაიმალ, დღეს შენი და მამას ყოფილი მასწავლებელი შემხვდა, მოიცა, გავიხსენო, სესილია... გვარი არ მახსოვს.
— მისისმოცვისბურჭი.
— რა-ა? ასე ეძახდით?
— ცოცხალია?
— ყველაზე მეტად ცოცხალი დედაშენის ზურგზე!
— ეტყობა, მოცვის ჩაის დამსახურებაა, ძალიან უყვარდა. დილით ვფიქრობდი მაგ ქალზე, რატომღაც გამახსენდა.
— დაჯილდოების დროს, ჩემი გვარი გაიგო, მოვიდა და ორივე მოგიკითხათ, შენ და მამა. რომლის შვილი ხარო, მკითხა, მალკოვის-მეთქი, რომ ვუპასუხე, ორივე კარგი ბიჭი იყო, მაგრამ მამაშენის ტვინში სრულიად ამოუხსნელი ქიმიური რეაქციები ხდებოდაო. მე კი პირიქით მეგონა, სლაიმალ, შენ უფრო მაგარი მეგონი.
— რა სისულელეა, ელპი, მე ავანტიურისტი ვიყავი და დავრჩი კიდევ ავანტიურისტად, ისე დავამთავრე სამედიცინო უნივერსიტეტი, ექიმიც ვერ გამოვედი, ჯანდაცვის მართვის მეტი ვერ გავქაჩე. მალკოვს კი, ხომ ხედავ, სად აღარ იწვევენ. მამაშენი საუკეთესო ქიმიკოსია მსოფლიოში.
— ქიმიკოსი დღეს აღარ ახსენით, რაშიც ქიმიკოსი გაერევა, არაფერი ვარაგ, არც ჰაერი, არც საკვები, არც ნიადაგი. შიშის-მომგვრელი და შემზარავი ტერმინია. ხომ ხედავთ, უსაყვარლეს და უსათნოეს დილასაც მისწვდა და ყველაზე ლამაზი თმა გაუნადგურა...
— გეყო ელპი, დღეს შეურაცხადივით იქცევი! სლაიმალ, მალკოვი შეგეხმინა?
— არა, უცება, დღეს რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის. არა!.. შენც არ დაელოდო დღეს მისგან არაფერს. შევეშვათ. ჩვენ ერთად მაინც ვართ, ჩვენს ქალაქში ვართ. მალკოვს დღეს ყველაზე მეტად უჭირს.



„ჭობრიტში სხვადასხვა მხარეს იყურებიან“

ბანიდსიში მალკოვი ორ კვირაში დაბრუნდა. გაიღსია მალკოვისთვის აგურ-ისფერითა და გადაულელებელი წვიმით ტკიბობას დიდი ხანია აღარ ნიშნავდა. საღამოებს ჰოსპიტალში, დილასთან ატარებდა, სამსახურში იშვიათად შეივლიდა, ქალაქში ხეტილს დაეჩვიოდა, თითქოს ვიღაცას დაეძებდა, ყველას აკვირდებოდა, გამველ-გამომველს ლამის ქოლგის ქვეშ უძვრებოდა.

ახალ წლამდე რამდენიმე კვირით ადრე დილამ სახალწლო სურვილები ჩამოწერა, წერილები ვარდისფერ კონვერტებში ჩადო, მერე მამას, დედას, დას და ბიძიას გადასცა.

მამას გლობუსს და ზედ დასამარებელ პატარა ნითელ დროშებს სთხოვდა. მალკოვი, რა თქმა უნდა, უყიდა, მაგრამ სრულიად სხვა საჩუქრის მირთმევაზე ოცნებობდა. საქმე მუშაობისა და ქალიშვილებს თუ ეხებოდა, მალკოვი მიზნის მისაღწევად მონდომებას არ იშურებდა და უსათუოდ აღწევდა კიდევ. თუმცა იყო იშვიათი გამონაკლისები, როდესაც დახმარების გარეშე ფონს ვერ გავიდოდა, ასეთ შემთხვევებში უსათუოდ სლაიმალს ურეკავდა.

ძმები, როგორც წესი, ერთ ამოჩემებულ პაპში ხვდებოდნენ ერთმანეთს. იქ ისეთი ტოსტები ეგულებოდათ, როგორც მალკოვის და სლაიმალის დედა საუზმეზე, სკოლაში წახვლის წინ უმზადებდა ბიჭებს. ერთმანეთთან არასდროს უღიარებიათ იქაური ტოსტების სიყვარული, უთქმელადაც ხვდებოდნენ სინქრონული არჩევნის მიზეზს. სამაგიეროდ, პირველივე ლუკმიდან მოყოლებული, კმაყოფილების ისეთ უცნაურ შორისდებულებებს გამოსცემდნენ, ისეთი გაურკვეველი ასოთშეთანხმებები ამოსდიოდათ პირიდან, ქალაქადღე გამოტანა რომ შეუძლებელია.

ხენეშას რომ მორჩენდა და ტოსტებს მუსრი გაავლეს, მალკოვმა გულმოდგინედ მოიწმინდა პირი და რაღაცის თქმა დააპირა, თუმცა გადაიფიქრა, მერე ხელსახოცი გაშალა და ოფლიან შუბლზე მიიღო, ისევ გააღო პირი, მაგრამ ვერც ამჯერად ამოთქვა რამე, ახალ ხელსახოცს დასწვდა, თვალზე მიიღო და დაასველა.

სლაიმალი გვერდით მიუჯდა და მხარზე მოეფერა. ნაცნობი მიმტანი ძმებს მიუახლოვდა, დამწუხრებულნი სახით დილას ამბავი იკითხა, ბიჭებმა თავები გააქნიეს და სანამ ის მაგიდას აალაგებდა, წუმად ისხდნენ.

— დილასნაირი ჟღალი თმა ელპის გარდა ბევრს არავის აქვს გაიდსიაში, არა, სლაიმალ?

— ალბათ.
— თუმცა დილას კულულები ჰქონდა, ელპის კი დედასავით სწორი თმა აქვს. მოკლედ გაიდსიაში დილასნაირი ჟღალი და ხვეული თმა არავისზე მეტად უნდა. არა, სლაიმალ?

— ალბათ.
— შეუღლებავი, ბუნებრივი თმა მაქვს მხედველობაში, ჯერ ჭაღარავი რომ არ გარეგია. ხომ გესმის?

— მესმის.
— იცნობ ვინმეს ეგეთი თმით?
— რა ხდება, მალკოვ, გამოძიებას ატარებ?

— საქმე იმაშია, რომ დილასნაირი თმით გაიდსიაში კიდევ ერთი ქალი მეგულებოდა, სლაიმალ. ავტობუსში ვემგზავრებოდი ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ რაც ქალაქში დავბრუნდი, ვეღარსად ვნახე, როგორც ჩანს, ძველი მარშრუტით აღარ დადის. არადა, სტაბილურობის განცდას ბადებდა, უსათუოდ დილაადრიან დგებოდა, ყოველი წამი განწერილი ჰქონდა, დაგვიანება მიუღებელ საქციელად მიაჩნდა, დროის ფასი იცოდა. ჩემს არყოფნაში, არ ვიცი, სად გაქრა, სად აღარ დავეძებ და ვერ ვპოულობ. როგორც ჩანს, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, აბა სხვა რა უნდა ვიფიქრო?... დასანანი იქნება ასეთი ძვირფასი თმა ახლა სამარეში თუ დევს.

— შეიშალე ხომ, მალკოვ? საბოლოოდ შეიშალე!

— სლაიმალ, მისინე, ერთი საიტი ვიცი, კონექტიკუტის შტატის მოხალისეებმა დააარსეს. დილასნაირი ბავშვები, გარდა იმისა, რომ ცუდად არიან, ტკივილი აწუხებთ და თავს ათასი უბედურება ატყუებთ, ქიმიოთერაპიის შემდეგ თავიანთი გარეგნობის გამო დამატებით სტრესში ვარდებიან. ჩვენ გვიჭირს ასეთი დილას ყურება და წარმოიდგინე, თავად როგორ განიცდის.

— მართალია, ეს მშვენივრად მესმის,

მაკა ლდოკონენი

ოციდან ოცდაათამდე „ცხენისკულა“

მაგრამ კონექტიკუტის მოხალისეები რა შუაშია?

— მოკლედ, კონექტიკუტის შტატში არის ორგანიზაცია, რომელსაც საიტზე დილასნაირი ბავშვების ვიდეორგოლები და ფოტოები უდევს, ამ ბავშვებს დონორი ქალები ან მოზარდები გოგონები თავიანთ თმას უგზავნიან, კონექტიკუტში კი პარიკებს უფასოდ ამზადებენ, უფრო სწორად, ფულს სპონსორები იხდიან. ბავშვებს სტრესის გადალახვაში ეხმარებიან. წარმოიდგინე, სლაიმალ, გოგონას სარკეში ჩახედვა აღარ უნდა, საკუთარ თავს ველარ ცნობს და მისთვის რამხელა საჩუქარი იქნებოდა, ოციდან ოცდაათამდე ცხენისკულა...
— ანუ?

— „ოციდან ოცდაათამდე ცხენისკულა“, ასეთია საიტის დევიზი. ამ რაოდენობის თმა საჭირო ერთი პარიკის დასამზადებლად, ბავშვის ასაკს გააჩნია, დილას ოცდაორი ცეცხლი, ჩემი აზრით.

— დილას უკვე უთხარი?

— არა, დილამ არაფერი იცის, ჯერ ის ქალი არ მიპოვია და არც ვიცი, სად უნდა ვეძებო. დროც ცოტა მაქვს, როგორც ვატყობ, თუმცა ამაზე ფიქრი არ მინდა. დროის აღრიცხვას აღარ ვანარბობ. შემეძლო, რა თქმა უნდა, საიტისთვის დილას ფოტო გამეგზავნა, მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ ასე მალე გამოემხმურება ვინმე. თან ახალი წელი კარს მოგვადგა, დრო ჩემს სანინალმდეგოდ მიედინება, უცებას არაფერს ვუმხელ, მაგრამ ზუსტად ვიცი, აქ, გულში ვიცი, რომ ბევრი არ დავგვრჩა... სთხოვე, ხელსახოცები მოგვიტანონ... ის ქალი კი, სლაიმალ, ისეთი გულისხმიერი ჩანდა, დარწმუნებული ვარ, უარს არ მეტყვოდა. დასანანი, ცოცხალი თუ აღარ არის.

— ანუ დილამ პარიკების შესახებ არაფერი იცის? საოცარია! იცი, მალკოვ, სახალწლოდ პარიკი მთხოვა, მე მეგონა, გამოიგონა-მეთქი, მომწერა, მეზობელ პალატაში ერთ გოგონას ზუსტად ისეთივე თმის პარიკი გამოუგზავნეს, როგორც უნინ ჰქონდა.

— ანუ პარიკი შენ გთხოვა? ჩემგან გლობუსი და ნითელი დროშები სურს...არ მიკვირს, მე ხომ გოგონებს მუდამ პრაქტიკულ, საჭიროებებიდან გამომდინარე საჩუქრებს ვყიდულობდი, შენ კი ანებივრებდი, სლაიმალ. ასე რომ, ბუნებრივია, პარიკის შოვნას შენგან უფრო ელის, ხომ ხედავ, მეც შენ დაგირეკე სამველად.

— მალკოვ, შენ საუკეთესო მამა ხარ დედამინის ზურგზე, მე კი მეტიარა, თავის წარმოჩენის მოყვარული კაცი, ადამიანებს თავგზას რომ ურევს და შეცდომაში შეჰყავს. მსგავსი აზრი თავში არასდროს მომსვლია, არასდროს მიფიქრია თმებზე ამ ასპექტში, არადა, ქალი, რომელსაც შენ დაეძებ, მესამე თვეა სახლში მყავს.

— არ მესმის?
— ახლა ნავალ, სახლში მელიდება და ერთი სული აქვს, ყველაფერს როდის ვუამბობ. შენ არაფერზე იჯავრო, მალკოვ, ყველაფერს მოგვგვარებ. დამშვიდდი, ნუ აღელდები, იმ ქალს ტასება ჰქვია და ჩემი... მოკლედ მალე ყველაფერს გეტყვით. მიმტანს ვთხოვ პიტნის ჩაი მოგიტანოს, ცოტა დამშვიდდი და მერე წადი, მე გავრბივარ, ძმაო.

„ერთისთვის მიცევა, მეორისთვის მოქცევა“

— ტასება, ის კაცი, ჩემამდე რომ აგეკიდა, ჩემი ძმა ყოფილა და მართლა მანიაკი აღმოჩნდა, ოღონდ კარგი ვაგებო.

— როგორ... შენი ძმა მანიაკია?
— რაღაც ასპექტში. ის შენი ორგანოთი იყო დაინტერესებული.

— ორგანოთი?
— უფრო სწორად სხეულის რაღაც ნაწილი.

— ნუ მაშინებ, სლაიმალ, ჩემთვის არ შეიძლება. წონაში იმის გამო ვიმატებ, რომ...

— ტასება, მე მინდა ჩემი ოჯახი გაგაცნო. ჩაიკვირ, ჰოსპიტალში წავიდეთ.

— ოჯახში ყველანი ექიმები ხართ?
— არა, ექიმი არცერთი ჩვენგანი არ არის.

— აბა, ყველა ავადმყოფია?



— არა მხოლოდ დილაა ავად. აი, ნახე, ეს კონვერტი გახსენი და წაიკითხე. დილა ჩემი ძმისშვილია. კარგი ვაგებოთ მანიაკი ძმისშვილი.

— ...
— დილა უმცროსია...
— დამაცადე, სლაიმალ, ვკითხულობ.
— ვრწმუნდები... უფროსს ელპის ვეძახით, დედაჩემს ელპიდე ერქვა და...
— სლაიმალ, ორი წუთი დამაცადე.
— მე შენგან შვილი მინდა, ტასება.

— ...
— ორი შვილი!
— რა საოცარი ბავშვია! რა ფერის თმა ჰქონდა დილას?

— ზუსტად ისეთი, როგორც შენ, და ამ თმის გამო დაგვედა თურმე მალკოვი.

— და მერე შენ გადმოგაბარა ეს საქმე?... სლაიმალ, ჭკუიდან ნუ შემშლი!

— გადმოგაბარა? ვერ ვხვდები, რას ამბობ... არა, რა სისულელეა, რა გადმოგაბარა, ეს დღეს შევტიტყვე, საერთოდ არც გვიფიქრია...

— ერთისთვის ძალიან ახლოს, /მეორესთვის ძალიან შორს, /არა ბადემი. / ორივემ იცის ერთმანეთზე ჭეშმარიტება. / ორივე თვეს ელოდები...

— სულ მინდა ვკითხო, ვის ლექსებს ყვები ხოლმე, ტასება?

— დალილას ლექსებია. კიდევ ერთი ჟღალთმანი ქალის ატეხილი აურზაური.

— უნდა დაიჯერო, რომ მალკოვს ჩემთვის არაფერი გადმოუბარებია, სრულიად არაფერი!

— იცი, სლაიმალ, ერთხელ, ერთ პატარა გოგონას ჩემი თმა გავუგზავნე, მისი დონორი ვაგები. მე ვხვდები, რასაც მთხოვთ, „ცხენისკულების“ შესახებ მსმენია, მაგრამ, სლაიმალ, ის გოგონა მალე გარდაიცვალა, ძალიან განვიცადა და მას მერე ამ საქმეს შევეფი. თუმცა ახლა შენ ხარ...

— ტასება, დილასაც არ უნერია იდენის სიცოცხლე, მაგრამ ახალ წელს ჩვენთან იქნება და უნდა გავახაროთ. დაგვეხმარე, გთხოვ, ძალიან ცოტა დრო გვაქვს. მალკოვი მთელი სამი თვე დუმდა და გაიღსიის ქუჩებში დაგეძებდა. დღეს იმედი გადაეწურა და, როგორც იქნა, სათქმელი ამოღებდა.

— სამი თვე დამეძებდა?... და მე სად ვიყავი ეს სამი თვე?

— ჩემს სახლში, ჩემს მანქანაში, ჩემს სანოლში, ჩემს მკლავებში.

— მერე კალენდარზე კარგად უნდა დავთვალო, სლაიმალ, ყველაფერი დავთვალო და შენი დახმარება დამჭირდება, მაგრამ ახლა... ზუსტად ვიცი, ვისთან უნდა მივიდეთ. ცხენკულების დამზადებას გამოცდილი სტილისტი სჭირდება, სლაიმალ, გასაგზავნად განკუთვნილი სპეციალური კონვერტი და პოლიეთილენის პარკიც ვიცი, სად უნდა შევიძინოთ. სანამ ჩავიცვამ, შენებს დაურეკე, აი, სალონის მისამართი, იქ მოვიდნენ და თმის შეჭრის პროცესს დაესწრონ, ძალიან აბალელებული მომენტი იქნება და მათ გაამხნევენ, მერწმუნე. იმედი მაქვს, საკმარის სიგრძეს მოჭრიან, მთავარია, დილას ეყოს. დამამშვიდებელი წამომიღე, სლაიმალ, ფეხმძიმეებზე უკუჩვენების გარეშე იყოს, კარგად დააკვირდი.

— კარგი, საყვარელო, ახლავე ელპის

დავურეკე და ის ყველაფერს თავს მოაბამს. დამამშვიდებელიც უნდა მქონდეს, მაგრამ... ფეხმძიმეებისთვის უკუჩვენება „ცხენისკულებთან“ რა კავშირშია?

— ფეხმძიმობა „ცხენისკულებთან“ კი არა, შენთან კავშირშია და შენ თვეში ბავშვი გვეყოლება.

— ანუ შენთვის განენას აპირებ?

— არა, უფრო სწორად, იმედი მაქვს, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის... დარეკე შენებთან... დროზე უნდა დარეკო, მე მზად ვარ... ასე ნუ მიყურებ, სლაიმალ, გზაში ყველაფერს აგისხნი. მაშინ, ავტობუსიდან რომ ჩამოხვედი, გაცილებით სწრაფად აზროვნებდი. მაგრამ არაფერია, როგორც ჩანს, დილას გამო ხარ ასე, ბუნებრივია, მეც სულ ვცახცახებ, ძვირფასო. დამამშვიდებელი მომეცი.

— უკუჩვენება არ აქვს, აიღე.
— როგორ გამოვიყურები? შენებს ხომ არ დავაფრთხო?

— მშვენივრად, ათასჯერ უფრო მშვენივრად!

— იქ ფოტოები გადავიღოთ ყველამ ერთად, ჩემი თმის სამახსოვროც იქნება. ხომ იცი, მალე მელიტი ვაგვხვდება, მზად ხარ ამისთვის?

— მელიტი რატომ ვაგვხვდება?
— სლაიმალ, ელპის დაურეკე, გთხოვ, სანამ მთელი თმა დამცვივია!

— მელიტი რატომ ვაგვხვდება?
— სლაიმალ, ელპის დაურეკე, გთხოვ, სანამ მთელი თმა დამცვივია!

„აპათი დიდი ხანია დაასრულს მანძილსა და დროში“

— გომონაა.
— ხომ არ ცდებით? კარგად დავაკვირდეთ.

— არა, ძალიან გამოკვეთილი კონტურებია, ნამდვილად გოგონა გეყოლება.

— აბა, დამანახეთ, კიდევ ერთხელ უნდა დავრწმუნდები.

— სლაიმალ, ექიმი შეანუხე.
— დიდი ამბავი, ერთ მერხზე ვისხედით ექვსი წელი და მეც ბევრ რამეს ვუძღვებ.

— ჩემო პატარა გოგონავ, გაიცანი, ეს მამაშვილია. ზოლოდოს ნერვებმა უმტყუნა, მაგრამ ასეთი კარგი ბიჭი მეორე არ დადის დედამინის ზურგზე.

— მართლაც გოგონა. ყოჩაღ, ტასება!
— დილას და ელპის უნდა ვუთხროთ, გაუხარდებათ.

— ახლავე დავურეკავ.
— ნუ ჩქარობ, მე და ელპი დღეს ჰიგრომეტრების ქარხანაში მივიღვივართ და იქ ვეიტყვი, შენ დილასთან წადი და სთხოვე, სახელი შეურჩიოს.

— მშვენიერი აზრია და ჰიგრომეტრების ქარხანაში რა გინდათ?

— ელპის ჩემი „ბიზნესი“ უნდა გადავბარო. გოგონას საოცარი თმა აქვს.

„ახლა ზრდილობიანი დიდილით ერთსადაიმავსა ვიქრობან ერთმანეთს“

ზამთარში გაიდსიაში წვიმის წვეთები ლოლუებად და ფაფუკ ფიჭქებად იქცევა. ზამთარს „მეცივებული წვიმის“ ხანად მოიხსენიებენ. წვიმის შხაპუნს მიჩვეული გაიდსიელებს სინწარე ეხამებოდათ, ცდილობენ, სმენა დაძაბონ, ფიჭქების სახურავთან და ფანჯრებთან შეხების ხმა დააფიქსირონ, საფუძვლიანად რომ დარწმუნდნენ „წვიმის“ არსებობაში, ვინაიდან, თუ წვიმს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიდსია ადგილზე, მოძრაობს... არ ცხრება.

არ ცხრება, ისევე როგორც, მშობლების გული შვილების სიყვარულში. ამ დაუცხრომლობის წყალობით კი დაუღალავად ითვლება დღეები, კვირები, თვეები. ცხრა თვე, ანუ გაიდსიელები ერთი წელი ჩანასახისთვის მთელი ცხოვრებაა, მთელი ჩაყურყუმალაგებული ცხოვრება დედის სხეულში. ჰორმონარული დარეგულირებული სტატისკურ-დინამიური მდგომარეობა კეთილგანწყობილს გვდის, შენიღბული წვიმა და აგურისფერი კვლავ პაზლის დეტალივით ესადაგება გაიდსიის ნებისმიერ უბანს, მოსახვევს ჩიხს და სასაფლაოსაც კი, სადაც ისე კარგად აღისი ფიჭქების დაცემის ხმა, რომ სმენის დაძაბვაც არ გჭირდება.

წინ შავ პალტოებში გამოწყობილი სლაიმალი და ტასება მიდიან, ტასებას თავზე ახლად ამონვერილი ნითელი თმა მინავლებული ცეცხლივით ანთია, ნითელ ნაქსოვ კაბაში გამოთხრილი მუცელი მხოლოდ ორ ღილაკს იძლევა პალტოს შეკვრის საშუალებას.

მათ უკან ელპი მიდის, ცდილობს ფეხი აუბას ბიძას და ბიცოლას. ხან საგრძნობლად ჩამორჩება, ხან ლამის ზედ წამოემხოს ორივეს. არეული ნაბიჯი არეულ ფიქრებს მოჰყვება, თუმცა ფეხმძიმე ქალ-

ისთვის ფეხის აბმაც არ არის იოლი საქმე. სლაიმალი და ტასება ხშირად ტრიალდე-ბიან ელპისკენ, ხელების გაშვებით სთავა-ზობენ, წინ იარეო, ის კი თათმანინ მტე-ვანს უარის ნიშნად აქეთ-იქით აქნევს და ჯიუტად ჩერდება. ზოგჯერ უნდება, გაი-ქცეს და ტასებას ზურგიდან ჩაეხუტოს. მი-სი უზომოდ მაღლიერია იმ მაჟორული დლიდან მოყოლებული, ჰიგრომეტრების ქარხანაში რომ გაატარეს, თითქოს თავი-დან გადააფასა ყველა ფერი და ტრადი-ციულ აგურისფერს კვლავ სათანადო ად-გილი მიუჩინა. წარმოიდგენს, გამოსაშე-ვი სალამოსთვის ვარცხნილობის ასარჩე-ვად დილას ნაცვლად ტასება რომ მიჰყავს, თუმცა არა — კარგად უნდა ბოთვალოს. ცხრა თვე ზუსტად ივინისის ბოლოს გავა და შესაძლოა ბავშვი სწორედ გამოსაშე-ვი სალამოსთვის მზადების პერიოდში გაჩნდეს. რა მოსაზრებელია ეს აკვირბე-ბული გამოთვლები, ელპის ნორმალურად ოცნების საშუალებას რომ არ აძლევს! დე-დასთან ერთად წასვლა აჯობებს, დედა ნებისმიერ საქმეს გადადებს ელპის გულისთვის და იქნებ, ცოტათი გახალის-დეს კიდევ. ელპი უკან იხედება, დედა მარ-ტო მოდის, მამა ჩამორჩენილა, მუხ-ლებიდან თოვლს იფერთხავს, როგორც ჩანს, ცოტა ხნის წინ ნაიბორძიკა და დაე-ცა, ამიტომ არის, რომ დედა სიცოცხ-ლს ძლიერ იკავებს, ხელთათმანი აუფარებია პირზე. რა კარგი შესახედები არიან და რა ცუდია, ამ კადრის დაფიქსირება რომ არ შეუძლია ელპის, ეუხერხულა მობილ-ურის ამოღება. ეს დედას პირველი ღიმილ-ია დილას მერე და ელპი ცაში იყურება მაღლიერების ნიშნად.

სლაიმალი და ტასება ჩერდებიან, დან-არჩენებს ელოდებიან. ელპი პატარა გოგ-ონას წარმოიდგენს მათ გვერდით და მოი-წონებს — მოინწონებს გულითადად, ძალდა-ტანების გარეშე, კიდევ ერთხელ მიაჩერ-დება ცას და ჯიბეში ცერს მაღლა აწევს.

ყველა დარწმუნებულია, რომ გოგონა იქნება, რას დაარქმევენ, ისიც გადანყე-ვტილია. დილას სთხოვეს სახელი მოგვი-ფიქრო, ის კი შეჰპირდათ, დაწერ და ვარ-დისფერი კონვერტით გამოგიგზავნიოთ. დიდხანს ელოდნენ სასურველ გზავნილს, თუმცა ხელმძღვრედ თხოვნა ვეღარ შებე-დეს. გუშინ ექთნებმა დილას ლეიბის ქვეშ ვარდისფერი კონვერტი იპოვეს წარწერ-ით — სლაიმალი და ტასებას. ფურცელზე მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა — დილა.

კიდევ ვერ გარკვეულან, რამ უფრო და-წყვიტათ გული, დილას გარდაცვალებამ თუ იმ გზავნილმა, ერთმა სიტყვამ, დილას გულში ჩაღვრილი განცდები რენტგენის სხივით რომ გააშუქა.

ცოტა ხანში ყველა ერთ რიგში დგება. ისევ ხუთნი ვართ, ფიქრობს ელპი, ტასე-ბამ გადაგვარჩინა, მერე გამოშვებული მუცელი თვალში ხვდება და თავიდან ითვ-ლის: ერთი გამოგვაკლდა, ორი დაგვებ-ტა. ლოყები უნითლდება, საკუთარი ფიქ-რები უხერხულობაში ადგებიან: რა სულელი გოგო ვარ, აღარ მინდა ფიქრი, აღარ! აღარ! ნუ ფიქრობ, ელპი! მამას ხელს ჰკიდებს, მაგრად უჭერს, მკლავზე ედება და მალკოვის ბუკლეს პალტოს ბურთუ-ლებს ლოყას უხახუნებს.

ტასება დილას მუბლას და ატლასის ბალიშზე დაფენილ ჟღალ კულულებს დას-ცქერის, უკვე მეორედ კრძალავს საკუთარ თმას. გაიდისის აგურისფერი სახურავები თოვლს დაუფარავს, თავდაც არაფერი შერჩენია თავის გამოსადები, არც მსუბუ-ქად სიარულის ძალა შესწევს, შენობებს სი-მალღუმი რომ გაეჯიბროს, მაგრამ გაზაფხულზე, წყლად რომ დაიღვრება სამ-ყარო, რამდენი რამ მოვა და ამოვა. უბრალოდ, ახლა გულმოდგინედ დააქ-ვირდება შუქნიშნის ფერებს, ვინაიდან მეტი სიფრთხილე მართებს.

თანხმობის ნიშნად ტასებას მუცელზე ბორცვივით ამოიბერება პატარა კიდური და ეს უჩუმიარი მოქმედება უცნაური ძა-ლით მიიზიდავს ოთხივეს თვალს. სლაიმა-ლი, ელპი, უცებამ, მალკოვი გარს შემოეხ-ვევიან ტასებას მუცელს და ამ მიკროსკო-პულ ბორცვზე ყველათვის მოიძებნება ხელისშესახები ადგილი. ზემოდან კი თეთრ ფონზე ექვსი ლაქა მორჩანს: დედა, მამა, და, ბიძია, ბიცოლა და ბიძაშვილი.

გაიდისია კი ზოგჯერ გაზაფხულსაც ტოვებს და თებერვალს ივინის ეზმის, ასე თუ გაგრძელდა, მისი ბინადრები ას წლამ-დე თავისუფლად მიადნევენ და, როგორც ყოველთვის, სიამოვნებით დაემორჩილები-ან გაიდისიის ახირებებს.

* თურქი მწერლის, ელიფ შაფაქის რომანი.
* ნოველის ტექსტი და ქვესათაურებზე გამოყენებულია ნაწყვეტები დაილა გოგის ლექსიდან „ორნი“.
* იაპონელი რეჟისორი, ანიმატორი.

ამ სიბერეში ერთი სამწუხარო და სა-მარცხვინო რამ დამემართა, რამდენიმე თვეა, ანზორ სალუქვაძის პოეზიაზე წერ-ილს ვწერდი, მის სამყაროში ვცხოვრობ-დი, თითქოს ახალგაზრდობასაც მივუბ-რუნდი... დავამთავრე წერილი, საგანგებო-დაც შევინახე, რომ ჩვეულებისამებრ, სან-ამ დავებეჭდავდი, კიდევ ერთხელ წამე-კითხა, მაგრამ, ეტყობა, ისე გადავინახე, რომ ვეღარ მოვძებნე, უგზოუკვლოდ ჩაიკარგა ჩვენს არქივში. ეტყობა, სიბერეც ეს არის... არადა, მუდამ ვავუბროდი ამ სიტყვას — „ბებერი“, ყოველთვის ვამბობ-დი — „მოხუცი“, რატომღაც არ მომწონდა, ახლაც არ მომწონს.

ანზორ სალუქვაძე ჩემი თაობის გან-საკუთრებული პიროვნება გახლდათ თავი-სი გარეგნობით, ჩაცმის მანერით, ცხოვრე-ბის წესით და, რაც მთავარზე მთავარია, შესანიშნავი ლექსებით, რომელთაც ზოგსავით დარაჯად კი არა, პატრონადაც არასოდეს ედგა. დანერდა და გაუშვებდა... მერე ახალგაზრდები იზუპირებდნენ, ერთ-მანეთს თავს აწონებდნენ, სიყვარულს უხ-სნიდნენ და ზოგჯერ ხელიც ნაუცდებო-დათ ხოლმე...

ქუჩაში გაივლიდა, აუცილებლად გამო-არჩევდი, აკი თავად დანერა:
„მოვდივარ, გული მატყვს სიმღერით ავსილი! (რტოებიც ფოთლებით ივსება), ხვერდის ხალათი, საყვლო გახსნილი, ჯიბეში „პრიმა“ და ლექსები. მოვდივარ... ჰაერი ტკბილია თაფლივით... მოვდივარ... სიცოცხლეს ვაღმერთებ! მოვდივარ... მხარდამხარ

მომყვება აპრილი, აღმართიც მგონია დაღმართი“.
ეს ლექსი (თავისი უიაფესი სიგარეტით — „პრიმა“) თაობის ლექსად იქცა, ისევე, როგორც მისი ლექსის განუმეორებელი ყვავილი იასამანი და ის სატრფიალო მო-ტივები, რომელნიც ამ ყვავილს ახლდა თან.

მინდა გაგახსენოთ რამდენიმე სტრი-ქონი ამ ლექსიდან —
„იასამანი სულია შენი, შენ — ჩემი სურვილი... გაზაფხული ხარ შენ და ჩემი წყურვილი“.
იასამანი იქცევა მისი პოეზიის ძირი-თად სახედ, მისი ფერი — ძირითად ფერად, მისი სურნელი — ძირითად სურნელად, მი-უხედავად იმისა, რომ მერე თეთრი და ყვითელი ფერიც შემოვა მის პოეზიაში თავისი თანამდევნი ანტიურაჟით. იგი გან-საკუთრებული მანერით კითხულობდა ამ ლექსს თუ სხვა ლექსებს, რაც მათ განუმე-ორებლობას უსჯამდა ხაზს.

განუმეორებელი იყო იმიტაც, რომ ენას უკიდებდა, „არ“-ს ნაცვლად „დ“-ს გამოთქ-ვამდა, და ძმაცაცებმა ამიტომაც თიკუნიც მოუძებნეს სიყვარულით — „ოლია“.

ანზორ სალუქვაძემ მოძებნა საკუთარი ნიშა იმ პოეტურ სივრცეში, რომელსაც სამოციანი წლების ქართული პოეზია ჰქვია და დაიმკვიდრა თავისი ადგილი იმ თანატოლთა შორის, რომელნიც დიდად ნიჭიერნი გახლდნენ და შემდეგ დიდი წე-ლილი შეიტანეს ქართულ მწერლობაში — ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, შოთა ნიშ-ნიანიძე, შოთა ჩანტლაძე, ვახტანგ ჯავახ-აძე, ემზარ კვიციანიშვილი მყავს მხედველო-ბაში...

ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ დროის-თვის, მართალია, ტრაგიკულად არის წასუ-თვი გალაკტიონი, მაგრამ მისი სხივი კვლავ ეფინება ჩვენს სივრცეს, ისიც, რომ შესანი-შნავ ლექსებს წერენ გიორგი ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე, ირაკლი აბაშიძე, ანა კლანდიაძე, მურმან ლებანიძე, იოსებ ნონ-ეშვილი... ქართული პოეზიის ამ მრავალ-ხმიანობაში ანზორ სალუქვაძის ხმა ყო-ველთვის ორიგინალურად და მომხიბლა-ვად ისმობდა, თუმცა ისიც იყო, რომ იგი თითქოს ვერ ეტყოდა თანამედროვეობის საზღვრებში და უშუალო შემოქმედებით იმპულსებს იღებდა დიდი წინაპრებიდან, რაც გამოიხატებოდა არა მხოლოდ ციტ-ირებასა და ალუზიებში, არამედ მათი ტე-ქსტების შემოქმედებით ინტერპრეტაციე-ბშიც, რითმისა თუ რიტმის გამოყენებაშიც, ოღონდ ისე, რომ ყოველთვის იცნობდით, ეს ანზორ სალუქვაძე იყო. მის ლექსებში მარტო ხალხური პოეზიის ხიბლი კი არა ჩანს და რუსთაველის, გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ტიცინან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის პოეზიის მოტივები, არამედ ჩვე-ნი დიდი წინაპრების აჩრდილებიც ილან-დება. ახლა უცებ მახსენდება ლექსი „ფიროსმანი“, რომელიც ამ მიმართებით საუკეთესოა:

კობა იმედაშვილი

„ანი, ბანი და ბანი და...“

„აღარ ეშველა, არ დასრულდა ქვეყნად ბაზრობა! ვეღარ გავიგე, ასე რისთვის შექმნა განგებამ?! რა ამბებია, რა ხალხია, ან რა ჰაზრები... არც რა იციან, არც არაფრის არ სურთ გაგება!“

ყველა ცრუია, აღარავინ არი ალალი... მთელი დუნია მენვრილმანის დახლი გახადეს! მერე მეტყინა — რომ ქალაქში შევლი არ არი! და საჩქაროზე მშვენიერი შევლი დავხატე.

შველი დავხატე... რად დავხატე ქალაქში შევლი?! ვაი და, ჩემს შევლს მეეზოვემ ტყავი გახადა! აბა რას ვკადრებ მეეზოვეს, მერით ვუშველი? დარდი მომანვა, ავიღე და ტიკი დავხატე...

ტიკი დავხატე, მერე ტურფა ქალი დავხატე... სუფრა დავხატე, მეგობრების ლხინი დავხატე! რაც არ მეზადა, ყველაფერი ერთად დავხატე! თითქოს ცხოვრება დიდებული რამე გავხადე!

მაგრამ სად თქმულა, ვინ დაყნოსა სარკეში ვარდი?!“ ბრწყინვალე ლექსია, დიდი მხატვრის სულის ნამდვილი ანარეკლი. ასევე ბრწყ-ინვალეა ტრაგიდული სავესე — „ტიციანის უკანასკნელი წერილი პაოლოს“:


„როგორ მშურს შენი, რომ იცოდე, ჩვენს ძმობას ვფიცავ, თვითონ რომ ნახველ სანადიროდ ქარონის ნავით, რომ ცივ ციმიბრზე არ გაცვალე თბილისის მინა და შენივე ტყვიით მიაღურსმე სამშობლოს თავი“.

მაგრამ ეს ყველაფერი მერე იქნება, მა-ნამდე კი ჭაბუკური ვნებების და ზღვარდ-აუდებელი სიყვარულის დროა, რომელიც მისი ლექსებიდან ყველაფრის ნამლეკავ მდინარედ მოედინება („ორი ნილაბი“, „მე-ნამული საუბარი“, „ორი გულახდილი საუბარი“...), თითქოს ფაქიზად, თითქოს მინიშნებით, მაგრამ ნახეთ, რა ტრაგი-კულია ეს მინიშნება:
„ღელეზე არხვეს ტირიფებს ქარი, ხბო კი... ხბო მოლზე თავის ლანდს ებრძვის — მძაფრია შებმა!“

ხბომ არც კი იცის, — ნუხელის ძროხა დავლიჯეს მგლებმა...“ 1962 წელს ანზორ სალუქვაძე დანერს შემდეგ, წლების მანძილზე და ახლაც პოპ-ულარულ ლექსს — „ანი და ბანი“ (ვახტანგ მეექვსის გახსენება), რომელიც დავალებ-ულია ჩვენი მეფე-პოეტის პოეზიისგან. ვახტანგ მეექვსის ლექსიც მინდა გაგახსე-ნოთ აქვე:

„რანი და მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და, გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, განი, და... ვიარე ყოვლი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი, და, ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და... ვაი-ვაა, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!“

დამეთანხმეთ, ეს დიდი პოეზიაა, უს-აზღვრო სულიერი ტკივილია და ფილო-სოფიური განსჯით დატვირთული. ამას იქით რაღა უნდა ითქვას?! ანზორ სალუ-ქვაძის ლექსში „ანი და ბანი“ ჩანს არა მხ-ოლოდ რიტმული კავშირი ვახტანგ მეექვ-სის ლექსთან, არამედ შინაარსობრივაც, ოღონდ ისე, რომ ახალი პოეტური ტექსტი უფრო ვრცელია და მრავალმრიანი. მხო-



ლოდ ორიოდ ნაწყვეტს მოვიხმობ:

„ანი, ბანი და განი და ნეტა რა მინდა, რა მინდა? ან მინდა თავის სიკვდილი, ანდა სხვათზე რა მინდა.“

უფრო მეტი მინდა ტკივილი — ძმისთვის მომკვდარი ძმა მინდა! ლამაზი ქალის ტუძზე ცეცხლმოდებული ძნა მინდა!“

„ან კიდევ მინდა... რა მინდა?“

ეგებ სხვა არცა — რა მინდა?! მინდა შენ მყავდე ცოცხალი! შენთვის სიკვდილი არ მინდა. ჯერე შენ მოკვდი, მერე მე, რომ ვთქვა სიცოცხლე არ მინდა!“

ესაა შესანიშნავი მაგალითი კლასი-კასთან და, საერთოდ, სხვის ტექსტთან შემოქმედებითი დამოკიდებულებისა და ახალი, არანაკლებ მშვენიერი ტექსტის შე-ქმნისა.

ანზორ სალუქვაძის შემოქმედებაში არის სხვა ტექსტებთან ასეთი დამოკიდე-ბულების განსაკუთრებულად მკაფიო ნი-შეუმი — პოემა „ნანილი“.

„ნანილი“ დრამატული პოემაა, იგი თვი-სი სტრუქტურით, პოეტური ხერხებით, პოეტური ფილოსოფიითა და გმირების რომანტიკულით ვაჟას პოემების ღირ-სეული გამოძახილია.

ანზორ სალუქვაძე „ნანილი“ იმ დევის ნაფხურებით გაკვალულ გზას მიჰყვება, რომელსაც ვაჟა-ფშაველა ჰქვია, თუმცა მისი მხატვრული ენა მაინც თანამედროვეა, ანზორ სალუქვაძისაა, ოღონდ იმ საოცარი სურნელით, რომელიც მთაში ნათბ ბალ-ახს მოაქვს.

„ნანილი“ პოლიფონიური ჟღერადობის დრამატული პოემაა ორი გამჭოლი მო-ტივით, რაც ორ გმირშია განსხვავებული, სილაბაზე — ნანილი და ვაჟაკობა — ნონრე პაპა. ბოლოს ტრაგიკულ კოლიზიაში ეს ორი ხაზი ერთმანეთს ერთვის.

დრამატული პოემების ეპოქა ჩვენთან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი იყო, მსგავსი პოემები, მაღალმხატვრული, მეოცეში აღარ იწერებოდა, ყოველ შემთხ-ვევაში, სამოციანი წლების მერე უკვე აღარ, როდესაც ლირიკული პოემა გამოჩნდა პოეტურ სივრცეში. ამ თვალსაზრისით ან-ზორ სალუქვაძის „ნანილი“ გამოჩნაკლი-სია.

ეს პოემა მეტად შთამბეჭდავია თავისი დინამიურობით და სცენური „გარეგნო-ბით“, მას სცენა სჭირდება, მაგრამ ისედაც, მხოლოდ ნაკითხვითაც, დიდ შთაბეჭდილე-ბას ახდენს რამდენიმე მიზეზის გამო — თავისი ფაბულით: ამბავი, რომელიც მას-შია მოთხრობილი, ტრაგიკულია; სამშობ-ლოსთვის დახოცილი გმირებით; ამონ-ყვეტილი ოჯახით; პეროიკული ადამი-ანებით, ძლიერი და ამაღლებული პიროვ-ნებებით, მომავლისკენ თავგანწირული სე-ლით და ამ ყოველივეს გადმოცემის შესა-ნიშნავი უნარით.

ამ პოემაში მარტო ვაჟას ლანდი კი არ ჩანს, ჩვენი დიდებული პოეტების ანარეკ-ლიც იკვეთება — რუსთაველის, გურამიშ-ვილის.

უფალო, ცეცხლი ეკიდა ასკილს,
მალლა და მალლა ინევედა ალი,
ვილაცა შიშით კეტავდა სარკმელს,
ვილაცას ჩემებრ სტიკოდა თვალი.

ბერ-მონაზვნების ვარდისფერ საყდარს
ისეთი ცა და ნათელი ადგა,
მეგონა, დილის მზე პირს იბანდა
თამარ დედოფლის სასახლის კართან.

უფალო, მთვარე მოადგა სარკმელს,
შანდალ და შანდალ ჩაშალა თმები...
თითქო უბიდან ამოაქვს სარკე
მზეს შემორაგულს ოდიშის მთებით.

კოლხური ვარდის ალისფერ ღანვებს
ნამივით ცრემლის კურცხალი შვენის,
მიკითხავს მნათე ნიზამის ლაზელს
და რიჟრაჟებში მიფრინავს შველი.

რენე

უფალო, რენე მზად არის უკვე,
ხელთა აქვს შენი ლოცვანი მცირე
და მოწყენილი გაჰყურებს სარკმელს
და თითებს, როგორც კითარის სიმებს

ორესტესავით დახედავს მშვიდად,
მე, გათანგული რენეზე ფიქრით,
ჩუმად ვზივარ და... გაქცევა მინდა
ჯანდაბამდე და ჯანდაბას იქით.

უფალო, საყდრის ჩიტია იგი, —
წყალივით ლურჯი თვალების ქრილით,
ოქროს ნისკარტით და ვერცხლის შიბით
და ქრელი ფრთებით — ფაზისის ქილით.

დილა-საღამოს საყდარში გალობს
და წმინდა ჰანგით ახარებს ხუცესს,
ვაზის კვირტივით პატარა გული
ღვთის მსახურივით ძალუმად უცემს.

უფალო, მთვარე გადადის ბოგირს,
ვერცხლისფერია წყალი და ჭალა,
ისეთი მშვიდი ღამეა სოფლის
და ფარა ისე მიჰყვება ფარას,

ვით თეთრი ბლები ოდიშის ზეგანს...
აფხაზეთიდან ბრუნდება მამა
სავსე ხურჯინით... და მთელი ღამე
ჰყვება სასრიყვას შორეულ ამბავს.

უფალო, მთაში გაეწერდით სადღაც,
მე და მეუფე, — წმინდანის სწორი,
გზა ადიოდა ქედი-ქედ მალლა,
ნეკერჩხლებსა და ნეკერჩხლებს შორის.

ელვითმეკრული ჭანგებით გლეჯდა
მიმინო თავის ღვიძლსა და ალალს,
ციოდა, ცრიდა... და ქვემო ჯვართან
უდაბნოსავით მოჩანდა ჭალა.

უფალო, გოგო გამიხდა ავად,
მარწყვივით ეწვის ლოყები მორჩი,
დროდადრო დედა უსწორებს საბანს, —
მოქარგულს ლურჯი იების ფონით.

დროდადრო მთელი ბავშვური სევდა
თვალეებში უდგას გვირილისფერად,
ავდგები... ჩუმად გავხედავ მცხეთას
და ვთხოვ განგებას ხსნასა და შველას.

უფალო, დიდი თოვლია მთაში,
თოვლისფერია კარვები ჩვენი,
ვით გულმჭვინვართა ისრები ქარში,
ცად გაფრენილან სატივე ხენი.

და ღამღამობით ფიჭვების ტყიდან
მხოლოდა მგლებს ყმული ისმის...
ვით უპოვართა უცადი ტივი,
აბაშის წყალზე მიცურავს ნისლი.

უფალო, ქსნის და ლიახვის ჭალებს
შემოეჩვია სუსხი და კვამლი...



ვით ომის ნაშთი, — მკაცრი და მწარე,
ჭაში, ვით ქვაბში, ტივტივებს გვამი.

თვალცრემლიანი დაჰყურებს ცხედარს
ბაგრატიონთა პატარა ღლაპი,
შორსაა ღმერთი, შორსაა მცხეთა, —
თავისი მზით და მაცხოვრის კვართით.

უფალო, წმინდა ბარბარეს ტაძარს
ერთი ღამაში ასული ეტრფის...
ო, შვლის ნუკრივით პატარა ტერფით
ჰგავს ზეთისხილის შტოსა და მარცვალს.

არაფერია დიდება რომის, —
არც მისი განძი, არც მისი ოქრო...
ღმერთო, უმრავლე ჩემს ბედკრულ მამულს
ასეთი მშვიდი და კარგი გოგო!

უფალო, თოვს და თეთრია ღამე,
ვით ანგელოსის ნიშნობის სუფრა,
თითქო დილაღამე ვისმენდი რაველს,
თითქო ცას თეთრი ცვიოდა თუთა.

სუნთქვაშეკრული ვიდექით ერთად, —
მე, შენი ძე და თორმეტი მღვდელი,
თოვდა და თოვდა იისფრად, თეთრად
და ბედნიერი ტიროდა მრევლი.

უფალო, ოქროს სანმისი მიაქვთ...
მიჰყავთ მედეა, — რჩეული ბედის,
ხომალდზე პურის ძნასავით ჰყრია
სხივები... ზღვაა, როგორც ხავერდი.

გემბანზე ზეგის ვაჟები დგანან
კითარასავით მალალი მხრებით...
მიაპობს ზვირთებს სწორფერთა გემი,
შორს მშობლიური მოჩანან მთები.

შუკოს და გელას

უფალო, ხშირად ვიგონებ ზუგდის —
ჩემი სიზმრების ვარდისფერ ქალაქს, —
მდინარის კალმასს ჰგავდა თავ-ზურგით,
ვაზის ფოთლებში გახვეულს ლაღად.

დადიანის და ჩიქვანის სუფრა —
მისი წესით და ადათით ჰქუხდა...
ვიგონებ... ვტირი... ვლოცულობ ჩუმად
და მშობელივით ვიხუტებ გულთან.

შეხედე, რა ცაა...
გალაკტიონი

უფალო, ძველი თბილისი მიყვარს,
მისი დალილი, მწუხარე ხედი,
ხელისგულივით პატარა რიყე,
ნარიყალა და მეტეხის ქედი.

აბო თბილისის საფლავთან ვდგავართ
მე და მამაო, — ნილკნელი მღვდელი,
ღმერთო! რა ცაა, რა ნაზი ქარგა,
რა შემოდგომა, რა ოქროს რთველი?!

უფალო, ვზივარ ტეხურის პირას
ფეხებმორჭმული და კენჭებს ვითვლი,
დღე არის წყნარი... და არის კვირა,
ჩიტვივით ზღვისკენ მიფრინავს ზვირთი.

ბასიო, ლი-ბო და კიდევ ბევრი
ჩემსავით წყალში ეძებდა შეებას,
ვფიქრობდი... ვწერდი... მიყვარდი...
ვწერდი,
მასხოვდა შენი ხატი და მცნება.

უფალო, ერთი სურათი ჩამრჩა, —
ვარდის პირივით მძინარე ქალი...
სულ ერთი კათხა ღრუბელი ჩანდა,
სულ ერთი პეშვი აღმასის წყალი.

დუქანთან ორი ყმანვილი იდგა,
ორთავე ღვინით და არყით მთვრალი...
ამოდოდა ალივით ზღვიდან
შარშან ზღვის ფსკერზე ჩასული ქმარი.

უფალო, შვიდგზის აღვუთქვი მშობელს,
ვიქნები მისი სახელის ღირსი,
მაგრამ ვერ გავცდი სოფლის ორლობეს,
ვერ დავუწოქე მასის თბილისს.

ველარ ავივსე გრანელის დარად
მამულის ცით და ცრემლებს პეშვით...
გუახლოვდები საკუთარ საფლავს
ლოცვით და მცირე ანდერძით ხელში.

უფალო, როგორ ვაქციო განძად
სიტყვა, რომელიც ჯერ არსად მითქვამს,
მალე, სულ მალე, მრავალთა დარად
მეც ჩვეულებრივ ვიქცევი თიხად.

ბევრი მათგანის ოქრო და ვერცხლი
იქ, სამარემდე მიმყვება ვალად,
ავდგები... გავხსნი ანდერძის ქალღელს
და გადავიხდი სულ ერთი ათად.

უფალო, მცხეთა დავტოვეთ უკვე,
გუახლოვდები მძინარე ფრონეს,
თითქო ლიახვზე მისდევდა კურდღელს
ნიკო მარი და ახალი ბროსე.

ჩვენ, მარეკები ცისა და მიწის,
ყაყაჩოს ველზე ვეძებდით სიკვდილს...
იფურცლებოდა ლილისფრად წინვი
და შრიალებდა არაგვის კიდი.

უფალო, ქალი მიადგა ტაძარს
და გვიან ღამით განიხვნა კარი...
და ჰგავდა ქალი სამოთხის ხანძარს
თვალეებით — ორი უფადო კვართი.

ბერი ჩიტვივით მიაწყდა კედელს,
ამოუფარდა ბუდიდან თვალი,
ცეცხლი მოედო იმ ღამეს ბეთლემს
და ლოკავს დღემდე იმისი ალი.

უფალო, ერთად ვიყავით ბზობას,
ერთად ვილოცეთ მამულის ბედზე,
ცას მენამული შვენოდა ქობა,
შროშნების ფერი —
მონასტრის მტრედებს.

ბერი ქრისტესთვის წამებულს ჰგავდა,
სხივივით სვეტზე გაშლილი წიგნით...
მიჰყავდათ კრავი ტანჯულის კართან
და ბალახებში ყონავდა სისხლი.

უფალო, რომი, პარიზი ვნახე,
ჟენევის ტბასთან მონაზვნებს შეეხვდი...
და აბატივით ვიდექი დიდხანს
კათოლიკური სამოთხის გვერდით.

თამარაშვილი მასხოვდა ბრუნდად
(მისი ცხოვრების უფადო წუთი),
შორს წეროების აფრინდა გუნდი
და მოვუხადე წეროებს ქუდი.

უფალო, მზეა, ქარია, ცხელა,
ჩრდილები ჩრდილებს მისდევნენ სტვენით,
ხანდახან ზანტად იყივლებს ძერა
და გაფრინდება არაგვის ხევით.

მე — ნათლიმამა თორმეტი ვეფხვის,
შენზე ვლოცულობ და შენთვის ვწირავ...
და მუხლმოყრილი გვედრი და გვედრი,
გახსოვდეს ჩემი წყალი და მინა!

უფალო, ცისკენ გამექცა თვალი,
როცა მეტეხზე აფრინდა ქორი,
რიყეზე იდგა ღამაში ქალი,
ვით ალაზანზე გაზრდილი წნორი.

ორბელიანთა მეგონა დედა,
მხრებზე ზვირთივით მალალი თმებით,
მტკვარს შემოდგომის მოჰქონდა სევდა
და ხსოვნა ადრე წასული დების.

უფალო, წმინდა დემეტრეს საფლავს
ძისა და მამის ნათელი ადგას...
დგას ენკენისთვე და, როგორც ქარვას,
უბეში იყრის თებრონე გარგარს.

მინდვრის ვარდით ნაზი და სადა, —
სულ ბრონეული გარეთ და შიგნით...
ამოდის დილით მეუფე საბა
ვაზის ჯვართი და მაცხოვრის ნიგნით.

უფალო, ჩემი კეთილი ძიძა
ბუნდად მასხოვს და თვალეებიც მტკიავ...
როგორც წვიმაში გაკრეფილ ცირცველს,
სოფლის პატარა მალლობზე სძინავს.

მე მისი მზე და ერთგული ბავშვი,
ოდესღაც მისი ცოცხალი ღმერთი,
გამახსენდება მხოლოდა მამინ,
როცა იმ მალლობს ჩავუვლი გვერდით.

უფალო, ჩემებრ მდიდარი კაცი
არ გაჩენილა აკაკის შემდეგ,
ღვთის სიყვარულით მათოვს და მანვიმს,
ვწერ საგალობლებს მამულის ბედზე.

მაქვს უთვალავი ფერი და განძი,
ყველა ქართული ბჭითა და კარით,
ვით ფუტკრის როგო მასის თაფლით,
სავსე ვარ მისი მზითა და მთვარით.

უფალო, ვხედავ და კარგად ვხედავ,
იქ, იმ სოფელში ლოცულობს მრევლი,
როგორც ვაზის რტოს კვირტობის თვეში,
თვალეებზე უცებ წამსკდება ცრემლი.

მე, როგორც უცხო, მიჭირავს საშვი
და მატრიალებს ბედი, ვით ფარგალს...
უხმოდ, უსიტყვოდ ვბრუნდები სახლში
და იმ ცრემლს მუჭში ბალღივით ვმალავ.

უფალო, ძველი მეტეხის ახლოს ერთი ჭალარა დედაო სახლობს, ერთხელ, ო, ერთხელ ის წმინდა ქალი, ის წმინდა ქალი, შენც უნდა ნახო.

ანგელოზების პატარა გუნდით ქრისტეს ტაძარში ლოცულობს იგი, ღმერთო, რა კარგი დღეა და წუთი, რა ღვთაებრივი მზე და გვირგვინი!

უფალო, ერთი ხევსური ვიცი, ერთი ჭალარა მოხუცი ბარდი, დილით ჩემსავით იწყებდა სიცილს, საღამოს ჩემებრ ტანჯავდა დარდი.

ერთხელ ადგა და გაფრინდა სადღაც, ვით გულმედიდი სამრეკლოს მტრედი, დღემდე მტანჯავს და მანუხებს ახლაც ველად გაჭრილი ხევსურის ბედი.

უფალო, ბრუნავს, ტრიალებს ჯარა, მიაპობს ზვირთებს ქარონის ნავი, იქნებ, იმ ერთი პოეტის დარად, მეც გაზაფხულზე მოვიკლა თავი.

სანუთრო, როგორც სამყარო მთელი, სხვა ლაჟვარდისთვის მამზადებს ალბათ, საცაა უნდა გავშალო ფრთები, საცაა უნდა გავფრინდე სადღაც.

უფალო, უცხო კანარის ჩიტი დილიდან უცხო ჰანგებით მართობს, და მაინც, მაინც ამ კვირა დილით, ვარ გრანელივით სრულიად მარტო.

ხანდახან ეზრას დღიურებს ვფურცლავ, — გავარგარებულს სამეფო ვისკით, ღმერთო, მომეცი ჯანი და სუნთქვა, გამხადე ერთხელ იმ ვისკის ღირსი!

უფალო, წმინდა ქალწულის დღეა, წმინდა ლოცვების ნათელი ჟამი, ბეთანი მტრედს ჰგავს და მტრედი — ბეთანს, ფრთებით, მხრებით და ღვთაური ჩქამით.

თაფლი და ზეთი, — მალამო ზესთა, უბრალო საყდარს სამოთხედ გიქცევს... ოღონდ გახსოვდეს ბეთანს და ზედანს, ღვთისმშობელი და მისი ძე ქრისტე.

უფალო, სადღაც გავჩერდით ღამით, წამოგვეწია წვიმა და ჯანდი... და ბოლოს მაინც, და ბოლოს მაინც გადავიტანეთ ის ღამე არყით.

გათენდა... ჩაქრა ყველა სანთელი, გაჰქრა ღრუბელი — ნაღველის სისქე... ასურიელი ბიჭის თვალებით იყურებოდა ქლიავი გზისკენ.

უფალო, თამარ დედოფლის რჩეულს — მარად ღვთაებრივ კრავია ჯაყელს, აქ აუგია საყდარი ესე დიდი სთველის და ზეობის დამდგეს.

ქრისტეს სისხლივით მოჭიქულ საყდარს მისი ხატი და გულანი შვენი... და ვდგავარ, როგორც ღვთისმშობლის დასთან, ჩემი ანკარა გვართი და გენით.

უფალო, ცრის და... ვაძოვებ თიკანს, მახარებს ტყე და შუამთის სოკო, მაყვლის ბუჩქიდან და ბილიკიდან საყდრის ჩიტივით აფრინდა გოგო.

ღმერთო, მიშველე მე თვალებელამს, ღმერთო, შემინდე ეს მცირე ცოდვა და შენი დიდი მეხი და ელვა არ დაატეხო ჩემს გვარს და მოდგმას.

ნინო სიხარულიძე

სალმონიანი

„არც ერთი ერი იმაზე უკეთესი ხელისუფლების ღირსი არაა, ვიდრე ჰყავს“.

კონსტანტინე გამსახურდია

ზოგი მაშველი, ზოგი სასჯელი, ზოგი წყევლა და ზოგიც წყალობა,

ზოგი გავნირეთ, ზოგმა გაგვნირა, ზოგისთვის უფალს ვწირეთ მადლობა.

ზოგს მტრის მახვილმა, ზოგსაც სირცხვილმა გვირგვინოსანი მოჰკვეთა თავი და ისტორიის ბნელ ტალანებში

დათარეშობდა გრიგალი ავი.

ზოგი მგოსანი, ზოგი ხმლოსანი, ზოგიც ღვინის და ქალის ტრფიალი —

იყო ორპირთა, მხსნელთა, ტარიგთა, მოლაღატეთა ორომტრიალი.

რაც დაითესა, ის აღმოცენდა: ძალყურძენა თუ მტევნები მწიფე, განგების ნებით, განგების ძალით,

ურვით თუ კრძალვით ორივე ვკრიფეთ და როგორც უნდა იცვალოს ჟამი,

როგორც უნდა ჩამოდგეს ხანა, არ გახუნდება სიტყვა, რომელიც კოლხმა ბატონმა

ოდესღაც ბრძანა.

წვია – დედოფალი

დანინკლულ პალიტრაზე წვიმა ასრულებს პას, წვიმის ნაკვალევს მივსდევ და დარდი აღარ მკლავს.

ნისლიანი ვარ, კარგო, ნისლით ვიბურავ თავს, დანინკლულ პალიტრაზე წვიმა დედოფალს ჰგავს

და ფორიაქი ფერთა ისევე მიკიდებს ალს, სანთელი ჩაიდვენთა, სანთელიც მოჰგავს ქალს.

ვისაც რა უნდა – წეროს, ვისაც რა უნდა – თქვას, მე კი გადავწერ ღამეს და ღამენათევ ცას.

შენ რაღას იზამ, ნეტავ? ალბათ, აახელ თვალს, მიეფერები ფერებს, უფლის დაიდებ ვალს.

ეს მანანნალა წვიმა ღრუბლის დაუსხლტა დასს – დანინკლულ პალიტრაზე წვიმა დედოფალს ჰგავს.

მონოლოგი სარკისთან

ფერმკრთალი შუბლი და თმები ურჩი, თვალებში დიდი კითხვის ნიშანი, გუშინ სიხარულს ვერ გადაურჩი – დღეს ძლივსღა გიცანი.

ბაგე გაცრეცილა, დუმილით დასჯილი და თუმცა სასჯელი უარესიც გინახავს, ვიცი, ველარ უძლებ და ბარემ გაბედე – ამოთქვი, გამანდე,

მითხარი ვინა ხარ.

გუშინ ლექსებმა აგინთო გონება, ვიცი, განვალებდა მთვარის გარინდება, დღეს მთვარეს ცაზე აღარ ედგომება და შენი სიზმრის შველაც არ იქნება.

ისევე ცოდვილი ხარ და ისევე ფითრდები – ასგზის მტყუანი და მართალი ასგზის, მიყვარხარ, მძულხარ და მეზრალეები, მინდა პატიება და მახრჩობს ბრაზი.

ბაგე გაცრეცილა, დუმილით დასჯილი და თუმცა სასჯელი უარესიც გინახავს, მაინც ველარ უძლებ და ბარემ მითხარი:

ჩემი ხარ? უცხო ხარ? ვის ჰგავხარ? ვინა ხარ?

სიყვარულია... „მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას და ამ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა“.

ილია

ჰო, ესმერალდას კვაზიმოდო არ ყვარებია, ჰო, შანდორ პეტეფს გაექცა ცოლი და კატინკამაც უარყო ტატო –

სიყვარულია მაშველი რგოლი, რომელსაც ბევრი ამოად ნატრობს. ჰო, ბევრსაც ბევრი დასიზმრებია და დარჩენილა სიზმრის ამარა,

სიყვარულია ის საოცრება, მათი ოცნება რომ ასამარა. ...მოუნყენიათ ქუთათურ ვარდებს, ზეცაც ქუფრია და ფერწასული, დღეს გაფრინდება, დღეს გაფრინდება შერვაშიძეთა ნაზი ასული.

და რადგან მერის თვალები ჩრდილავს, ზეცა შერცხვენილ ვარსკვლავებს მალავს –

სად ატარებდა მწუხარე ქარი ტაძრიდან გასულ მწუხარე გალას?! ...ვინ ატირებდა დილაზე არღანს, ვინ მოინატრა მტკვარზე ქეიფი, ფოთლების ფარჩას მიხვეტავს ქარი, ვით მარგარიტას კაბის შლეიფი.

— კმარა, ნიკოლაე, დაჭკნა ვარდები, კაფე-შანტანშიც დაეშვა ფარდა, დრო მოვა, ყველას შეუყვარდება, გულში რომ გიზის, იმ ერთის გარდა. მაგრამ ის ერთი შერჩება ხსოვნას, ერთის გარშემო ბრუნავს სამყარო – სიკვდილო, გიჯობს ეს აღიარო და მარცხის ნიშნად თავი დახარო! ჰო, ესმერალდას კვაზიმოდო არ ყვარებია, ჰო, შანდორ პეტეფს გაექცა ცოლი და კატინკამაც უარყო ტატო, სიყვარულია მაშველი რგოლი, სიყვარულია ცხონების ტოლი, სიყვარულია სამოთხის მოლი, რომელსაც ბევრი ამოად ნატრობს.

პუნაქუაციური პოეზია

წერტილმა სილა გაანწა მძიმეს – წამით ყოყმანიც არ აპატია, ლალატიო – დაასკვნა ტირემ და წამოისხა ბრძენის მანტია.

გრძნობების მეფეს დაეტყო დაღლა, მაგრამ ეს მაინც არაფერს ნიშნავს და ფრაზის ბოლოს ისევე ვიხილავთ

ეკლმოღერებულ ძახილის ნიშანს. ის კი, მოხრილი, ვით კვაზიმოდო, გაჩენის დღიდან ელის პასუხებს,

შედეგს კი არა, მიზეზს ეძიებს და უმიზეზო სევდა აწუხებს. ბოლოს სუყველა ჩაიფრფლავს:

თავმდაბალიც და თავანყვეტილიც, როცა ფუცელზე, თვით უფლის ნებით, ჩაიქირქილებს მრავალწერტილი...

აქ არავინ ახსენებს სიყვარულის ნამსხვრევებს. არვის ახსოვს ნაბიჯი, გადადგმული მთვარისკენ. ვაი, როგორ გტკიოდა თოვლი ქრიზანთემების, ვაი, როგორ ალაღად და იოლად გარისკე!

ბანოვანმა ბალზაკის შეიფერა ასაკი, ბანოვანი ჩამოჰგავს შემოდგომის შუქ-ჩრდილებს და – სალონის გრანდ დამას ან – შორეულ აკლდამას,

სადაც ვერვინ ვერასდროს იღბალს ვედარ უჩივლებს. აქ არავინ ახსენებს სიყვარულის ნამსხვრევებს, მხოლოდ გული ბორგავს და ბედთან დუელიანტობს –

მალე ისიც დაცხრება და თოვლის ქრიზანთემებს, წარსულის ქრიზანთემებს ისევე წარსულს მიანდობს.

დატახილი ლექსი

წვიმისფერი თვალები შევატოვე წარსულს, მაგრამ აწმყოს წარსულის მიტოვება არ სურს.

..... მიდი-მოდის მდინარე, უხმოდ მიიმდორება, კვლავ ვენწვი სიგარეტს და... მოსანყენ ცხოვრებას.

..... ნეტავი, ვინ გათვალა სულის მტრედი შავთვალა, სულის მტრედი შავთვალა, ლექსით რომ ვაპურებდი, შემომწერა და შემკრთალი გაფრთხილდა სარკმილიდან, უმისოდ ხომ ნანატრი გაზაფხულიც არ მინდა.

..... ისევე ამოვილექსე მარტოობის მღვიმიდან, ისევე თქვენთან ერთად ვცლი მოთმინების ფიალებს, არ მეგონა, იღბალი უბრად თუ ჩამივლიდა, როგორც ღრუბელს ჩაუვლის მთვარე მოხეტიალე.

..... სული მარადიული სიცრუის მძევალა, სულის მოსაფერებლად აღარავის სცალაია.

..... მიდი-მოდის მდინარე, უხმოდ მიიმდორება, კვლავ ვენწვი სიგარეტს და... მოსანყენ ცხოვრებას.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....



მწერალი

თამრი ფხაკაძე

Astrid Lindgren Memorial Award (ALMA) ერთგვარი საბავშვო ნობელის პრემიაა - უმნიშვნელოვანესი ამ სფეროში მოღვაწე ნებისმიერი ავტორისთვის, რადგან ყველასთვის საყვარელი მწერლის სახელს უკავშირდება. პრემია შევდეთის სახელმწიფომ 2002 წელს დააარსა (სწორედ ამ წელს გარდაიცვალა ასტრიდ ლინდგრენი) და ყოველწლიურად გადასცემენ მწერლებს, ილუსტრატორებს, დიქტორებს, რომელთა ნამუშევრები ყველაზე ახლოს დგას დიდი მწერლის შემოქმედებასთან. ALMA შესაძლოა მიენიჭოს პირს ან ორგანიზაციას, რომელიც ბავშვებში წიგნისა და კითხვის პროპაგანდას ეწევა. მისი მიზანი საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურისადმი ინტერესის გაზრდა, ბავშვთა უფლებების დაცვა და კითხვის პროცესში ახალგაზრდა თაობის ჩართულობაა.

გამარჯვებულს ავლენს ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიან საბავშვო მწერლები, ლიტერატორები, კრიტიკოსები, ილუსტრატორები და ბიბლიოთეკარები. როგორც წესი, ერთ-ერთი წევრი ასტრიდ ლინდგრენის ოჯახის წარმომადგენელია. შარშან მაგალითად, ეს პატივი მწერლის შვილიშვილს, ანიკას ერგო. ლაურეატის ვინაობა 31 მარტს ირკვევა, დაჯილდოების ცერემონიალი კი მაისის თვეში იმართება. კონკურსის საპრიზო ფონდი 5 მილიონი შვედური კრონია.

სხვადასხვა დროს ALMA-ს ლაურეატები გახდნენ ცნობილი ამერიკელი საბავშვო მწერალ-ილუსტრატორი მორის სენდაკი, ინგლისელი ფილიპ პულმანი (ქართული მკითხველი მას „ოქროს კომპასის“ ტრილოგიით იცნობს), ავსტრალიელი შონ ტანი და სხვები. პირველად ამ პრემიის ისტორიაში შარშან შევდეთის წარმომადგენელმა გაიმარჯვა. საპატიო პრემია და ფულადი ჯილდო საბავშვო მწერალს, ბარბრა ლინდგრენს ხვდა წილად, რომლისთვისაც კარიერის დასაწყისში საქმიანი რჩევები თავად დიდ ასტრიდს მიუცია.

წლებადელი კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე ბოელ უესტინი გახლავთ. სწორედ მან დაასახელა 9 ოქტომბერს ფრანკ-ფურტის წიგნის ბაზრობაზე ALMA-ს ნომინანტები, რომელთა შორის საქართველოდან ილუსტრატორი სოფიო კინწურაშვილი და მწერალი თამრი ფხაკაძე არიან. ისინი პრემიაზე საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ წარადგინა. ქალბატონ თამრის სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ ვენვიეთ.

— ლინდგრენის პრემიაზე წარდგენა მწერლისთვის არცთუ უმნიშვნელო ფაქტია, რა ემოცია გქონდათ, როცა ამის შესახებ შეიტყვეთ?

— ძალიან მნიშვნელოვანი საბავშვო კონკურსია, რომელიც მთელი მსოფლიო მონაწილეობს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ პრემიის ნომინანტობაც. ეს ერთგვარი აღიარებაა შენი ქვეყნიდან. ამას წინათ რუსი მწერლისა და პოეტის, სერგეი მიხალკოვის ბიოგრაფიას ვკითხულობდი, სადაც განსაკუთრებულად არის აღნიშნული, რომ 2009 წელს ლინდგრენის პრემიის ნომინანტი იყო. წელს 61 ქვეყნიდან 197 კანდიდატია წარდგენილი.

— ვინ არიან დანარჩენი ნომინანტები, თუ იცით რამე მათ შესახებ?

— ლინდგრენის პრემია მხოლოდ მწერლებისთვის არ არის გამოიზნული. მათ გარდა ილუსტრატორები, პრომოუტორები და წარმატებული საბიბლიოთეკო ქსელებიც მონაწილეობენ. არცთუ იშვიათად ლაურეატებიც ხდებიან. 2006 წელს ვენესუელაში არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაცია Banko del libro-მ გაიმარჯვა, 2009 წელს პრემია პალესტინურ ორგანიზაცია Tamer institute for Community Education-ს მიანიჭეს, რომელიც ლაზარს სექტორში საბავშვო წიგნის პოპულარიზაციას ეწეოდა. ამ კონკურსში მონაწილე მწერალს გარკვეული ბეგრადი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ერთი წიგნით წარდგენა იშვიათია, თუ ძალზე მასშტაბური ქმნილება არ არის. მე მთელი ჩემი შემოქმედებით წარმადგინეს.

— ეს ყველაფერი ნათარგმნი უნდა იყოს?

— პირველ ეტაპზე აუცილებელი არ არის. თავიდან ინტერესდებიან, რამდენად აქტუალურია შენი სახელი და ნაწერები ინტერნეტ-სივრცეში — ვებ-გვერდიდან დაწყებული, სოციალური ქსელების ჩათვლით. მომდევნო ეტაპზე ჟიური ნომინანტის შემოქმედებას ეცნობა, ამისათვის კი მისი თარგმნაა საჭირო. არ ვიცი, ვის ევალუება და ვინ განახორციელებს ამას ჩემ შემთხვევაში, მაგრამ ერთი შემთხვევა ვთქვა: პრემიაზე წარდგენილი მწერალი ქვეყანამ შუა გზაზე არ უნდა მიატოვოს. მათ საიტზე ნავიკითხე, რომ მესამე ეტაპზე დანერგვით უნდა შეისწავლონ ავტორების შემოქმედება. როგორ შემისწავლიან, სულ ცოტა ხუთი ზღაპარი მაინც თუ არ ითარგმნა?

— ნომინანტი ავტორი რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს?

— განსაკუთრებულს არაფერს ითხოვენ, მაგრამ იმ ღირებულებებისა და ფასეულობათა ერთგულება, რაც ლინდგრენის შემოქმედებისთვისაა ნიშანდობლივი, აუცილებელია. ყველამ ვიცით, როგორია მისი წიგნები — ლაღი და თავისუფალი, როგორც პუბი. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია მწერლობამ ბავშვს თავისუფალი აზროვნებისა და ქმედების ჩვენება ჩამოუყალიბოს. განკვირვებულ სტილსა და გაზეპირებულ ზრდილობას არ მოითხოვენ. პირიქით, ეს კონკურსი ჩარჩოებს ებრძვის, რაც ძალიან მომწონს. ჩემს წიგნებშიც სწორედ ეს მუხტი დევს, თუმცა იმისათვის, რომ ეს ყველაფერი ჟიურისამდე დაინახოს და შეაფასოს, მათი თარგმნაა საჭირო. ველოდები, როდის შემეხმანებიან, რადგან თებერვლამდე, როცა ტექსტები უნდა გადავცეთ, დიდ დრო აღარ დარჩა.

— რას შეარჩევდით თქვენი შემოქმედებიდან ამ კონკურსისთვის?

— „გრძელცხვირა ჯადოქარ მარსიას,



მეფე ბუთხუზ პირველსა და სხვებს“. ეს არის ვრცელი სათავგადასავლო ზღაპარი, რომელიც რამდენიმე წლის წინ პრემია „ოქროს ბუმბულის“ გამარჯვებული გახდა. არჩევულებრივი ილუსტრაციები აქვს, რომელთა ავტორი ნანა მელქაძე გახლავთ. გამოსაცემად გამზადებული წიგნი გამომცემლობა „ტრიასში“ დევს, მაგრამ სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო, რომელიც უფასო სახელმძღვანელოების თემას გადაეჯახა, მოლოდინის რეჟიმშია. ეს ძალიან კეთილი პროექტი იყო, რომელიც მშობლებსა და ბავშვებს დაეხმარა, მაგრამ გამომცემლობები და ავტორები დააზარალა. სხვათა შორის, ბავშვებიც, რადგან აქ ჩემი სამი წიგნი გაჩერდა, იქ — ვილაცის ორი და საბოლოოდ ეს ყველაფერი მკითხველს დააკლდა. უფრო გააზრებული ნაბიჯი იყო საჭირო, თუმცა ეს სხვა თემაა. ისევ კონკურსს დავუბრუნდები: გავაკეთებდი „გრძელცხვირა ჯადოქარ მარსიას“ ანოტაციას და პირველ თავს ვთარგმნიდი. აქედან უკვე გასაგებია, რა ტიპის ტექსტია — იუმორით სავსე, დაძაბული სიუჟეტით, ჩახლართული ამბებით.

— ამბების მოყოლა თქვენი სტილია.

— ძალიან მიყვარს ამბავი — სადილო ტექსტებში, საბავშვოში და ლექსებშიც კი. ვილაცისთვის სწორ ხაზზე სიარული უფრო მისაღებია, ფიქრებში ხეტილი, სიღრმეებში ჩასვლა, მე კი წრეზე სიარული მიყვარს, ამბების ქსოვა. საბავშვო ტექსტებში ეს კიდევ უფრო მძაფრად უნდა იგრძნობოდეს. ჩემი ოცნებაა გავაკეთო „365 პლუს ერთი ძილისპირული თამრისგან.“ აქედან 100-მდე უკვე დაწერილი მაქვს, თუმცა უდროობა მიმლის ხელს. ეს ჩემი ყველაზე დიდი პრობლემაა. სამწუხაროდ, არსობის პურს ჩვენთან შემოქმედებით ვერ იშოვი, ამიტომ ისეთი საქმის კეთება გინევს, რაც უამრავ დროს და ენერჯიას გართმევს. გამოდის, რომ მორჩენილ დროში ვწერ, არადა, მეჩრია, პირიქით ყოფილიყო. მეოთხე წელია რომანს ვეჭიდები. ორი საბავშვო პოემა მაქვს დაწვებული და მხოლოდ დილაობით ვიცილი მათთვის. აქამდეც ასე იყო. რომანი „(მ)ორი მე“ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით იატაკქვეშეთში გავაკეთე. იმ პერიოდში „ინტერნისში“ ფილმების რედაქტორი ვიყავი და ქურდულად, მუშაობის პარალელურად ვწერდი. საკუთარ თავს ვპარავდი დროს. სწორედ ამას მიეძღვნა რომანი „CV“, რომლის მთავარ გმირს ლეთარგიულად დაეძინება და იმქვეყნად აღმოჩნდება, სადაც ყველანაირი პირობა აქვს წერისათვის, მაგრამ არ გამოსდის. ექსტრემალურ ვითარებაში

„საბავშვო ლიტერატურა ბედნიერების კუნძულია“

მუშაობას შეჩვეული, უკან დაბრუნებას ნატრობს. მეც იგივე მჭირს, ექსტრემალურ წერას მივეჩვიე. ალბათ ამიტომ იყო პენმარათონი ჩემი სტიქია. მარტო მე არ ვარ ასე. ბევრი თანამედროვე მწერალი მსგავს პირობებში. ვინ არ წვალბობს? ვერავის დაგისახელებთ, ვინც მორჩენილ დროში არ წერს. ნავიდა ზურა რთველიაშვილი შევდეთში და ალბათ ის ცხოვრობს წერით. ასევე აკა მორჩილაძე — ლონდონში, თუმცა აკა განსაკუთრებული მოვლენაა, შიპერაქტიული მწერალი, რომელსაც წერა ყველა ვითარებაში შეუძლია. ამ ყველაფერს ქალობაც ემატება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემებს.

— მწერლისთვის სქესი ხელისშემშლელია?

— ხელოვანისთვის ხელისშემშლელია. ალბათ ამის გამო დარღვეული გენდერული ბალანსი შემოქმედებაში და არა იმიტომ, რომ კაცის ტინის უფრო დიდი გაქანება აქვს, ვიდრე ქალისას, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ. ქალს უფრო მეტ ყოფით წვრილანზე უნევს ფიქრი.

— ვერ დაგვიანხმებთ, რადგან ბოლო 20 წელიწადში არცთუ ცოტა მწერალი ქალი გამომჩნდა, რომლებიც ურიგოდ არ წერენ.

— საბედნიეროდ, მწერლობაში მათმა რიცხვმა იმატა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მხატვრობაში, კინოსა და თეატრში ბევრი ქალია. კაცი უფრო გლობალურად უყურებს მოვლენებს, აქვს ამის ფუფუნება, ქალი კი ასე ცხოვრებას ვერ ახერხებს.

— მთელ მსოფლიოში საბავშვო ლიტერატურა ძალიან მომგებიანი სფეროა გამომცემლობისთვისაც და ავტორებისთვისაც, ჩვენთან რა ხდება ამ თვალსაზრისით?



— მომგებიანი ნამდვილად არის, მაგრამ არა ავტორისთვის. 15 საბავშვო წიგნი მაქვს დაწერილი, რომ არ ჩავთვალოთ გამომქართულებული და გაპიესებული ტექსტები. ბევრი არ არის, მაგრამ არც ცოტაა იმისთვის, რომ მორჩენილ დროში არ ვწერდე. ვოცნებობ, გამომცემლობებისგან ჩემი წიგნები გამოვიყიდო და თავად განვკარგავდე მათ ბედს, თუმცა ამ ეტაპზე ეს ძალიან რთულია. სერიოზულ სანყის კაპიტალს მოითხოვს.

— ახალ რომანზე მუშაობთ, რომელსაც „თურმელები“ ჰქვია. როდის გამოვა ეს წიგნი?

— ეს ჩემი მეოთხე რომანია, სადა ერთ დიდ საგვარეულოზე, სადაც ერთმანეთს ეჯახებოდა ირეალური სამყარო და რეალობა. ამიტომაც უნოდეს ასეთ სტილს მაგიური რეალიზმი — მარკესის სტილს ვგულისხმობ, სადაც მისტიკური ამბები რეალისტურადაა მოთხრობილი. სხვათა შორის, სიურეალიზმი ყველა ჩემს რომანში ფიგურირებს, ნამდვილ ცხოვრებას მხოლოდ მოთხრობებში აღწერ. ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს გამოუვალ მდგომარეობაში მისტიკის მოხმობა. ამას წინათ ერთმა ქალბატონმა დამირეკა და მითხრა, რომ „CV“-ში აღწერილი მიღწური სამყარო თავისი შრეებით ძალიან ჰგავს იოანეს გამოცხადებას „ახალი ალთქმიდან.“ რომ ვუთხარი, სასულიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნით ვერ დავიკვებნიდი, გაცოცხდა. ახლა ვაპირებ დეტალურად ნავიკითხო, ასეთი რა დამთხვევაა. ფაქტია, როცა ვწერდი, მიწაზე მყარად არ ვიდექი. ჩართული მქონდა დარბო მარიონელის მუსიკა, სადაც საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმის — მწერალი რალაცას წერს, ამ დროს მეც ვაკაკუნებდი და თითქმის ტრანსში გავდიოდი. ძალიან მიჭირდა რეალობაში დაბრუნება, განსაკუთრებით იმ მომენტებში, როდესაც ჩემს გარდაცვლილ მეგობარზე, დინარაზე ვწერდი. სხეულებრივად ვგრძნობდი მასში შესვლისა და გამოსვლის მომენტებს — ძალიან ახლოს მყავდა, სადაც აქვე იყო. ხანდახან ვტიროდი კიდევ. რალაც უცნაური ხდებოდა, თითქოს ამ ყველაფერს კი არ ვწერდი, უბრალოდ ვატარებდი. ამას ახლა ვაანალიზებ, მაშინ არ დავფიქრებულვარ.

— ანუ, ამ შემთხვევაში წერა არ არის მხოლოდ ნააზრვის ფურცელზე გადმოტანა?

— სრულებითაც არა. ეს იყო რალაც ირეალური, მისტიკური პროცესი: მე, ავტორი უკან მივეყვებოდი მოვლენებს. წერის დროს საკუთარ თავს გვერდიდან ხედავდი. სხვათა შორის, ამ წიგნს ბედი არ ერგო, რალაცნაირად ჩაიძირა.

— არადა, ურიგო რომანი არ არის.

— მეც ასე ვფიქრობ. ის კი არა, შეიძლება უკეთესი ვეღარც დავწერო.

— ცოტა მძიმედ კი იკითხება, ემოციურ ფონს ვგულისხმობ.

— გეთანხმებით, თუმცა არც სიმშუბე აკლია. შედარებით მძიმეა შუა ნაწილი, სადაც კონსილიუმი მიმდინარეობს. სხვათა შორის, ვანგა, ფროიდი, იუნგი, კასტანედა და სხვები იმდენად თავისთავად შემოდოდნენ ტექსტში და ისე უნდოდათ ამ წიგნში მონაწილეობა, მეგონა, მე არაფერ შუაში ვიყავი. ხელახლა რომ დავიწყო ამ რომანის წერა, არცერთი წინადადებით არ შევამცირებდი. ზუსტად ისე დავტოვებდი, როგორც არის.

— დიდხანს მუშაობთ დაწერილ ტექსტზე?

— თითქმის არასოდეს. შეიძლება წერტილ-მძიმე ჩავასწორო. ხანდახან გონებაში რალაც ადვილს ვასწორებ და აღმოჩნდება, რომ დედანში ზუსტად ისე წერია, ამიტომ ამ საქმეს თავი დავანებებ. ტექსტზე გზადგაზა იმდენს ვმუშაობ, ზედმეტ წვალბებას აღარ ითხოვს.



დასასრული


როცა თემის სამაგალითო პატრონი და უპირველესი გმირის ნონრე პაპას შვილები...

კობა იმედაშვილი

„ანი, პანი და პანი და...“

ვაგებულები რთული დრამატული პოემაა, თავისი მრავალსახეობით, მრავალგვარობითა და მრავალხმიანობით...

დასასრული ტრაგიკული არაა, იგი კეთილი ბოლოთი მთავრდება, იმ ყმანვილი კაცის ალტაცებით...



„ნანილის“ პოეტური ენა ვაჟას პოემათა ენას ეხმარება. არცაა გასაკვირი, ვაჟამ გენიალურად მონახა მთისა და მთიელთა ფიქრისა და ქმედების ამსახველი ენა...

როგორც მოგახსენეთ, „ნანილს“ ორი გამორჩეული გმირი ჰყავს, ნანილი – სიღამაზით, ნონრე პაპა – ვაჟაკობით...

არ ვიცი როგორს, მაგრამ მე უფრო სხვა, მძაფრ დაბოლოებას ველოდი, მაგრამ ამ შენიშვნის მიუხედავად უნდა ვთქვა, რომ „ნანილი“ შესანიშნავ დრამატულ პოემად რჩება მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში...

ნონრე პაპა... ეს ორი სიტყვა რალაცას თუ ვილაცას მახსენებდა, ასეთსავე იდეამალს, განსხვავებულს, ძლიერს... ვერაფერი გავიხსენე... მხოლოდ ბოლოს, პოემა რომ დამთავრდა, გამახსენა ისევე ნონრე პაპამ, როდესაც

„მხარით მოილო მაჟარი არა ჰკარგავდა ხანსაო, ფიცხლადვე დაჰკრა ჩახმახსა, არ უხუჭავდა თვალსაო, სვავს მინია ნახროლი, დაბლა დაასო ქვასაო.“

„ვინა სთქვა, ენაც გახმება ნონრე პაპა ბერია! ბერია, არცა ბერია, სიახლე ხელთა სჭერია ცხენზე შეჯდება, ქორსა ჰგავს, დაუქვეითებს მგელია!“

ნონრე აქ გამახსენდა ხალხური პოეზიის გამორჩეული გმირი ბრწყინვალე სიმღერებიდან, „გუშინ, შეიღნი გურჯანელი...“ ბერი პაპა მყავს მხედველობაში:

„ესროლა ბერმა პაპამა, ჯიხვი რქით გადმოეკიდა...“

იგი ისევე ახალუხლების ალტაცების საგანი, როგორც ნონრე პაპა. ეს ერთი ყაიდის ხალხია, ერთნაირნი, ვაჟაკანი, ახალუხლები მგობნი და მაგალითი. შეიძლება იგი ნონრე პაპას წინაპარი იყოს, თუნდაც არაცნობიერის დონეზე.

„ნანილის“ შემდეგ, ბევრად გვიან, ალბათ 1992 წელს ანზორ სალუქვაძე წერს პუბლიცისტურ პოემას – „იმიტაცია გალაკტიონ ტაბიძის პოემისა ჯონ რიდი“, იმ ყველაფერზე, რამაც 1991-92 წლებში გახლიჩა საქართველო და დაანგრია თბილისის ცენტრი. ეს უკვე სხვაგვარი პოეტური ტექსტია, სხვაგვარი რიტმით და სხვაგვარი პათოსით. იგი დაწერილია მოვლენების კვალდაკვალ, უშუალო თვითმხილველის პოზიციიდან, რეპორტაჟის სტილში და ოპოზიციონერის შეურთებლობით. აქ პოეტური სახეების მშვენიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ მან, ამ მწვავე სათქმელს თავისი ენა მოუძენა.

შეადარეთ მისი ტექსტები ერთმანეთს. იგი ყოველთვის იმ პოეტურ ენას მიმართავს, რომელიც სათქმელის ადეკვატურია – ერთისთვის ასეთი, მეორისთვის ისეთი, ისევე როგორც ვრცელ პუბლიცისტურ ლექსში – „ფრთხილად“ და პოეტურ ტექსტში – „სონეტების გვირგვინი, მიტანილი უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გამ-

არადა, ენობრივი გავლენა, ოღონდ სასიკეთო კუთხით, ნამდვილად ჩანს, თუნდაც აქ:

„დალაშქრა, დაცხრა ნათელი, დღე მოკვდა ვაჟაკივითა; საგ ზალს მიუხსნენ მწყემსები, ნაბდები – ორბეზივითა, მეტწილად ახალუხლები, წელწერილი ლერწმებივითა.“

ან – „ცისკარმა ამოანათა – ფუძე შეიძრა ცისაო; თანდისთან გაქრენ ვარსკვლავნი, ღამეს გადაჰყენენ გრილსაო.“

ანზორ სალუქვაძის „ნანილის“ გმირები – ნანილი, ნონრე პაპა თუ სხვები ახლოს დგანან ვაჟას პოემათა გმირების სამყაროსთან, არცაა გასაკვირი – უშუალო მოქმედება ვაჟას დიდ გმირთა სივრცეში ხდება, ასევე ნაცნობია მწიროს სახე, რომელიც „ბახტრიონის“ კვირიას და გურამიშვილის ავტობიოგრაფიულ გმირს გვახსენებს, რომელმაც წლები დაჰყო ლექთა ტყვეობაში და თავი მხოლოდ ღვთისმშობლის წყალობით დააღწია ამ ტყვეობას. მსგავსი მინიშნებანი და ალუზიები ამ პოემაში სხვაც ბევრია, ისევე, როგორც რუსთაველიდან დაწყებული და გიორგი ლეონიძიდან დამთავრებული, ის ხაზიც გრძელდება აქ, როგორ ადამიანები ღვთისმშობლი არიან, ღირსეული ღირსეულთაგან დახოცილი და ამდენად ერთმანეთის ღირსნი. მაგრამ ეს მხატვრული ტექსტი ხაზგასმით მთლიანად, დინამიური, ღრმა და ადამიანზე მიმდევარ დაყურადღებულ. „ნანილი“ სტრუქტურულადაც განსხ-

„ვაჰ, მზესა თქვენსა, ქალებო, რას ელით, რა გინერიათ! სიცოცხლის ყანა-ყოილი რა მალე გაგიცვლიათ! ულოებით ჰკრავთ, ძნებად სდგამთ, თავი ვერ აგინევიათ... ქმრებად ნაღველი შეგირთამთ, ზედ ჯვარი დაგინერიათ, არცა რის მომლოდინე ხართ, არც საით გაგინევიათ... მიჰყვებით შავსა მდინარეს, შავით მოგირთავთ ნელია!“


ნანილი ამ ტრაგიკულ ხედვარში თავის მომავალსაც ხედავს – „შავ მდინარეს“, მაგრამ იგი ყველასგან გამორჩეული ქალია და ის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომელსაც სხვები ვერ მიიღებენ. იგი უნდა გადაარჩეს თვითონაც და ნონრე პაპას, უპირველესი ვაჟაკის, გვარიც გადაარჩინოს გადაშენებას. ამიტომია, რომ უმნიშვნელო, პირმშვენიერი და ყველასთვის სასურველი ნანილი ნონრე პაპასთან მიდის, იჩოქებს მის წინ და ევედრება:

„ამიღე, ფიჩხად დამაგდე შენს კერას გაციებულსა, დაჰბერე, ქარო, ძლიერო, ნაღვერდალს დაძინებულსა, მტლედ დავედებ შენს ტკივილს, შენს ყოფას განზილებულსა, ჩემის ნაწნავით შეგკონავ, შენს ჯვარს ბოროტთაგან ვნებულსა, სიკვდილს მოგიკლავ, სიცოცხლეს დაგიჩრჩენ გაციებულსა.“

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პოემის დო. ძალიანაც რომ გინდოდეს, ბოლომდე მინც ვერ გაიხსნები, რადგან თავადაც არ იცი, ვინ ხარ და რა გინდა – ცხოვრება გზადაგზა გხსნის.

ამ რთული სამყაროდან როგორ ახერხებთ ისეთ ლალ და მარტივ სფეროზე გადართვას, როგორც საბავშვო ლიტერატურა?

ჩუკოვსკის ნაწარმოებებზე ვარ გაზრდილი. ბაბუა რუსი მყავდა და სულ



მიკითხავდა მის არაჩვეულებრივ ლექსებს, ამიტომ ეს ყველაფერი სისხლში მიზის. მე თუ მკითხავთ, საბავშვო ლიტერატურას განსაკუთრებული მოხერხება არ უნდა: ან გამოგდის, ან – არა, თუმცა ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ბავშვებისთვის წერა უფრო რთულია.

თქვენი საბავშვო ნაწარმების, განსაკუთრებით, ლექსების კითხვისას ნამდვილად ვერ იფიქრებ, რომ ავტორს მათი წერისას უწვავია – წყალივით მიდის და ძალდაუტანებლად გამახსოვრდება – ბავშვსაც და დიდსაც.

კარგად გამოგდის ის, რაც სიამოვნებას განიჭებს. ჩემთვის საბავშვო ლიტერატურა ამ ქაოტურ სამყაროში ბედნიერების კუნძულია. თუ მინდა, დილით კარგ ხასიათზე დავდგე, საბავშვო ლექსებს ვწერ. თან პროცესს ვიხანგრძლივებ – ყოველ დილით თითო სტროფს ვამატებ. ასე ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით დაიწერა ორი პოემა – „ბუზბუზელა“ და „ქონდრისკაცი ბაკი-ბუკა“. ცოტა ხანში დავასრულებ და გამომცემლობაში მივიტან – სხვათაგან ხომ უნდა ისიამოვნოს? ორივე წიგნს ალბათ „პალიტრა L“ გამოსცემს – მათთან დიდი ხანია ვთანამშრომლობ. ეს ადამიანები პიროვნულადაც მიყვარს და ვფიქრობ, საზოგადოებამდე წიგნის მიტანისა და პოპულარიზაციის საქმეშიც

— ახალი რომანი რა პროცესშია?

ფინალისკენ მივდივარ. ორი ვარიანტი მაქვს: შემოიღია ერთი თავის შემდეგ დავასრულო ან კიდევ გავაგრძელო. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. საკმაოდ მძაფრსიუჟეტური რომანია, რომელიც თურმელების საგვარეულო განძის ისტორიას მოგვითხრობს. თურმელები არარსებული გვარია, „თურმე“-დან მოდის. მისტიკა აქაც არის, თუმცა არც ამბების ნაკლებობაა. მაგალითად, აღვწერ სახლის ერთ-ერთ ოთახს და შემდეგ ჩაუვრთავ, რა მომხდარა ერთხელ ამ ოთახში; აღვწერ სამზარეულოში მდგარ ბუხარს და მასთან დაკავშირებულ ისტორიას ვყვები. პატარა-პატარა ამბები სულ არის. ამბების გიჟი ვარ. ტრანსპორტშიც კი სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე ადამიანების მონათხრობს. მიყვარს ადამიანში შესვლა, თუმცა საკუთარ თავზე იგივეს ვერ ვიტყვი. ზომიერების ფარგლებში საკმაოდ გახსნილი ვარ, იმის იქით კი ჩემი სამყაროა და არავის ვუშვებ. სხვათა შორის, კასტანედა პიროვნების გახსნის სასტიკი წინააღმდეგია, გასაიდუმლოებული უნდა იყოს, ამბობს. ამიტომ არც მისი დაბადების ზუსტი თარიღია ცნობილი და არც ის – ცოცხალია თუ მკვდარი. ფოტოც კი არ შემორჩა. კასტანედას მონაფე და მიმდევარი არ ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ შენი ცხოვრება ადამიანებს ზედაპირზე არ უნდა დაუ-

დასასრული

არჯვების დღეს“. ეს სხვადასხვა ანზორ სალუქვაძეა და ყველგან არის ის, რაც უნდა იყოს, „ავტობიოგრაფიკული“ და „იასამანი“ დანყებული და ამ პუბლიცისტური ტექსტებით დამთავრებული. ეს დიდი პოეტური კულტურაა.

თავის დროზე ანზორ სალუქვაძის მხოლოდ ერთი კრებული გამოიცა – „ლექსები და პოემა“ (1973), მისი გარდაცვალების შემდეგ, 2002 წელს – „იასამანი“, 2009 წელს – „ლექსები“, 2013 წელს „ნანილი“, ასევე 2013 წელს „ასი ლექსი“.

მისი ლექსები თუ პოემა დღესაც ისეთივე სიამოვნებით იკითხება, როგორც მაშინ, მის სიცოცხლეში. მას ახლაც კითხულობს ახალგაზრდობა, ისევე, როგორც მისი შვილის, უდროოდ დაღუპული მამუკა სალუქვაძის ლექსებს, რომელნიც კრებულში „ასი ლექსი“ მამამისის ლექსების გვერდით დაიბეჭდა.

მან აქ ერთ ლექსში სავესებით შეგნებულად მიმართა მამის ერთ მთავარ ხატს, იასამანს:

„ყოველ ბოროტს და ყოველ კეთილს აქვს დასასრული. იას – სავანი, იასამანებს კი აქვთ სამარე.“

შემდეგ, სხვა ლექსებში, იგი მთლიანად გაემიჯნა მამამისის პოეზიას და მამას მხოლოდ გულწრფელობითა და ლექსის რაფინირებული კულტურით ჰგავს.

მამუკა სალუქვაძეზე სათქმელი ბევრია, ბოლოს და ბოლოს, იგი თავისი თაობის შესანიშნავი პოეტი გახლდათ, მაგრამ ამჯერად ხელი გამიჩერდა, იმდენად კარგად შეაფასა იგი მისთვის დამახასიათებელ სტილში მკაცრად და მამამისის მამუკა სალუქვაძის პოეზია უფრო სრულად მაინც გასაანალიზებელია და ვფიქრობ, ამას შესანიშნავად სწორედ მკაცრად შეძლებს.

დაბოლოს, ერთი თხოვნა ჩემს მემკვიდრეებთან: თუ არქვამი ჩემი ის დაკარგული წერილი ნახოთ, დაბეჭდეთ, მგონი, არაა ცუდი და, რაც მთავარია, ანზორ სალუქვაძის პოეზიაზე საუბარი არასდროს არ უნდა დამთავრდეს.

დიდი წვლილი მიუძღვით. ჩემს ახალ რომანსაც სიამოვნებით ვანდობდი მათ.

— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, რომელს უფრო მიაკუთვნებთ საკუთარ თავს – საბავშვო მწერლობას თუ სადილოს?

— ასე ვერ ვიტყვი. ერთმანეთს აბალანსებენ. ხანდახან რომანზე ვმუშობ და ისე მოულოდნელად ამომიხტება ხოლმე საბავშვო თემა, გაანალიზებასაც ვერ ვასწრებ. პარალელურად შეიძლება მოთხრობა ვწერო. მატრიოშკებს ჰგავს – ერთმანეთში დევს და ყოველ ჯერზე ახალი თოჯინა ამოდის.

— ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ლინდგრენის პრემიაზე საბავშვო შემოქმედებით აღმოჩნდით. როგორ ფიქრობთ, გაქვთ გამარჯვების შანსი?

— მინიმალური შანსი ყველა მონაწილეს აქვს. სხვათა შორის, მწერლების რიცხვი არც ისე ბევრია – 20-მდე ვიქნებით. მეტი წილი ორგანიზაციებს, საბიბლიოთეკო ქსელებს, პრომოუტერებს უჭირავთ. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ დამიდგება გვერდში სახელმწიფო, რას თარგმნიან და რამდენად მსუყედ და გემრიელად მიანოდებენ ამ ყველაფერს ორგანიზატორებს.

ესაუბრა ნანა კობაიძე

„ბაირონს ცრემლის მაგიერ მდულარე ტყვიის სცვივა თვალთავან და კალმის მაგიერ ხელთ უპყრია მუხი“ ილია ჭავჭავაძე

ბაირონი ხშირად იმეორებდა თურმე ამ ლათინურ გამოთქმას: Aut Caesar, aut nihil — „ან ცეზარი უნდა იყო ან არაფერი“ და ამგვარად გამოხატავდა სწრაფვას დიდებისა და გამორჩეულობისაკენ. ბაირონი იყო პიროვნება-ტიტანი, როგორც ოთარ ჩხეიძე წერს თავის არაჩვეულებრივ ბიოგრაფიულ რომანში „იტალიური დღიურები ბაირონისა“.

ამ წიგნში იგრძობა მწერლის დიდი სიყვარული და ალტაცება ბაირონით, სხვაგვარად ალბათ ვერც დაწერდა ასეთ რომანს, რომელიც ბაირონის სულში გვაგზავნავს. „ვინაა ეს კაენის სახიანი კაცი“ — შეძრწუნებულს უკითხავს ერთს, თვალს რომ მოუკრავს ბაირონისთვის. „მაშინ ჯერ „კაენი“ არ დაწერა ბაირონსა, არც მოეფიქრებინა „კაენი“. მერე და გამოჩნდებოდა ბაირონი თავისი სახითა, ნამდვილი სახითა, თავისი სულითა, ნამდვილი სულითა, დიდებისა თუ ტრაგიკული განცდების წლებში მითუფრო გამოიკვეთა ლანდი უცნაური, მითუფრო იმძლავრა, მითუფრო მოუხელთებელი გახდა, მოუხელთებელი და ძლევამოსილი“, — წერს ოთარ ჩხეიძე და ახერხებს მოიხელთოს ეს სახე პოეზიითა და ბედისწერით ატანილი პოეტისა.

„სატანის სკოლის თავადად უხმობდნენ თანამედროვენი ბაირონსა“, — წერს ილია და საქებარ სიტყვებს არ იშურებს „ბაირონის მომხიბლავი გენიის“ წარმოსაჩვენად. ის ალტაცებულია ბაირონის შექმნილი ხასიათებით: „ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეჭვის ღრღინაში, თავის სულის წყურვილში ხედვენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა. ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ. ისინი არ მირბიან გულის გაუთავებელ წყლულთა მოსაჩვენად კაცთან, არამედ თავიანთივე გულის სიღრმეში და სულის უკვდავებაში ეძებენ სასონარკვეთილების წამალსა“. სწორედ ასეთი ხასიათები უნდა დახატულიყო ქართულ მწერლობაში. ეს ბაირონისეული სულისკვეთება შეიგრძნო მან ბარათაშვილის პოეზიაში და ამიტომაც აზიდა მწვერვალზე მისი სახელი.

„ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“, — ეს სიტყვები ბარათაშვილმა ათქმევინა ნაპოლეონს, რომლითაც ალტაცებულიყო, როგორც გმირით, ყოველგვარი საზღვრები რომ ევიწროებოდა. ნაპოლეონი მისთვის იყო პიროვნება, რომლის სულის შეცნობასაც დრო სჭირდებოდა. ბარათაშვილი ნაპოლეონის სახეში საკუთარ აუხდენელ გულისთქმებს გამოხატავდა: „მაგრამ მე გვაგმე სული ველარ მომთავსებთა, მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თითონ ბედი, ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი/ ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“. დრომ გაამართლა ნაპოლეონის ნიღაბს შეფარებული პოეტის დაქადნება: „თვითონ სამარეც მევიწროვოს, თუ ტოლი მყვანდეს“.

ნაპოლეონით ალტაცება, ერთი მხრივ, გამოხატავდა „სულის ტოლის“ ძიების წყურვილს, პოეტს ბედისწერასთან ბრძოლის ჟინს რომ უმძაფრებდა და ძალას მატებდა, მეორე მხრივ, ერის ტრაგიკულ რეალობას, მსხნელის მოლოდინით აღსავსეს. „ვინ აღჩნდეს გმირი“ — მონოდებასავით გაისმოდა გრიგოლ ორბელიანის ლექსის სტრიქონები („იარალის“), წმინდა გიორგივით გველუშაპი რომ უნდა განეგმირა და ქვეყანა ეხსნა ტყვეობისგან. ეს ნაკადი „გმირის ძიებისა“ მსჭვალავს მთელ მეცხრამეტე საუკუნეს და ექოსავით გადმოეცემა მეოცე საუკუნე.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაც გამსჭვალული იყო გმირის მოლოდინით. „ბორი-აყში“ რომ წერს: გმირობის დრო ყოველთვის არის, გმირი არ ჩანს ოღონდო.

ოთარ ჩხეიძის წიგნში წარმოდგება, როგორ ადიდებდა ბაირონი ნაპოლეონს, მუხედავდა იმისა, რომ ეს კაცი სძულდათ ინგლისში, ეს ერთ-ერთი მიზეზიც იყო ბაირონის დევნისა, რომ ნაპოლეონს ეთავსებოდა. რომანში ჩანს, როგორ არ ანაღვლებდა პოეტს ის, რომ ინგლისი მოთავეობდა ნაპოლეონის დამხობას. ბაირო-

მაია ჯალიაშვილი

AUT CAESAR, AUT NIHIL

ნი პროტესტს იმით გამოხატავდა, რომ ალტაცებას არ ფარავდა არსად — არც მეჯლისებზე, არც მთავრობის წარმომადგენელთა წინაშე. მან არ გაიზიარა თანამემამულეთა სიხარული ნაპოლეონის დამხობისა, პირიქით, უფრო მეტი გზნებით აქებდა და უფრო შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით ამკობდა. ეს ყოველივე დააგვირგვინა 1814 წელს, როცა დაწერა „ოდა ნაპოლეონს“. მისი დღიურის ჩანაწერებში ჩანს, როგორი გულისფანცქალით ადევნებდა თვალყურს ნაპოლეონის ყოველ ნაბიჯს: ჩამოუგდიათ ჩემი საწყალი პატარა კერპი, ნაპოლეონი ჩამოუგდიათ ტახტიდან, მანანალები შესულან პარიზში, მაგრამ არაფერია, ის კიდევ უჩვენებს იმათ სიერსო.

ექსპრესიულად და სიღრმისეულად წარმოდგება ბაირონის სულის მოძრაობანი ამ რომანში. ნაპოლეონი მისთვის იქცა ყოველგვარი ჩარჩოს მსხვრევის გამომხატველ იდეად. „ნაპოლეონის მაგვარი კარგა შეუკვეთა და მოედო ევროპის გზებსა მეფური დიდებითა, მეფური ბრწყინვალებითა, ვითომდა დევნილი არცა ყოფილიყოსო“. მწერალი ხაზს უსვამს ბაირონის „ღვთაებრივ სიდიადეს“, რომელიც იგრძნეს მასპინძელმა იტალიელებმა, როცა მათ ეს უცნაური კაცი გაიცნეს.

ბაირონმა 1816 წელს დაწერა „ჩაილდ ჰაროლდის მესამე სიმღერა“ — ნაპოლეონის დიდება. როცა იტალიაში ჩავიდა, მას უკვე ხელში ჰქონდა წიგნი. რომანში წარმოდგება, როგორ აიტაცეს ეს სიმღერა მილანში, თითქოს იტალიელები ნიშნს უგებდნენ ახალ ბატონებს — ავსტრიელებს. „ამიტომ უფრო დააფრიალებდნენ, პირდაპირ რომ ვერაფერი ეთქვათ, იმა სიმღერას იმეორებდნენ, იმა სიმღერას განდიდებისა, ამიტომაც დააფრიალებდნენ, ვითარცა დროშას შემოკრებისა, ვითარცა ნიშანს გამოფხიზლებისა, დააფრიალებდნენ და გულს დაიცხრობდნენ, ჟინს დაიცხრობდნენ შურისძიებისა“.

ოთარ ჩხეიძე იტალიელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე წერს და მკითხველი გრძნობს, რომ ამ ეპიზოდებში საქართველოს ბედიც იგულისხმება (მე-19 საუკუნისა და საბჭოთა დროინდელიც): „თავისუფლება დაეკარგა ერსა, თავისუფლების გემო გადავიწყებოდა, დიდი ხანია ძველი ბატონი ახალს ერჩია, ძველი მჩაგვრელი ახალს ერჩია, ის ტკივილები დავიწყებოდა, ის იარები მოშუშებოდა, ახალი რბევა ვერ აეტანა“. ეს სიმღერა თითქოს ენერგიასა და ძალას აძლევდა ხალხს.

საგულისხმოა, რომ ოთარ ჩხეიძე ნაპოლეონის მიმართ ბაირონის დამოკიდებულებაზე როცა საუბრობს, არ ეთანხმება მის ბიოგრაფოსებს, თითქოს ბაირონი გაორებული ყოფილიყოს (აქვე აღვნიშნავთ, რომ ის სხვა საკითხებზეც ხშირად არ ეთანხმება მათ, მაგალითად, როცა ისინი მისი დღიურების არაფულწრფელობაზე საუბრობენ). ოთარ ჩხეიძისთვის ამოსავალი ის არის, რომ შესანიშნავად იცნობს ბაირონის პიროვნებას, სწვდება მისი სულის სიღრმეებს, მის დღიურებში ბევრად უფრო მეტს ამოკითხავს, ვიდრე სხვანი, რადგან ერთიანობაში გაიზრებს ბაირონს, მის შემოქმედებას, მის ცხოვრებასა და დღიურებს.

თანამედროვეებს აბნევდათ ის, რომ ბაირონი ნაპოლეონს უნდებდა მსხნელსაც, მტარვალსაც, ღმერთსაც, ეშმაკსაც. ამ სიმღერაში ბაირონი ნაპოლეონს დიოგენეს ადარებდა, მასავით აიგდე ხალხი, „გვირგვინოსანო ცინიკოსო“. აქ უპირველესად იმას გულისხმობდა, რუსეთის მკაცრ ზამთარს გამოლწეულ, პარიზში ბუხარს მიფიცხებულ ნაპოლეონს რომ უთქვამს: აქ უფრო საამაო, ვიდრე მოსკოვში.

მართლაც შეიძლება დაიბნეს კაცი და დაიბნენ ბიოგრაფოსებიც, შესაბამისად, იოლი დასკვნა გამოიტანეს ბაირონის გაორებულიობაზე. ოთარ ჩხეიძის აზრით კი, ეს გაორება მოჩვენებითია, პირიქით, აქ



ქეშმარიტი ერთიანობაა, რადგან ერთიან-ია თვითონ პოეტი. ბაირონისთვის ნაპოლეონი არის რომანტიკული გმირი, ჯერ კიდევ ცოცხალი, ამიტომაც მოჩანს ერთგვარი ბზარები მასთან დამოკიდებულებაში. ეს ირეკლავს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს. სწორედ ეს არის სიძნელე დიდებული პიროვნების ხასიათის გაგებისა და არა მისი პიროვნების გაორება.

ოთარ ჩხეიძის აზრით, ბაირონმა აიტაცა რეალური სახე, აიტაცა საოცარი ძლევამოსილებით, აიტაცა რომანტიკულ მწვერვლებზე, შემოახვია რომანტიკული ბურუსი, აიტაცა და მისცა ღრუბლებს, ღმერთად დასახა მესამე სიმღერაში. ოღონდ ეს არის არა ქრისტიანული, არამედ წარმართული ღმერთი, „ძლევამოსილი და უსასოოო, ძლეული და დაუძლეველი, უარყოფილი და სანატრელი, დამხობილი და აღდგენილი, ღმერთია იგი დამარცხებული, გამარჯვებული დამარცხებითაცა:

თუ დაგიპყრია დედამინა,
ტყვეცა ხარ მისი,
მინც ძაგდაგებს შენი შიშით,
შენი სახელი
უფრო და უფრო მოსდებია
ქვეყნიერებას
და არარაი უფრო მეტად
განდიდებულხარ.

ასეა მართლაც ალტაცებული მინიერი ვნებებისგან, ალტაცებული და აღზევებული, რომანტიზირებული, იგი მკყობელ-იცაა და ტყვეც... წმ. ელენეს კუნძულზე

„საგურამოს“ ახალი ლაურეატები

8 ნოემბერს, საგურამოში, ტრადიციული «ილიაობა» და ლიტერატურული ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა. მკითხველს შევახსენებთ, რომ 2003 წელს დაარსებული ლიტერატურული პრემია „საგურამო“ და ილია ჭავჭავაძის მედალი „მარად და ყველგან...“ ყოველწლიურად ენიჭებათ როგორც ცნობილ, ისე ახალგაზრდა მწერლებს, ლიტერატორებსა და ხელოვნების მოღვაწეებს.

დიდი მწერლის სახლ-მუზეუმის ნაკლებად პომპეზურ, მაგრამ თბილ გარემოში, ილიას ფონდის თავმჯდომარემ ანდრო ბედუკაძემ დაასახელა წლებანდელი გამარჯვებულები.

ილიას მედალი ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭა ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს.

პრემია „საგურამოს“ ლაურეატები კი შემდეგი ნომინაციების მიხედვით გახდნენ: პროზა – ვაჟა გიგაშვილი პოეზია – დავით თედორაძე კრიტიკა – ამირან გამარათელი თარგმანი – გიორგი ლოპუნიძე

უღიმვამო დღეებს მიათრევდა“. მწერლის აზრით, ბაირონმა შექმნა ნაპოლეონის მონუმენტური სახე. მწერალი ამ წინააღმდეგობაში, ამ დაპირისპირებულთა ერთიანობაში ხედავს იმას, ყოველივე ამო რომ არის ამ წუთისოფელში, ამ გრანდიოზულ სამყაროში, სად დედამინაც უმცირესია, სად ყველა ერთია, განდიდებულიც და დამცრობილიც, ცოცხალიც და მიცვალებულიც, ყველა კერძია სიკვდილისა, მხოლოდ სიკვდილია მარადიული.

ნაპოლეონი ბაირონისთვის ამიტომაცაა ერთდროულად დიადიც და არარაც, იგი ერთიანია და განუყოფელი. ოთარ ჩხეიძის დასკვნით, ასე გახდა გმირი „ჩაილდ ჰაროლდისა“ არა ჩაილდ ჰაროლდი, არამედ ნაპოლეონი, როგორც ეპოსის გმირი.

რომანში შესანიშნავად წარმოჩნდება, რომ ნაპოლეონი ბაირონის ალტერეგოა. ბაირონმაც იხილა საკუთარი აღზევებაცა და დაცემაც.

„დონ-ჟუანის“ მეთერთმეტე სიმღერას იხსენებს ოთარ ჩხეიძე:

მე პოეზიას მოვევლინე ნაპოლეონად
და „დონ-ჟუანი“ გამეჩხირა,
ვითარც მოსკოვი.

ასე იქცა ბაირონი თავისუფლების სულად, რომელმაც მთელ ევროპა იტაცა და საუკეთესო პოეტები თავისი გაველენის ქვეშ მოაქცია.

ოთარ ჩხეიძე არღვევს ბაირონის ამპარტავნობის მითსაც, როდესაც ერთ საგულისხმო ამბავზე ამახვილებს ყურადღებას. ამაყ ბაირონს შეეძლო სხვისი აზრის გათვალისწინებაც. მისი „ჩაილდ ჰაროლდი“ გამომცემელმა ილუსტრირებისთვის მხატვარ რეინგელს გადასცა. მხატვრის ყურადღება მიიქცია სტრიქონმა „დააცხრა კიდევ არწივი მიწას სისხლიანი ნისკარტით“, და დახატა არწივი, კლანჭებით ჩაბლაჭებული მიწას. ნისკარტი გამოტოვა. ბაირონს მოსწონებია და უთქვამს, რეინგელს ფრინველებიც ჩემზე უკეთ სცოდნია და პოეზიაც ჩემზე უკეთ გაეგებო. და ასე ჩაუსწორებია სტრიქონი: „არწივი კიდევ დააცხრა მიწას, კიდევ ჩაბლუჯა კლანჭებით“.

მწერლის აზრით, სისხლიანი არწივი ვატერლოს ბედისწერას გამოხატავდა. ბაირონიც იხილავდა თავის „ვატერლოოს“, ოღონდ არა აქ, დამცხრალ იტალიაში. ოთარ ჩხეიძე წიგნის ბოლო ეპიზოდში თავის ბობოქარ გმირს სხვა გზისკენ მიაცილებს, რომელიც ახალ თავგადასავლებს ჰპირდება: „თავისი ბედი იწინასწარმეტყველა ბარათაშვილმა, ბაირონსაც ეს ერგო ბედად, მეტი არაფერი, მეტი არაფერი, ოღონდ ჯერ მინც მიეწინააფოდა იარალასხმული, მიექანებოდა საბერძნეთისკენა, სადაც ბრძოლა იყო, იმედიც იქ გახლდა, მხოლოდ იქითკენ მიექანებოდა“.



საბავშვო მწერლობა – გურამ პეტრი-აშვილი
ჰუმანიტარული მეცნიერება – ამირან არაბული
ხელოვნება – გიორგი წერეთელი.

საქართველოში ცნობილი და აღიარებულია, რომ ჭეშმარიტად დიდი მწერალი მხოლოდ თავის ქვეყანაზე იმ შემთხვევაშიც კი არ წერს, როდესაც სწორედ რომ თავის ქვეყანაზე წერს, რადგან ამ დროს იგი – ძალაუნებურად და მისთვის ღვთის ბოძებული წინასწარმეტყველური ნიჭის საკრალური უფლებით – სხვა ქვეყნებსა და ხალხებს, კაცობრიობას, მთელ მსოფლიოს ეხება.

გამოჩენილი იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს ბოლო დიდა და ფრიად კოსმოპოლიტური ხასიათის რომანმა „პრადის სასაფლაო“, ჩემი ყურადღება მიიპყრო არა რაღაც განსაკუთრებულ თუ განუმეორებელ ლიტერატურულ ღირსებათა გამო. მეტიც – არც იმ მიზეზით, რომ იტალიაში უკვე გაყიდულა ამ წიგნის 700 ათასზე მეტი ეგზემპლარი, და არც იმიტომ, რომ საფრანგეთში ეკოს რომანი ერთი პირობა ბესტსელერთა სიაში ლიდერობდა. ამ პატარა წერილის დაწერა რომანში „ჩაპრესილიმა“ გლობალისტურმა შინაარსმა შთამაგონა.

პირველი შთაბეჭდილებით (და, კაცმა რომ თქვას, მართლაც ასეა), იტალიური ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსის ეს რომანი განწილი და საკმაოდ რთულად აღსაქმელია. მრავალრიცხოვანი პერსონაჟები ხშირად ზერეულე, ზედაპირული და პლაკატურია – მათი ხასიათების აღწერილობა ძუნწია, ხოლო სახეებს ამკარად აკლია ბუნებრივი ადამიანური განზომილებები. რომანის შიდა კონფიგურაცია გამომწვევად ხელოვნური კონსტრუქციის ნიშნებს ატარებს. სიუჟეტი გადატვირთულია ნაირნაირი უთვალავი ისტორიული თუ ფსევდოისტორიული ფაქტების ანაქრონიული წყებებითა თუ ასეთი ფაქტების სიმულიაკრებით (როგორც სტილისტიკურად სწვევია კიდეც ეკოს, თავისი საუკეთესო „ვარდის სახელიდან“ მოყოლებული). მართალია, რომანი თავიდან ინტერესით იკითხება, მაგრამ მოგვიანებით – ასოდე საწყისი გვერდის „შთანქმის“ შემდეგ – სწრაფად ცვალებადი მოვლენების „სხაპასხუპობაში“ შიდა ინტრიგა ნავლდება და რაღაც ინერციით თუ ექაჩება მკითხველს ფინიშისკენ (რაც ნებისმიერ ნაწარმოებს შეიძლება ჩაეთვალოს ნაკლად). მაგრამ თუ ფორმალურად ეს რომანი ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევის ნაირსახეობაა, არსობრივად მას მაინც სხვა – უფრო ფილოსოფიური – დატვირთვა აქვს. მის ფურცლებზე ჩვენს წინ არათუ თვალნათლივ იშლება მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ნაწილის – ევროპის ისტორიის – წარმტაცი ხედი და დინება, არამედ ჩვენი თვალსაწიერის ფარგლებში ხვდება ამ ფათურაკიანი დინების ზედაპირზე ლაღად მოტვირთვივ და მისგან განუყოფელი მღვრიე ქაფიც მთელი თავისი მშვენიერებით; ქაფი, რომელიც თითქოს იმისთვისაა მონოდებული, რათა მიიზიდოს და მიიკრას მთელი ევროპის ავანტიურისტებისა და ნაძირლების ფარული, მაგრამ უკიდევანო სიძლიერე. ფაქტობრივად ეკო გვიმტკიცებს (და ეს საუცხოოდ ეხერხება), რომ ევროპის განვითარება, მისი მამოძრავებელი ძალა (აღებულია მონაკვეთი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მის ბოლომდე, თუმცა ეს პირობითი საზღვრებია), სინამდვილეში არა თავისუფლად არჩეული პარლამენტებისა და დინასტიური მონარქების, არამედ რამდენიმე ნაძირალა ადამიანის სისტემური შემოქმედების შედეგი და მათი კუთვნილებაა.

ამ დებულების საფუძვლიანობის გასაძლიერებლად ეკო – გამოწკლისის სახით – რომანის მთავარი გმირის კაპიტან სიმონე სიმონინის მძაფრად წარმოსაჩენად არ იშურებს ლიტერატურული ფერების სრულ პალიტრასა და ფროიდისტულ ფსიქოლოგიურ ნიაღვრეებს. ამიტომ სწორედ ეგ სიმონინია (მე თუ კაცი მკითხავს) ერთადერთი ნამდვილი ადამიანი (თუმცა, ძალიან ცუდი) მთელ ამ დიდ რომანში.

მაგრამ ნაკლოვანებებზე საუბარი გამიგრძელდა და უსამართლობა იქნებოდა, არაფერი მეთქვა რომანის ძლიერ მხარეზე. ბანალობაა, მაგრამ ბუნებას და ლიტერატურულ კრიტიკას წონასწორობა

და ბალანსი უყვართ. ჩემი აზრით, ამ ნაწარმოების ძირითადი უპირატესობა – პირველ რიგში – ავტორისეული ხედვის უთუო მასშტაბურობაში ვლინდება. ანუ იმ ხელგაშლილობაში, რომელიც ესოდენ იშვიათია თანამედროვე დასავლური ლიტერატურის გვარიანად მოყრჩეულ და პოლიტიკურექტულ „ლიბერალურ“ მეინსტრიმში. აი, ამ მეინსტრიმსაა რომ უპირისპირდება და დასცინის ეკო! იგი ეპყრობა მოვლენებს როგორც ისტორიკოსი და განზრახ აზვიადებს მათ როგორც ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი. ისიც ირკვევა, რომ ტყუილად როდი დამსგავსებია, თურმე, რომანზე მუშაობის განმავლობაში (გარეგნულად თუ ყოფითი ჩვევებით) უმბერტო ეკო თვით ალექსანდრე დიუმას (რომელიც, სხვათა შორის, რომანის ერთ-ერთ ეპიზოდში რამდენიმე გვერდის მანძილზე გვევლინება როგორც თანამედროვე იტალიის ერთ-

გიორგი ლორთქიფანიძე
ნაძირლობის
ფარული სიმსუბუქე
უმბერტო ეკოს „პრადის სასაფლაო“



ერთი მამა-დამფუძნებლის, დიდი გამაერთიანებლისა და რესპუბლიკელის, ჯუზეპე გარიბალდის მეგობარი და მხარდამჭერი). და რაც მთავარია, რომანს მასშტაბური ზეამოცანა აქვს.

ამ ზეამოცანის შესახებ დიდი ტრაქტატის დაწერა იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ აქ მაინც მოკლე დახასიათებით შეივლივარკლები: „პრადის სასაფლაო“ არის თხზულება იმის თაობაზე თუ როგორ შეიძლება შეცვალოს მსოფლიო ერთმა ცალკე ადებულმა ნაძირალამ (რა თქმა უნდა, ხელშემწყობი პირობების იდეალური გამოყენებით; ანუ, მდაბიური თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივ მეინსტრიმში მოქცევით). „ნაძირალური სიძლიერის“ მხატვრული ხერხებით წარმოჩინება თავისთავად ორიგინალური თემა არ გახლავთ (საუკეთესო მაგალითი ამისა, ჩემი აზრით, დოსტოევსკის ცნობილი ეპიკურული ნაწარმოებია – სტავროგინი და ევრხოვენსკი არიან), მაგრამ ის არც იმდენად ამონურულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ დრო და დრო მას ისევ და ისევ არ უბრუნდებოდეს ხელოვნების რომელიმე დიდი შემოქმედი ამქვეყნიური ბოროტების რომელიღაც ახალი კუთხით წარმოჩინების მიზნით. წარმოშობით უმბერტო ეკოც ასეთი შემოქმედების ძვირფასი კოჰორტიდანაა, მას ეკუთვნის და, არასაკვირველია, მასაც გააჩნია კანონიერი უფლება მასშტაბურ ნაძირლობებთან მხატვრულად გამართლებული ექსპერიმენტების საშუალებით შეჭიდებისა. გავითვალისწინოთ ასევე, რომ ხსენებული ბოროტების მაქსიმალურად სიღრმისეულად და ზუსტად ასახვა, რასაკვირველია, არა მხოლოდ იტალიური ან ევროპული, არამედ მსოფლიო მასშტაბის და, ამდენად, ქართული პრობლემაც არის. ეს მიუხედა-

ვად იმისა, რომ ქართული ლიტერატურა – განსხვავებით რუსული და ევროპული ანალოგებისგან – ასეთი სატანური სიძლიერით შემოკობილი და ცალსახად უარყოფითი მარტოხელა გმირების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის. თუ, რა თქმა უნდა, ასეთებად არ მივიჩნევთ არსენა მარაბდელს (რომელიც სინამდვილეში უფრო დადებითი გმირია, ვიდრე უარყოფითი) ან „უთავო“ მრავალთავიან დევებს ცნობილი ქართული ზღაპრებიდან.

გავიმეორებ, რომ რომანის მთავარი და ჭეშმარიტი გმირი – ერთადერთი პერსონაჟი, რომლის შინაგანი რაობის მოცულობით გამოკვეთაზე ავტორს რუდუნება და ენერჯია არ დანანებია – პიემონტის მკვიდრი ფრანგ-იტალიელი (შევახსენებ მკითხველს, რომ პიემონტის ოლქი აღნიშნულ ისტორიულ პერიოდში ხელიდან ხელში გადადიოდა) ვინმე სიმონე სიმონინი – ქრესტომათიული ნაძირალაა. ამაზრზენი

ისტვის, ამ ოსტატობის წყალობით ერთდროულად რამდენიმე მძლავრი დაზვერვის აგენტი ხდება, ამ ნიჭის მაღლით ძალუძს მას ადამიანებით მანიპულირება იმ „დიადი“ მიზნების მისაღწევად, რომლებსაც დრო და დრო მას გავლენიანი დამქირავებლები – საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ინგლისის, რუსეთის უმაღლესი საპოლიციო ჩინები – უსახავენ. და აი, ასე – მდოვრედ და უხილავი ჯაჭვებით სიმონინის ცხოვრებასთან გადაბმულად – მიედინება ევროპის ისტორია...

როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი „პატარა“ მიზანი კაპიტანს ორად ორი აქვს – ბევრი ფული და გემრიელად ჭამა. ამ მიზნების მისაღწევად ის ყველაფერს კადრულობს. უცხო თვალთაგან დაფარულ შიდაევროპულ ბრძოლებში სიმონინი – ბედის კარნახი – ხან ვის მხარესაა და ხან ვისა, მაგრამ მის ქმედებებსაც აქვს მკაცრი შეზღუდვა – ის ყოველთვის სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშაა და მუდმივად აკონტროლებს მასზე გაცხილებით ძლიერი, უზუნაესი სახელმწიფო ძალა. მართალია, შეეჩვია ამას, მაგრამ არ გინდა გადარჩე ასეთ პირობებში? დანაღმულ ველზე სიარულია სიმონინის მთელი ცხოვრება და ამ ველზე იძულებითი სეირნობისას ის არაერთხელ კლავს – პირდაპირი მნიშვნელობით, დემაგოგობს, აფერისტობს, აყალბებს საბუთებს, შანტაჟითა და სიცრუით იკაფავს გზას ფულისა და ჭამისკენ. საბოლოოდ კი ეკოს თავის ჯაშუში გმირი ევროპული ანტისემიტისმისა და სახელმწიფო იუდოფობიის ერთ-ერთ მამად, ცნობილი „სიონელი ბრძენების ოქმების“ გამყალბებლად და პრადის მივიწყებულ ებრაულ სასაფლაოზე რეგულარული მასონურ-სიონისტური შაბაშების გამომგონებლად გამოყავს. ერთი სიტყვით, ეს სოციოპატი და თაღლითი ცრუ-კაპიტანი (კაპიტანობაც შეითხხნულია) რომანში პირველი მსოფლიო ომის გულადი ეფრეიტორის ადოლფ ჰიტლერის იდეოლოგიურ მამინაცვლად გვევლინება. გავითვალისწინოთ, რომ რომანის სიუჟეტი (მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად მასში სიმონინის ცხოვრება აღწერილია ღრმა ბავშვობიდან მის გატერორისტობამდე 68 წლის ასაკში) მიბმულია კონკრეტულ 1897 წელთან, ანუ ხანასთან, როდესაც პატარა ადოლფი ბრაუნაუდან ჯერ კიდევ რვა წლის უმანკო ბავშვია, და ეს გახლავთ მთელი ონტოლოგიური განსხვავება ანტისემიტური ეპოქის ამ ორ გამოჩენილ გმირს შორის – მერე რა, რომ ერთი მათგანი მწერლის მიერაა მოგონილი! წარსული მიდის, მომავალი კი – რომელიც ჯერ ლამბახის სამონასტრო სკოლაში დადის – მოდის, და ამ პროცესს (ჩვენ ეს ნამდვილად ვიცით) ვერაფერი შეაჩერებს. ვარდაუფალი ოსვენციმი წინაა. პიკანტურობას არაა მოკლებული ის გარემოება, რომ თავად სიმონინი სულაც არ გახლავთ რაღაც პირნავარდნილი ანტისემიტი. ისაა პრაგმატიკოსი, უკიდურესი ცინიკოსი, ყოვლად უსინდისო ადამიანი, მაგრამ ჭეშმარიტი ანტისემიტისმის მისგან შორსაა – უბრალოდ ცხოვრების რაღაც ადრეულ ეტაპზე მიღებული ტრავმის გამო, მან შემდგომში ადამიანის სახე დაკარგა და გადაწყვიტა, რომ მისთვის ასე აჯობებს, დრომ კი ასწავლა, რომ ანტისემიტიზმითაც შესაძლებელია კარგი გასამრჯელოს მოპოვება და უძღები სტომაქის გაგება.

აღსანიშნავია უმბერტო ეკოს დამოკიდებულება იტალიელი რესპუბლიკელებისადმი – ამ მხრივ რომანში გარსიბაღდისტები იგივეებიან როგორც ისტორიას უკვე მიბარებულ ნატივ ფრანგ რევოლუციონერებთან, ისე ცხრაასწივდიმეტი წლის შემოდგომაზე პეტროგრადის ზამთრის სასახლეში შეჭრილ მრავალეუროვან რევოლუციურ ბრბოსთან.

აი, რას წარმოთქვამს პრივატულ ვითარებაში რომანის ერთ-ერთი მესამეხარისხოვანი პერსონაჟი გარიბალდის რესპუბლიკელებზე:

„მეგობრებო! ხმა მითრთის, მაგრამ იძულებული ვარ საგანგებოდ შეგატყობინოთ, რომ პარიზული კეთრი იტალიასაც

„პარდის სახელი“ და „ხილვის ხილვა“



მწერალთა სახლში გრძელდება ლექციების ციკლი „საუბრები ლიტერატურაზე“.

ამჯერად სახლის სტუმარი გახლდათ მედიევისტიკის დოქტორი, ფილოლოგი ლევან გიგინეიშვილი. მისი საჯარო ლექცია უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ მიეძღვნა. ბატონმა ლევანმა რომანსა და მის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ხასიათზე ისაუბრა, მიმოიხილა ის ისტორიული ხანა და რელიგიურ-კულტურული კონტექსტები, რომელშიც სიუჟეტი ვითარდება. გაიხსენა მისი პირველი „მეხვედრა“ უმბერტო ეკოსთან.

„ვარდის სახელი“ იტალიელი კულტუროლოგის, ფილოსოფოსისა და მწერლის პირველი რომანია. მრავალ ენაზეა თარგმნილი და უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მკითხველში. ნიგნის სიუჟეტი მოგვითხრობს განუწყვეტელ ბრძოლაზე ტრადიციულსა და ინოვაციურს შორის, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსები ამბობენ, „ვარდის სახელი“ მეტია, ვიდრე რომანი, ვიდრე დეტექტივი, ვიდრე ფილოსოფიური ტრაქტატი. ქართულ ენაზე ნაწარმოები თარგმნა ხათუნა ცხადაძემ, 2011 წელს კი გამომცემლობა „დიოგენე“ გამოსცა. მას მერე რომანისადმი ინტერესი არ განელეზულა, ამის დასტური იყო მსმენელით სავსე დარბაზი მწერალთა სახლში. უამრავი ადამიანი შეიკრიბა, რათა კიდევ ერთხელ მოესმინა ლევან გიგინეიშვილისთვის და მასთან ერთად გაეხსენებინა რომანი. სტუმრებს შორის იყო მთარგმნელი ხათუნა ცხადაძეც.

ლევან გიგინეიშვილი: „ვარდის სახელი“ არის ენციკლოპედია მთელი შუა საუკუნეების და არა მხოლოდ მე-14 საუკუნისა, რომელშიც სიუჟეტი ვითარდება. მასში ამოიკითხავთ და გაიგებთ ყველაფერს იმ ეპოქის ხელოვნებაზე, მხატვრობაზე, არქიტექტურაზე. რომანი ერთგვარად ჰგავს ბატონიშვილის „ხუმარსნავლას“ — იქაც ავტორი ჰყვება სიუჟეტს და მასში აქსოვს თავის ცოდნას.


არაფერი რომ არ იცოდეთ შუა საუკუნეებზე, „ვარდის სახელის“ დახმარებით ისწავლით. გულდასმით რომ წაიკითხოთ და უცნობი სიტყვების განსამარტავად „გუგლიც“ დაიხმაროთ, ნიგნის დამთავრების შემდეგ, დაწყებით მედიევისტიკის ცოდნა გექნება. თუ მხოლოდ გასართობად გინდა — გაერთობი, შეგიძლია ძალიან რთული ფილოსოფიური პასაჟები გაატარო, ყურადღების მიღმა დატოვო, მაგრამ თუ მათში ჩაღრმავებას მოისურვებ, მიიღებ სისავსეს და ცოდნას.

ამჯერად, „გუგლის“ მაგივრობა, შეიძლება ითქვას, ბატონმა ლევანმა „ითავა“, თუმცა მხატვრული ტექსტის განხილვისას, სპეცილისტიკან ცოცხალი შენიშვნებისა და კომენტარების მოსმენა, ხშირ-

ად, ბევრად უფრო საინტერესოა ხოლმე, ვიდრე ინტერნეტსაიტებზე მოძიებული მშრალი ინფორმაცია. მსმენელმა, მომხსენებელთან ერთად, კიდევ ერთხელ „გამოიხილა“ ბენედიქტელთა სავანის ერთ-ერთი წევრის იდუმალი სიკვდილი და გზად უამრავ ერთმანეთზე გადაჯაჭვულ თემაში, თეოლოგიურ ინტერპრეტაციებში გარკვევა სცადა.

ლევან გიგინეიშვილის თქმით, რომანში ყველაფერი დახვეწილია იმისთვის, რომ მკითხველმა შუა საუკუნეები შეიყვაროს. მისი ლექცია, უთუოდ, მედიევისტიკით დაინტერესების მიზეზად ექცეოდა ბევრს.

6 ნოემბერი ზაზა თვარაძის გარდაცვალების დღეა. ეს თარიღი მწერალთა სახლში მწერლის გახსენებით აღინიშნა. მოგონების სევედას სიხარულიც ახლდა, რადგან ზაზა თვარაძის გარდაცვალებიდან მეშვიდე წელს, მისი ახალი ნიგნი დაიბეჭდა. „ჩადექი მანდი!“ — ასე ჰქვია კრებულს, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა მწერალთა სახლში, გარდაცვლილ მწერლისადმი მიძღვნილ საღამოზე.



„ჩადექი მანდი!“ გამოსცა „ინტელექტმა“, რისთვისაც გამომცემლობის წარმომადგენელმა ზვიად კვარაცხელიამ უამრავი მადლობა მიიღო ზაზას მოსაგონრად, მისი ახალი ნიგნის გასაცნობად მისული საზოგადოებისგან.

კრებულში შესულია გამოუქვეყნებელი ესეები და ჩანაწერები, იქვეა სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნებული და დასაკარგად ვერგამეტებული ინტერვიუები მწერალთან, გარდა ესეების და ჩანაწერებისა, მკითხველი იხილავს ზაზას სიზმრებსაც, „ხილვის ხილვას“. ასევე, მის „ანექტას“, რომელიც, როგორც კრებულის

შემდგენელი, მანანა ჯიქია ამბობს, აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო ნიგნში. „დარწმუნებული ვარ, რომ არა მხოლოდ იმ მკითხველისთვის, რომელიც პირველად გაიცნობს ავტორს, არამედ მისი მეგობრებისთვისაც მოულოდნელი იქნება მათთვის უცნობ ზაზასთან შეხვედრა“, ამ სიტყვებით სრულდება წინათქმა, რომელიც მანანა ჯიქიას ეკუთვნის.

სოცნის საღამო წარმართა მწერლის ვიდეოკადრების ფონზე. საღამოს ქალბატონი მანანა უძღვებოდა. ის კითხულობდა ნაწყვეტებს ნიგნიდან და ყვებოდა მწერალზე.

ზაზა თვარაძე ბევრმა ადამიანმა მოიგონა. მათ შორის იყო ლევან ბრეგაძე. იგი თავიდან მოკლედ შეეხო ქართველი ავტორების განსხვავებულ იუმორს, მკითხველს რომ არასოდეს აერევა ერთმანეთში, შემდეგ ზაზა თვარაძის იუმორზე ისაუბრა. ზაზასთან ასეთ ფორმულას მივადგინო, ბრძანა ბატონმა ლევანმა: „ძალიან ხარისხის იუმორი გამოდის, თუ ძალიან უმნიშვნელოზე ძალიან სერიოზულად ილაპარაკებ“ — და დასტურად ნაიკითხა ამონარიდი ზაზა თვარაძის ერთ-ერთი ჩანაწერიდან სახელწოდებით „მალაზიაში“, რომელიც „ლიტერატურული გაზეთის“ წინა ნომერში დაიბეჭდა.

შოთა იათაშვილი: „ძალიან სევდიანი დღე არის ჩემთვის, ის შვიდი წლის წინანდელი დღე კადრებად მახსოვს. დილის გაღვიძება, დედაჩემის ნათქვამი, რომ ზაზა ცუდადაა, მერე მიხვედრია, რომ ყველაფერი უკვე სხვანაირად დამთავრდა. მეორეს მხრივ, ეს არის იმედის დღე, სასიამოვნო, სახალისო დღეც კი... იმიტომ, რომ ვიჯექი და ვუყურებდი ვიდეოკადრებს, სადაც ის გიტარაზე უკრავს, ფესტებით ლაპარაკობს, ემოციურად, როგორც იცოდა ხოლმე. ბევრჯერ მინახავს ეს კადრები, მაგრამ არასოდეს მწყინდება, რადგან ყოველ მიმოკაში ის ადამიანი იკითხება, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობდი, ბოლომდე მიყვარდა და, რომელიც ბევრს მაძლევდა. ეს ურთიერთობა ამ მხრივ დამთავრდა, მაგრამ ამავე დროს გრძელდება, სხვანაირად. ...რალაც ნაწილი ამ ნიგნისა წაკითხული მაქვს და რამდენიმე გამოუქვეყნებელი მისი წერილი უურნალოდ დავებეჭდე, სანამ ნიგნი გამოვიდოდა. იქ სწორედ ის ზაზა ჩანს, რომელიც თავის თავს ელაპარაკება. ის ხომ ფილიგრანული დიდოსტატი, ვირტუზი იყო, თავის სათქმელს ფორმაში აქცევდა და იმ ფორმას სულ ოქრომჭედელივით ამუშავებდა. საბოლოო სახის მიცემამდე გარეთ, მკითხველთან არ უშვებდა. ეს ჩანაწერები არის მისი პირველადი ფიქრები ცხოვრებაზე, იმ გარემოზე, რაც მის ირგვლივ იყო და იმაზე, რაც მის სიზმარში ტივტივებდა, ეს ჩანაწერები არის სხვა სამყარო, რომელმაც ლექსის ფორმა არ შეიძინა, ბოლომდე ჩამოყალიბებული მოთხრობის ფორმა არ მიიღო. ის სხვანაირ ზაზას გვაჩვენებს, ბოლომდე გახსნილს, რომელმაც სათქმელი ფორმაში არ გადაიტანა, მხატვრული ფორმით არ შენიღბა... ამ ნიგნიდან პირდაპირ ზაზა გველაპარაკება“.

შემდეგ ზვიად რატინამ ისაუბრა ზაზა თვარაძეზე, როგორც „აბსოლუტურად განსხვავებულ ადამიანზე“ ყველასგან, ვისაც ოდესმე იცნობდა: „მიუხედავად მისი განსხვავებულობისა ყველაფერში — აზროვნებაში, ნაწერებში, დამოკიდებულებებში, ის იყო ძალიან ბუნებრივი ადამიანი. ზაზა ძალიან ბუნებრივი იყო თავის ნაწერებთან მიმართებაში და ნაწერები კი — ავტორთან მიმართებაში. ამგვარი მითლიანობა, თითქოს არცაა ყველასთვის აუცილებელი, მაგრამ ზაზას შემთხვევაში ეს ძალიან თვალშისაცემი იყო“...

საღამომ გვიანობამდე გასტანა.

მომავალ თამარ შურულაძე

გიორგი ლორთქიფანიძე

ნაძირლობის ფარული სიმსუბუქე

დასასრული

მოედო! ლუი-ფილიპი წმინდანი არ ყოფილა, მაგრამ რალაც წინააღმდეგობას მაინც უწევდა ანარქიას. მახსენდება თუ რა ხდებოდა ახლახან რომში... ნუთუ ეს რომაელებია?... ეს ხალხი კი არა, პლებსია. რომში ისინი მიეტმასნენ იტალიური თუ უცხო ქალაქების ყველაზე სამარცხვინო ნაძირლებს, გარიბალდისტებს, მაძინისტებს, ყველანაირი ბოროტების ბრმა იარაღად გარდაიქმნენ. თქვენ არ იცით, რა ენით აღუწერელ საზიზღოვებს ჩადიდონენ რესპუბლიკელები. ისინი იჭრებოდნენ ეკლესიებში, ანგრევდნენ და ფერფლად ანიავებდნენ წმინდანთა სასუფეველებს. ისაქმებდნენ იქ, გამოჰქონდათ გარეთ საკურთხეველები და თითხნიდნენ მათ ექსკრემენტებით. ხანჯლებით კანრავდნენ ღვთისმშობლის ქანდაკებებს... მღვდელი, რომელიც აპოკრიფებს რესპუბლიკურ სისაძაგლეებს, შეათრიეს ბნელ კუთხეში, განგმირეს ხანჯლებით, დასთხარეს თვალები, მოკვეთეს ენა, გამოფატრეს და შემდეგ საკუთარ ნაწლავზე ჩამოახრჩეს...“

ნუ, როგორც ჩანს, ეს ზოგადი წესია...

ცალკეული ნაძირლისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის, თუ გნებავთ — ნიჭიერი სალახანისა და ინერტული თემის ურთიერთობის პრობლემა სავარაოდ დასმის თვალსაზრისით ეკოს პირველობა არ ეკუთვნის. როგორც ზემოთ აღვნიშნე (მიუხედავად ლიტერატურული ნაძირლების უაღრესოდ ფართო არჩევანისა მსოფლიო პროზასა თუ პოეზიაში), ამ მხრივ — ჩემი პირადი სუბიექტივიზმის ფარგლებში — პირველობას მაინც დოსტოვესკის „ემმაკანის“ ერთ-ერთ პროტაგონისტს პეტრუშა ვერხოვენსკის მივანიჭებდი. მაგრამ თუ ვერხოვენსკის გზა ლენინის და ბოლშევიზმის გზაა, ცრუ-კაპიტან სიმონინისა — ჰიტლერის და ნაცისტური პრაქტიკის მარშრუტია. რალაც შორეულ ჰორიზონტზე ეს ორივე პერსონაჟი — ვერხოვენსკი და სიმონინი — შესაძლოა შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს ხელის ჩამოსართვევად, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ჰორიზონტის ხაზი მიუღწევადი და წარმოსახვითია. ისტორიულად ლენინი და ჰიტლერი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, და მაინც... ჩემი აზრით, ნაცისმი და კომუნისმი — მიუხედავად ძალადობრივი მეთოდების მსგავსებისა — რეალურ ცხოვრებაში ვერასოდეს გაიგივდებიან ერთმანეთთან და ერთი მათგანი ყოველთვის ითამაშებს მეორის დამკრძალავი ბიუროს როლს. წინა საუკუნის შუაწელში მესაფლავის ფუნქცია თავის თავზე კომუნისმი აიღო, ხოლო რა მოხდება მიმდინარე საუკუნეში, ჯერჯერობით ყველასთვის უცნობია. ერთი რამ კი ცხადია: ნაძირლები ყოველთვის იოლად გამოძებნიან საერთო ენას — თუნდაც კაცისკვლით მიღწეული კულინარული შედეგების მოპოვებისა და გაყოფის საფუძველზე. და ვფიქრობ, რომ სწორედ ამის თაობაზე შეგვახსენა — ერთობ მსუბუქად და კოდირებული სახით — უმბერტო ეკომ თავის „პარდის სასაფლაოთი“.

ხოლო რომანის ძირითადი, აბსოლუტურად ღია და არაკოდირებული დასკვნა კი შესაძლებელია ასეც ვღერდეს: დიდი კონტინენტების ისტორიას, უპირველეს ყოვლისა, პატარა და ზერეულ ადამიანები ქმნიან!

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ შურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com